ემზარ კაკულია

საინოვაციო საქმიანობის მართვის სრულყოფის ძირითადი მიმართულებები

(მონოგრაფია)

გამომცემლობა „უნივერსალი"
თბილისი 2009

კაკულია ე. — საინოვაციო საქმიანობის მართვის სრულყოფის ძირითადი მიმართულებები (მონოგრაფია), თბილისი, 2009. 150 გვ.

ქვეყანაში ინოვაციური საქმიანობის სახელმწიფოებრივი რეგულირების პოლიტიკა ობიექტურად უნდა იყოს დაფუძნებული იმ მრავალმხრივ ბუნებრივ-გეოგრაფიულ, ისტორიულ, ეკონომიკურ, სოციალურ, ეროვნულ თავისებურებებსა და განსხვავებებზე, რომლებიც საქართველოს რეგიონებს ახასიათებთ. რეგიონული თავისებურებების მრავალფეროვნება, სოციალურ-ეკონომიკური განსხვავებანი რეგიონებში მიუთითებს იმაზე, რომ საქართველოში აუცილებელია განხორციელდეს ისეთი საინოვაციო პოლიტიკა, რომელიც ითვალისწინებს რეგიონების თავისებურებებს, მათ ეკონომიკურ, უწინარეს ყოვლისა კი ინოვაციურ პოტენციალსა და კონკრეტულ ამოცანებს.

ნაშრომი განკუთვნილია უმაღლესი სასწავლებლების ბაკალავრების, მაგისტრებისა და დოქტორანტებისათვის, ასევე აღნიშნული პრობლემატიკით დაინტერესებული სპეციალისტებისათვის.

მეცნიერ-რედაქტორი: პროფ. *თემურ შენგელია*
პროფ. *რევაზ ხარებავა*

რეცენზენტები: პროფ. *დავით ჯალაღონია*
პროფ. *გიორგი ცაავა*
პროფ. *ალექსანდრე სიჭინავა*

© ე. კაკულია, 2009

გამომცემლობა „უნივერსალი", 2009

თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. 19, ☎: 22 36 09, 8(99) 17 22 30
E-mail: universal@internet.ge

ISBN 978-9941-12-561-4

შინაარსი

შესავალი 1

თავი 1. ინოვაციური პროცესის რეგულირების მეთოდოლოგიური საფუძვლები 9

1.1 ინოვაციები და ინოვაციური პროცესი ეკონომიკაში 9
1.2 საინოვაციო საქმიანობის მართვის თანამედროვე კონცეფციები 21
1.3 ინოვაციური საქმიანობის გავლენა ეკონომიკურ ზრდაზე 32

თავი 2. საქართველოს ინოვაციური პოტენციალის ფორმირების რეგიონული ფაქტორები 40

2.1 საქართველოს ტერიტორიული სტრუქტურა და ინოვაციური საქმიანობის შესაძლებლობები რეგიონებში 40
2.2 რეგიონების ინოვაციური პოტენციალის გამოყენების შიდა და გარე ფაქტორები 52
2.3 ინოვაციური პოტენციალის ზრდის წყაროები 70

თავი 3. საინოვაციო საქმიანობის მართვის ოპტიმიზაციის ეკონომიკური და ორგანიზაციული ასპექტები 82

3.1 ინოვაციების სოციალურ-ეკონომიკური ეფექტიანობის შეფასება და ამაღლების სისტემა 82
3.2 ინოვაციური პროცესების დაგეგმვის რეგიონული ფაქტორები 91
3.3 საინოვაციო საქმიანობის სტიმულირების გზები და მიმართულებები საქართველოში 103

დასკვნები და წინადადებები: 118

დანართები:..... 134

გამოყენებული ლიტერატურა:..... 137

შესავალი

საქართველოში პოლიტიკური და ეკონომიკური განვითარების ზოგადი ტენდენციების დადგენის საფუძველზე, მისი ძირითადი მიმართულებების შემუშავება განაპირობებს მსოფლიო ეკონომიკურ პროცესებში საქართველოს ჩართვის ხარისხს, რაზეც მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული საქართველოს აწმყოცა და მომავალიც.

ჩვენი ქვეყნის თვითმყოფადი ეკონომიკური სისტემის შექმნა და განვითარება, ინელექტუალური პოტენციალის სრულად ათვისების პირობებში, ეკონომიკის სისტემური და სტრუქტურული გარდაქმნის გათვალისწინებით, რეალურად იძლევა კვლავწარმოების შესაძლებლობას როგორც რეგიონულ, ასევე ცენტრალურ დონეზე.

საქართველოს წინაშე მდგარი ამოცანებიდან განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპის უზრუნველყოფა.

განვითარებულ ქვეყნებში ეკონომიკური ზრდა სულ უფრო მეტად ხდება დამოკიდებული სამეცნიერო-კვლევით სამუშაოებსა და ტექნოლოგიურ პროგრესზე. თანამედროვე ინოვაციურმა რევოლუციამ მოიცვა ისეთი მნიშვნელოვანი მიმართულებები, როგორიცაა: ინფორმატიკა და ავტომატიზაცია მიკროელექტრონიკის საფუძველზე, ახალი მასალებისა არატრადიციული ენერგეტიკული რესურსების გამოყენება, ბიოტექნოლოგია და მენეჯმენტის სფერო. ინოვაციური განვითარების ახალი ეტაპი უპირატესად ინტენსიური ტიპის კვლავწარმოების საფუძვლად იქცა, რომლისთვისაც დამახასიათებელი თავისებურებებია: ორიენტაცია ხარისხობრივ და არა რაოდენობრივ ასპექტებზე ეკონომიკაში; ფართოდ შეჭრა არამატერიალურ სფეროში; ცვლილებები სამუშაო ძალის ხარისხსა და სტრუქტურაში; ტრადიციული ტექნოლოგიების ეფექტიანობის ამაღლება.

საქართველოში ბოლო წლებში შექმნილი საბიუჯეტო კრიზის ფონზე, სამწუხაროდ, ნაკლები ყურადღება ეთმობა სამეცნიერო სფეროს დაფინანსებას,

რაც, გრძელვადიან პერსპექტივაში, ქვეყნის ეკონომიკური ზრდის მნიშვნელოვანი შემაფერხებელი ფაქტორი შეიძლება გახდეს.

ინოვაციური საქმიანობა მჭიდრო კავშირშია ინვესტიციურ საქმიანობასთან. ქვეყნის ინოვაციური პოლიტიკა, სწორედ საინვესტიციო საქმიანობის მართვის პოლიტიკის შემადგენელი ნაწილია. საქართველოში, ფაქტობრივად, ინვესტიციების ყველა შიდა წყარო პარალიზებულია. მწირი ბიუჯეტის პირობებში სახელმწიფო ვერ ახორციელებს ეკონომიკის იმ პერსპექტიული დარგებისა და სფეროების ინვესტირებას, რომლებმაც შემდგომში ქვეყნის მაღალი შემოსავლები უნდა უზრუნველყონ; საქართველოს მოსახლეობის დიდ ნაწილს არ რჩება სახსრები დანაზოგებისათვის; საწარმოთა მოგებამ, უმნიშვნელო მოცულობის გამო, დაკარგა ინვესტიციური ფუნქცია; ამორტიზაციის სახსრები არ არის საკმარისი გაცვეთილი და მორალურად მოძველებული ძირითადი ფონდების ასანაზღაურებლად; კომერციული ბანკები ამჯობინებენ, არ გასცენ კრედიტები მაღალრისკიანი პროექტების ინვესტირებისთვის; განსაკუთრებით შეზღუდულია საინვესტიციო რესურსები სამეცნიერო, გრძელვადიანი პერიოდის პროექტებისათვის. ამასთან, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელიც ეკონომიკის რეალური სექტორის ეფექტიან განვითარებას აფერხებს,რეგიონების მომსახურებისათვის საჭირო ფინანსური კაპიტალის უკმარისობაა.საწარმოების ფინანსური რესურსების ძირითადი ნაწილი ცენტრშია თავმოყრილი. სხვადასხვა შეფასებით, რეგიონის ბანკები აკონტროლებენ რეგიონის საწარმოთა ფინანსური წყაროების მხოლოდ 20-30 პროცენტს, რაც ადგილობრივი ბანკებისა და საწარმოების განვითარებას სერიოზულად აფერხებს. ამ გარემოებას კიდევ უფრო ამძიმებს რეგიონებიდან ადამიანური კაპიტალის გადინების ნეგატიური ტენდენცია.

ამრიგად, როგორც პრაქტიკული, ასევე თეორიული თვალსაზრისით მეტად აქტუალურია საქართველოში საინოვაციო საქმიანობის მართვის რეგიონული პრობლემების მეცნიერული ანალიზი.

ინოვაციურ სფეროში ეკონომიკურ ურთიერთობათა განვითარებისა და სრულყოფის პრობლემამ მეცნიერთა განსაკუთრებული ყურადღება მეოცე საუკუნის ორმოციანი წლების დასასრულს მიიპყრო, ამ დრომდე ეკონომიკური მეცნიერება პრაქტიკულად არ იხილავდა სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის გავლენას ეკონომიკურ ზრდაზე.

გამონაკლისს წარმოადგენდა ავსტრიული წარმოშობის ამერიკელი მეცნიერი ი. შუმპტერი, რომელიც გრძელვადიან ეკონომიკურ ზრდას უკავშირებდა ტექნიკურ განვითარებას. მან ჯერ კიდევ 1911 წელს თავის ნაშრომში „ეკონომიკური განვითარების თეორია", ტექნიკური ნოვაცია განიხილა როგორც ეკონომიკური საშუალება, რომელსაც მეწარმე უფრო მაღალი მოგების მიღების მიზნით იყენებს. თავდაპირველად ამ შეხედულებამ ვერ ჰპოვა აღიარება.

მოგვიანებით, სოლოუმ და აბრამოვიჩმა აჩვენეს ტექნოლოგიური ცვლილებების უპირატესი ეკონომიკური ზემოქმედება, რის შემდეგაც ინოვაციებს სულ უფრო მეტი ადგილი ეთმობა ეკონომიკურ მეცნიერებასა და პრაქტიკაში.

შუმპტერთან ერთად ინოვაციური საქმიანობის კვლევაში უდიდესი მეცნიერული წვლილი შეიტანეს პ. სამუელსონმა, ნ. კონდრატიევმა, ჯ. ფორესტერმა, ს.კუზნეცმა, რ.ფორსტერმა, ბ.ტვისმა, ვ.ხარტმანმა და სხვა მეცნიერებმა.

თანამედროვე ქართველ მეცნიერ-ეკონომისტებს შორის, ინოვაციურ სფეროში მნიშვნელოვანი გამოკვლევები აქვთ ჩატარებული პროფესორებს გ. მოლაშხიას, თ.შენგელიას, ე.ბარათაშვილს, თ.ჩიკვაიძეს, ი.მესხიას. შ.ჭალაგანიძეს, ა.აბრალავას და სხვა.

ინოვაციური სფეროს განვითარება, მისი, როგორც სისტემის, პროცესისა და სიტუაციის ღრმად წვდომა, ახალი თეორიული დასკვნებისა და განზოგადოებათა გაკეთება და მასთან დაკავშირებული თანამედროვე მოვლენების სრული მეცნიერული გააზრება და აღთქმა მეტად რთულია. საქართველოში ეკონომიკის საბაზრო სისტემაზე გადასვლამ ახლებურად წარმოაჩინა მეცნიერულ-ტექნიკური სფეროს განვითარებასთან დაკავშირებული პრობლემები საერთოდ და კერძოდ, მისი ორგანიზაციულ-ეკონომიკური ასპექტების შესწავლის აუცილებლობა. შეიძლება ითქვას, რომ საბაზრო ეკონომიკაზე ტრანსფორმირების პერიოდში საქართველოში საინოვაციო საქმიანობის რეგულირების პრობლემები რეგიონულ დონეზე ჯერჯერობით არ განხილულა. სწორედ ამ თვალსაზრისზეა ორიენტირებული წინამდებარე ნაშრომი.

ნაშრომის მიზანია საქართველოში ინოვაციური პროცესის გააქტიურებისა და ინტელექტუალური პოტენციალის სრულად ათ-

ვისებისათვის წინამძღვრების შექმნა. ასახული მიზნის მისაღწევად უნდა გადაიჭრას შემდეგი ძირითადი ამოცანები:

- საქართველოში ინოვაციურ სფეროში ორგანიზაციულ-ეკონომიკური ურთიერთობათა განვითარება-სრულყოფის პრობლემის დამუშავება, საზღვარგარეთის პროგრესული გამოცდილებისა და ჩვენი კრიზისული ორგანიზაციულ-ეკონომიკური სისტემის გაანალიზების კვალობაზე;

- ინვესტიციების სტიმულირება მაღალტექნოლოგიურ, მეცნიერებატევად დარგებში. საინოვაციო საქმიანობის ნორმატიულ – სამართლებრივი უზრუნველყოფა, მისი სტიმულირების მექანიზმის შექმნა და განვითარება.

- ინოვაციური საქმიანობის მხარდაჭერის კომპლექსური სისტემის შექმნა, წარმოების განვითარება, მეცნიერება ტევადი პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ზრდა და ექსპორტის წახალისება. საინოვაციო საქმიანობის აქტივიზების პროცესში აქტიურად უნდა ჩაერთვნენ არა მხოლოდ სახელმწიფოს მმართველობითი ორგანოები, კომერციული სტრუქტურები, საფინანსო-საკრედიტო დაწესებულებები, არამედ, აგრეთვე, საზოგადოებრივი ორგანიზაციები, როგორც ცენტრალურ, ასევე რეგიონულ დონეზე;

- ინოვაციური პროცესის ინფრასტრუქტურის განვითარება ინფორმაციული უზრუნველყოფის, ექსპერტიზის სისტემის, საწარმოო- ტექნოლოგიური მხარდაჭერის , ფინანსურ-ეკონომიკური სისტემის, კადრების მომზადებისა და გადამზადების ქმედითი მექანიზმის განვითარების კვალობაზე. ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში საქართველოში შეინიშნება ჩამორჩენა ინოვაციურ სფეროში, რაც განპირობებულია არა ქართველი მკვლევარების დაბალი პოტენციალით, არამედ, უწინარეს ყოვლისა, ინოვაციური საქმიანობის სუსტი ინფრასტრუქტურით, მეწარმეების სუსტი მოტივაციით თანამედროვე ტექნოლოგიების ათვისებით შექმნან კონკურენტუნარიანი პროდუქცია. ყოველივე ეს კი განაპირობებს ადგილობრივი მეცნიერებისა და ტექნიკის პოტენციალის დაქვეითებას;

- მცირე ინოვაციური მეწარმეობის განვითარება მათი ფუნქციონირების საწყის ეტაპზე სახელმწიფოს მხარდაჭერით. უწინარეს ყოვლისა, საქმე ეხება მცირე მაღალტექნოლოგიური ორგანი-

ზაციების ფორმირებისა და მათი წარმატებული ფუნქციონირებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნას;

- საინოვაციო პროექტებისა და პროგრამების არჩევის საკონკურსო სისტემის სრულყოფა. ეკონომიკის დარგებში შედარებით მცირე და სწრაფად ანაზღაურებადი პროექტების განხორციელება კერძო ინვესტიციების მონაწილეობითა და სახელმწიფოს მხარდაჭერით, საშუალებას მოგვცემს წავახალისოთ შედარებით პერსპექტიული წარმოებები და ორგანიზაციები და სტიმული მივცეთ კერძო ინვესტიციების დინებას ამ მიმართულებით;

- საინოვაციო საქმიანობის იმ პრიორიტეტულ მიმართულებების სტიმულირება, რომელთაც შეუძლიათ გარდაქმნან ქვეყნისა და მისი რეგიონების ეკონომიკის შესაბამისი დარგები. ინოვაციური პოლიტიკის ფორმირებისა და რეალიზაციის ძირითად ამოცანას წარმოადგენს იმ მნიშვნელოვანი საბაზისო ტექნოლოგიების შედარებით მცირე რაოდენობის შერჩევა, რომლებსაც შეუძლიათ მოახდინონ გადამწყვეტი ზეგავლენა წარმოების ეფექტიანობისა და კონკურენტუნარიანობის ამაღლებაზე და უზრუნველყონ ახალ ტექნოლოგიურ წყობაზე გადასვლა;

- მცირე საბანკო ბიზნესის როლის ამაღლება,რაც საქალაქო და სასოფლო საკრედიტო კავშირების, ურთიერთდაკრედიტების მექანიზმის, სასესხო-სამშენებლო ასოციაციების შექმნით უნდა გამოიხატოს. განვითარებული ქვეყნების ეკონომიკის ზრდაში მცირე ბიზნესის აღნიშნული ფორმები გადამწყვეტ როლს ასრულებენ. ურთიერთდაკრედიტებისა და დაზღვევის პრინციპზეა აგებული აგროსამრეწველო კომპლექსი და წვრილი მეწარმეობა ისეთ ქვეყნებში, როგორიცაა აშშ, ავსტრია, გერმანია, პოლონეთი, ჩეხეთი და სხვა;

- ორმაგი დანიშნულების ტექნოლოგიების გამოყენება. ამგვარი ტექნოლოგიების გამოყენება შესაძლებელი იქნება როგორც სამოქალაქო დანიშნულების პროდუქციის საწარმოებლად, ისე სხვა მიმართულებებით (მაგ; სამხედრო ტექნიკის საწარმოებლად)

გამოკვლევის შედეგად მიღებული მთავარი მეცნიერული სიახლე მდგომარეობს იმაში, რომ ნაშრომში შემუშავებულია საქართველოს რეგიონებში ინოვაციური პოლიტიკის რეგულირების მექანიზმი და დასახულია მისი პრაქტიკული რეალიზაციის გზები და

მიმართულებები რეგიონების სფეციფიკისა და განვითარების თავისებურებების გათვალისწინებით.

აღნიშნული მეცნიერული სიახლე შეიძლება შემდეგნაირად დაკონკრეტდეს:

- სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის გაანალიზების ფონზე გამოვლენილია ინოვაციური პროექტების დაფინანსების შიდა წყაროების პარალიზების გამომწვევი მიზეზები, კერძოდ, საქართველოს საინვესტიციო გარემოს ნაკლოვანებები. შემოთავაზებულია ამ პრობლემის გადაჭრის კონკრეტული ღონისძიებები;

- საქართველოს რეგიონული სტრუქტურის ანალიზის კვალობაზე, განსაზღვრულია რეგიონების ინოვაციური პოტენციალის შიგა და გარე ფაქტორები და მისი ზრდის წყაროები;

- დადგენილია საქართველოს რეგიონებში ახალი ტექნიკის დანერგვისა და ექსპლუატაციის სოციალურ-ეკონომიკური ეფექტის განსაზღვრისა და შეფასების კრიტერიუმები, კერძოდ;

. საწარმოო-საექსპლუატაციო პრიორიტეტი დარგისა და რეგიონისთვის;

. სოციალური პრიორიტეტი რეგიონისათვის;

. ეკონომიკური პრიორიტეტი რეგიონისათვის.

- დასაბუთებულია საქართველოში ინდიკატური დაგეგმვის პროცესში ინოვაციური პროცესების რეგიონული ფაქტორების გათვალისწინების აუცილებლობა და განსაზღვრულია საქართველოს რეგიონებში საინოვაციო საქმიანობის სტიმულირების გზები და მიმართულებები.

გამოკვლევის შედეგების საფუძველზე შემოთავაზებული რეკომენდაციების პრაკტიკული განხორციელება ხელს შეუწყობს საქართველოში საინოვაციო საქმიანობის ეფექტიანობის ამაღლებას. ამან შემდგომში უნდა უზრუნველყოს სახელმწიფოს ტექნოლოგიური ორიენტაციის გაფართოება და საქართველოს ეკონომიკური განვითარების მყარი გარანტიების შექმნა. ნაშრომის ძირითადი შედეგების გამოყენება შესაძლებელია ინდიკატური დაგეგმვის პროცესში. ნაშრომით სარგებლობა შეუძლიათ უმაღლესი სასწავლებლების ეკონომიკურ სპეციალობათა სტუდენტებს. იგი დიდ დახმარებას გაუწევს ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებით დაკავებულ

სპეციალისტებსა და საერთოდ, თანამედროვე ეკონომიკური პრობ-
ლემების ყველა მკვლევარს.

თავი 1. ინოვაციური პროცესის რეგულირების მეთოდოლოგიური საფუძვლები

1.1 ინოვაციები და ინოვაციური პროცესი ეკონომიკაში

ახალი ათასწლეულის დასაწყისში ნათელი ხდება, რომ ინოვაციური სფეროს – მეცნიერების, მეცნიერებატევადი დარგების, ტექნოლოგიების მსოფლიო ბაზრის განვითარება განაპირობებს მდიდარ და ღარიბ ქვეყნებს შორის განსხვავებას და ქმნის სტაბილური ეკონომიკური ზრდის საფუძველს. ტექნოლოგიურმა პროგრესმა არა მარტო შეცვალა ინდუსტრიულად განვითარებული ქვეყნების წარმოების სტრუქტურა და მოცულობა, არამედ შესამჩნევად იმოქმედა მოსახლეობის ცხოვრების ხარისხზე, მათ დამოკიდებულებაზე გარესამყაროს მიმართ.

ინდუსტრიულად განვითარებულმა, ასევე დინამიურად განვითარებადმა ქვეყნებმა, ბოლო წლებში, შთამბეჭდავ შედეგებს მიაღწიეს უმეტესად წარმატებული საინოვაციო საქმიანობით და შექმნილი პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ამაღლების თანამედროვე სისტემის მეშვეობით, რომლის საფუძველს სამეცნიერო კვლევებისა და დამუშავებების შედეგების კომერციალიზაციის ეფექტური მექანიზმი წარმოადგენს. დღეს მსოფლიო პრაქტიკაში ეკონომიკის განვითარების საინოვაციო რეჟიმზე გადაყვანის მდიდარი გამოცდილება არსებობს, რომელიც გამოიყენება სხვადასხვა ეკონომიკურ თუ პოლიტიკურ პირობებში.

თანამედროვე ეტაპზე, მსოფლიო სამეურნეო პროცესი წარმოუდგენელია მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის (მტპ) მიღწევათა გამოყენების გარეშე. საერთაშორისო შრომის სტრუქტურაში სულ უფრო იზრდება ინტელექტუალური შრომის წილი. საზოგადოების პროგრესირებადი, ახალი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება მეცნიერებატევადი პროდუქციითა და მომსახურებით შეუძლებელია ინოვაციათა ფართოდ გამოყენების გარეშე. კაცობრიობა მუდმივად ისწრაფვის ბუნებრივი რესურსებისა და შრომის ნაკლები დანახარჯებით დოვლათის წარმოების გადიდების, სამუშაო დროის შემცირების, მეტი მატერიალური და სულიერი სიმდიდრის შექმნისა და დაგროვებისაკენ.

საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პრობლემების საერთო კომპლექსში ერთ-ერთი წამყვანი ადგილი მიეკუთვნება საინოვაციო პოტენციალის განვითარებას და ამ პროცესის აქტიური სახელმწიფო მხარდაჭერის პრობლემას, რამდენადაც ქვეყნის წინაშე მდგარი ეკონომიკური ამოცანების გადაწყვეტა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ტექნოლოგიური საქმიანობის მკვეთრ გააქტიურებაზე.

ბოლო წლებში, ჩვენი ქვეყნის ეკონომიკაში შეიმჩნევა ახალი კრიზისული მოვლენების წარმოშობა და გაძლიერება. ეს კი, ბუნებრივია, ადასტურებს იმას, რომ აუცილებელია რადიკალური კორექტივების შეტანა მიმდინარე რეფორმების გაგრძელების სტრატეგიასა და ტაქტიკაში, ეკონომიკური ცენტრალიზმისა (რომელიც დაეფუძნება სახელმწიფოს მიზანმიმართულ ჩარევას ეკონომიკის რეგულირების პროცესებში) და საბაზრო თვითრეგულირების პრინციპთა რაციონალურად შერწყმისა და გამოყენების საფუძველზე. აუცილებელია ობიექტურად აღქმული და ღრმად გააზრებული ერთიანი სახელმწიფო საინოვაციო პოლიტიკის გატარება, შემდგომი ინსტიტუციური რეფორმების განხორციელება, მტკიცე კონსტიტუციური წესრიგის დამყარება, რომელთა ერთ-ერთი უმთავრესი ქვაკუთხედია მეცნიერულ-ტექნიკური მიღწევებისა და სოციალურ პრობლემებზე ორიენტირებული და, ამასთან, მაღალ სახელმწიფო-საზოგადოებრივ პასუხისმგებლობასთან შერწყმული ეკონომიკური პოლიტიკა.

წარმოების მეცნიერულ-ტექნიკური განვითარება ადამიანთა საზოგადოების განვითარების განუყოფელი ნაწილია, მისი დონე განისაზღვრება არა ცალკეულ მიღწევათა ვიწრო ტექნიკური ეფექტებით, არამედ, ფართო სოციალურ- ეკონომიკური შედეგებით, დიალექტიკური კავშირით წარსულ და ამჟამინდელ მეცნიერულ — ტექნიკურ დონეებს შორის. იგი წარმოგვიდგება, როგორც ადამიანის გონებრივ და ფიზიკურ შესაძლებლობათა სინთეზური გამოვლენის მუდმივი (უწყვეტი) პროცესი.

ცნობილი ამერიკელი ფუტუროლოგი ა. ტოფლერი აღნიშნავდა, რომ არც ერთი პრობლემა, რომელსაც აწყდება ბიზნესი, არ

არის ისეთი რთული და მნიშვნელოვანი, როგორიცაა ინოვაციების პრობლემა.[1]

ინოვაციები – (იტალიურიდან inovatione – სიახლეთა დანერგვა) თანამედროვე ლიტერატურაში განიხილება როგორც შრომისა და მართვის ორგანიზების ახალი ფორმები, ტექნოლოგიების ახალი სახეობები, ინვესტიციები ნოვაციებში. ეს განმარტებები მოიცავენ არა მხოლოდ ცალკეულ დაწესებულებებს, საწარმოებსა და ორგანიზაციებს, არამედ, აგრეთვე – ეკონომიკის ცალკეულ დარგებსა და სფეროებს[2].

ყველაზე ფართო გაგებით ინოვაცია წარმოების ისეთი ფაქტორია, რომელიც ხანგრძლივ პერსპექტივაში მწარმოებლურობასა და მთლიანი ეროვნული პროდუქტის ფომირებას განაპირობებს.[3]

ინოვაციების არსის მიმართ არსებობს აგრეთვე სხვა თვალსაზრისი. ყველაზე მეტად გავრცელებულია ორი მიდგომა: პირველ შემთხვევაში სიახლეთა დანერგვა განიხილება როგორც შემოქმედებითი პროცესის შედეგი, რომელსაც თან სდევს ახალი პროდუქციის (ტექნიკის), ტექნოლოგიისა და ა.შ. შექმნა. მეორე შემთხვევაში – როგორც ახალი ნაკეთობების, მიდგომების, პრინციპების დანერგვა ძველის სანაცვლოდ.[4]

ამგვარად, ინოვაცია შეიძლება განვიხილოთ, როგორც ინვესტიციები ნოვაციებში, სახსრების დაბანდება ტექნიკის, ტექნოლოგიის დამუშავებაში, სამეცნიერო გამოკვლევებში. ყოველგვარი ცვლილება, სიახლე საქონელსა და მომსახურებაში, ტექნოლოგიასა და წარმოების ფაქტორებში. სიახლის შექმნა და დანერგვა.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში ინოვაციების უმნიშვნელოვანეს მახასიათებელს უნდა წარმოადგენდეს მისი სამომხმარებლო

---

[1] Основы инновационного менеджмента: Учебник для вузов/Под ред. Проф. В.А. Швандара – М.: ЮНИТИ-ДАНА 1999 с 32

[2] Золотогоров В.Г. Энциклопедичский словарь по экономике – Минск: Полымя, 1997, с.87;

[3] Санто Б. Инновация как средство экономического развития, М.: Прогресс, 1990, с. 209;

[4] Основы инновационного менеджмента: Теория и практика: Учебное пособие/Под ред. П.Н.Завлина и др. – М: ОАО «НПО Издательство экономика», 2000, с. 4

ხასიათის სიახლე. ამასთან, ტექნიკური სიახლე ასრულებს მეორეხარისხოვან როლს.

ინოვაციების სისტემური აღწერის მეთოდოლოგია დაფუძნებულია საერთაშორისო სტანდარტებზე, რომელთა შესახებ რეკომენდაციები მიღებულია 1992 წელს ქალაქ ოსლოში. ისინი შემუშავებულია ტექნოლოგიურ ნოვაციებთან მიმართებაში და მოიცავენ ახალ პროდუქტებსა და პროცესებს, აგრეთვე – მათ მნიშვნელოვან ტექნოლოგიურ სახეცვლილებებს.[5] ინოვაცია ითვლება განხორციელებულად იმ შემთხვევაში თუ იგი დანერგილია ბაზარზე ან საწარმოო პროცესში. შესაბამისად, განასხვავებენ ტექნოლოგიური ინოვაციების ორ ტიპს: პროდუქტიულს და პროცესულს.

პროდუქტიული ინოვაციები გულისხმობს ახალი ან განახლებული პროდუქტების დანერგვას, ხოლო პროცესული ინოვაციები ახალი ან მნიშვნელოვნად გაუმჯობესებული პროდუქციის, წარმოების ორგანიზების ათვისებას. ამგვარი პროდუქციის გამოშვება შეუძლებელია არსებული მოწყობილობების გამოყენებით. აღსანიშნავია ინოვაციების ამერიკულ და იაპონურ სისტემებს შორის განსხვავება: აშშ-ში მთლიანი ინოვაციების 1/3 განეკუთვნება პროცესულს, ხოლო 2/3 პროდუქტიულს, იაპონიაში კი საპირისპირო ტენდენცია შეიმჩნევა.

ინოვაცია წარმოადგენს რა მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის შედეგს განუყოფელია მისგან. მტპ – პროდუქციის წარმოების მნიშვნელოვანი ფაქტორია.

ინოვაციების ყველა არსებითი განსაზღვრების კლასიფიცირება შეიძლება ხუთი ძირითადი მიდგომის საფუძველზე: 1) ობიექტური; 2) პროცესული; 3)ობიექტურ-უტილიტარული; 4)პროცესულ-უტილიტარული; 5) პროცესულ- ფინანსური.[6]

ობიექტური მიდგომის არსი იმაში მდგომარეობს, რომ ინოვაციის სახით გამოდის ობიექტი – მტპ-ს შედეგი: ახალი ტექნიკა,

---

[5] Статистика науки и инноваций: Краткий терминологический словарь/Под ред. Л.М. Гохберга, М: ЦИСН. 1996, с. 32.

[6] Баев А.А., Шутуров В.Э. Системный подход к определению инновации // Современные технологии в социально-экономических системах. Челябинск: ЧГТУ, 1995, с. 18.

ტექნოლოგია. ამ თვალსაზრისით, განასხვავებენ საბაზისო ინოვაციებს, გამაუმჯობესებელ ინოვაციებს და ფსევდოინოვაციებს.

ახალი პროდუქციის დანერგვა განისაზღვრება როგორც საბაზისო პროდუქტიული ინოვაცია. იმ შემთხვევაში, როცა საუბარია პროდუქტზე, რომლის მოხმარების შესაძლო არეალი, ფუნქციონალური მახასიათებლები, თვისებები, გამოყენებული მასალები და კომპონენტები მნიშვნელოვნად განასხვავებენ მას ადრე გამოშვებული პროდუქტისაგან. საბაზისო ინოვაციების მაგალითს წარმოადგენს ორთქლის ძრავის შეცვლა შიგა წვის ძრავით.

გამაუმჯობესებელი ინოვაციები ეხებიან უკვე არსებულ პროდუქტს, რომლის ხარისხობრივი ან ღირებულებითი მახასიათებლები უკვე იყვნენ გაუმჯობესებული უფრო ეფექტიანი კომპონენტების გამოყენებით, ტექნიკური ქვესისტემების ნაწილობრივი ცვლილებით. გამაუმჯობესებელი ინოვაციების მაგალითია ბაბინებიანი მაგნიტოფონის შეცვლა კასეტის, ხოლო მოგვიანებით კომპაქტური დისკის ფლეერით.

ფსევდოინოვაციები (ან რაციონალიზებული ინოვაციები) მიმართულია მოძველებული ტექნიკისა და ტექნოლოგიის ნაწილობრივ გაუმჯობესებაზე. საუბარია იმ ტექნოლოგიებზე, რომლებიც ამუხრუჭებენ ტექნოლოგიურ პროგრესს.

პროცესული მიდგომის ფარგლებში, ინოვაციების ქვეშ იგულისხმება კომპლექსური პროცესი, რომელიც მოიცავს ახალი სამომხმარებლო ფასეულობების – საქონლის, ტექნიკის, ტექნოლოგიის, ორგანიზაციული ფორმების და ა.შ. შემუშავებას, წარმოებაში დანერგვასა და მათ კომერციალიზაციას.

ინოვაციების განსაზღვრების ობიექტურ-უტილიტარული მიდგომა ხასიათდება ორი ძირითადი მომენტით. პირველი, ინოვაციის ქვეშ იგულისხმება ობიექტი – ახალი სამომხმარებლო ღირებულება, რომელიც დაფუძნებულია მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევებზე. მეორე, აქცენტი კეთდება სიახლეთა უტილიტარულ მხარეზე – ინოვაციების შესაძლებლობაზე დააკმაყოფილოს საზოგადოების მოთხოვნილებები დიდი სასარგებლო ეფექტით. ობიექტურ-უტილიტარულისგან განსხვავებით პროცესულ-უტილიტარული მიდგომა ინოვაციების განსაზღვრებისადმი მდგომარეობს იმაში, რომ მოცემულ შემთხვევაში ინოვაცია წარმოდგენილია როგორც

კომპლექსური პროცესი ახალი პრაქტიკული სახსრების შექმნის, გავრცელებისა და მოხმარებისათვის. ხოლო, პროცესულ-ფინანსური მიდგომის ფარგლებში ინოვაციების ქვეშ იგულისხმება ინვესტირების პროცესი ნოვაციებში, სახსრების დაბანდება ახალი ტექნიკის, ტექნოლოგიის, სამეცნიერო კვლევების დაფინანსებისათვის.

მსოფლიო ეკონომიკის გადასვლამ მეცნიერულ-ტექნიკური განვითარების ახალ საფეხურზე განაპირობა ინოვაციური აქტივობის გაძლიერება და სიახლეთა დანერგვისადმი ახალი მიდგომა. გასული საუკუნის 90-იანმა წლებმა ახალი კორექტივები შეიტანეს ეკონომიკურ გარემოსა და კონკურენტი დამოუკიდებელი სამეურნეო სუბიექტების ინოვაციური საქმიანობის ურთიერთდამოკიდებულების პროცესში.

სწორედ ინოვაციები იძენს "მთავარი მოქმედი პირის" ფუნქციას თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის პრაქტიკული რეალიზაციის პროცესში, მათ ერთგვარად შეავიწროვეს ინვესტიციების როლი, როგორც წლების მანძილზე გაბატონებული ეკონომიკური ზრდის ძირითადი ფაქტორისა. ინოვაციების მნიშვნელობის პრინციპული ზრდა გამოწვეულია, უწინარეს ყოვლისა, საბაზრო სიტუაციით: კონკურენციის ხასიათით, ჩვეული სტატიკური კონკურენციიდან დინამიურზე გადასვლით. ამ გარემოებამ მნიშვნელოვნად განაპირობა ინოვაციებისა და ბაზრის თავისებურებათა ურთიერთქმედება თანამედროვე ეტაპზე.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში ინოვაციური საქმიანობა ფინანსური ინვესტიციების ამოქმედებით იწყება, რომელიც ფულადი კაპიტალის გარდასახული ფორმაა. სწორედ ფულადი კაპიტალი იწყებს და ამთავრებს კვლავწარმოების პროცესს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საინოვაციო საქმიანობა შეიძლება განვიხილოთ, როგორც ინვესტიციების ტრანსფორმირების პროცესი, რომელიც ფულადი სახსრების აკუმულირების მომენტიდან კაპიტალურ ქონებაში ავანსებული ღირებულების რეალურ ანაზღაურებამდე მოძრაობას მოიცავს.

ინოვაციური პროცესი — ეს მეცნიერული ცოდნის გარდასახვაა ინოვაციებში, რომელიც შეიძლება წარმოვიდგინოთ, როგორც მოვლენათა თანმიმდევრული ჯაჭვი, რომლის დროსაც ხდება ინო-

ვაციათა მომწიფება იდეიდან კონკრეტულ პროდუქტამდე და შემდგომში მისი პრაქტიკული გამოყენება.

ინოვაციური პროცესი მოიცავს სამ ძირითად სტადიას (ეტაპს): 1. გამოკვლევის დაწყებიდან მისი შედეგების პირველ ათვისებამდე; 2. სიახლეთა დანერგვიდან, ამ პროცესის უზრუნველყოფის ჩათვლით (ინფორმაციული, ორგანიზაციული, ფინანსური, საკადრო, მატერიალურ-ტექნიკური და სხვა) სასარგებლო ეფექტის მიღებამდე; ბოლო, მე-3 ეტაპი უზრუნველყოფს სამეცნიერო გამოკვლევების შესრულებასა და კოორდინაციას, ინფრასტრუქტურის გადაიარაღებას პრინციპულად ახალ საფუძველზე, ბიზნესის ორგანიზების ეფექტიანი ფორმების დანერგვას.[7]

ინოვაციური პროცესის საფუძველს წარმოადგენს ახალი ტექნიკის (ტექნოლოგიის) შექმნისა და ათვისების პროცესი. ტექნიკა შეიძლება განვიხილოთ როგორც წარმოების ფაქტორი, შრომის საშუალებათა და იარაღების ერთობლიობა, რომლებშიც მატერიალიზებულია ადამიანის ახალი ცოდნა და გამოცდილება. ხოლო ტექნოლოგია ეს არის ტექნიკის დამზადებისა და გამოყენების ხერხების ერთობლიობა და ბუნებრივი რესურსების გარდაქმნა სამრეწველო და სამომხმარებლო დანიშნულების პროდუქტებად.[8] ამგვარად, საინოვაციო პროცესი შეიძლება, აგრეთვე, განვსაზღვროთ როგორც მეცნიერული ცოდნის ინოვაციებად გარდაქმნის პროცესი. იგი მთლიანობაში მოიაზრება როგორც საქმიანობა, რომელიც უზრუნველყოფს ახალ შესაძლებლობათა მუდმივ ძიებას, დასმული ამოცანების გადასაწყვეტად სხვადასხვა რესურსული წყაროს გამოძებნას, მოზიდვასა და ეკონომიკურ კვლავწარმოებით პროცესში ჩართვას, მეცნიერებატევადი, კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოებას ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიის საშუალებით.

საგულისხმოა, რომ ინოვაციური პროცესი ციკლური ხასიათისაა, რომელიც, მეტწილად, განპირობებულია სიახლის ეკონომი-

---

[7] Гребнев Е.Т. Управленческие нововведения – М.: Экономика, 1985; Перлаки И. Нововведения в организациях//Пер. со словацкого – М.: Экономика, 1981.

[8] Основы инновационного менеджмента: Теория и практика: Учеб.пособие / Под ред. П.Н. Завлина и др. – М.: ОАО «НПО Издательство Экономика», 2000, с. 8.

კური ბრუნვის (სიცოცხლის) ხანგრძლივობით. საუბარია საქონლის სასიცოცხლო ციკლზე (იხილეთ ნახაზი 1.1.1) საქონლის სასიცოცხლო ციკლის არსის უკეთ გაგებისათვის, განვიხილოთ მისი შემადგენელი ნაწილები, რომლებიც რამდენიმე ეტაპის ჯაჭვს წარმოადგენს.

ნახაზი 1.1.1.



საქონლის სასიცოცხლო ციკლი

-----გაყიდვების მოცულობა (გ);------ მოგება-ზარალის

პირველი ეტაპის არსი მდგომარეობს მეცნიერული კვლევების შედეგების პრაქტიკულ რეალიზაციაში – ახალი საქონლის ნიმუშის შექმნაში, საქონლის ბაზარზე შესვლის პირობების შეფასებაში. ამასთან, სწორედ პირველ ეტაპზე ხდება ახალი საქონლის საცდელი პარტიის გაყიდვა, მაშასადამე, მარკეტინგული კვლევა.

მეორე ეტაპი დაკავშირებულია წარმოების ათვისებასთან, გასაღების ზრდასთან და პირველი ეკონომიკური შედეგების მიღებასთან. საგულისხმოა, რომ სწორედ ამ ეტაპზე იქმნება ციკლის მატერიალურ-ნივთობრივი საფუძველი.

მესამე ეტაპის არსის განხილვისას, აღვნიშნავთ, რომ ფართო მასშტაბით ახალი პროდუქციის წარმოების ხანგრძლივობა ორმაგ ზეგავლენას ახდენს ეფექტიანობაზე.ერთის მხრივ, გამოშვების (წარმოების)ხანგრძლივი პერიოდი უზრუნველყოფს მოთხოვნილების დაკმაყოფილებას და კვლავწარმოებისათვის კაპიტალის დაგროვებას. ხოლო, მეორე მხრივ, საჭიროებს მომხმარებელთა ინტერესების გათვალისწინებას, პროდუქციის განახლება-გაუმჯობესებას, რაც თანამედროვე კონკურენციულ გარემოში საკუთარი ადგილის შენარჩუნების წინაპირობაა.

მეოთხე ეტაპის დადგომის მაუწყებელია ეფექტიანობის ზრდის ტემპის შენელება, რის შემდეგაც აუცილებელია ან წარმოების დანახარჯების შემცირება, ან საქონლის სამომხმარებლო თვისებების გაუმჯობესება. ამ პოზიტიურ ცვლილებებს შეუძლიათ გაახანგრძლივონ საქონლის სასიცოცხლო ციკლი, თუმცა, მათი ეკონომიკური პოტენციალი ყოველთვის შეზღუდულია.

პროდუქტის მორალური მოძველება გარდაუვალია, ვინაიდან ბაზარზე ჩნდება პრინციპულად ახალი საქონელი, რომელიც თავისი ხარისხობრივი და სამომხმარებლო თვისებებით ამცირებს მის წინამორბედზე მოთხოვნილებას. ყოველივე ეს მეხუთე ეტაპის დადგომას იწვევს, რომელიც ამთავრებს საქონლის სასიცოცხლო ციკლს.

რაც უფრო მძლავრია კონკურენცია კონკრეტულ ბაზარზე, მით უფრო სწრაფად წყდება მორალურად, ეკოლოგიურად, სოციალურად მოძველებული საქონლის წარმოება.

როგორც პრაქტიკით დასტურდება თანამედროვე საწარმოების ეფექტიანობა და მათი განვითარების ტემპები, სწორედ, ინოვაციური პროცესის აქტივობით განისაზღვრება. ამ თვალსაზრისით, საგულისხმოა, რომ ინოვაციათა საბაზრო თავისებურება მდგომარეობს მათ მჭიდრო კავშირში ინვესტიციურ პროცესთან. საქმე ეხება იმ ინვესტიციებს, რომელთა მიზანია მაქსიმალური მოგების მიღება. თავის მხრივ, ეკონომიკური ინვესტიციები კავშირშია ფინანსურ

ინვესტიციებთან, ანუ აქტივების შეძენასთან ფასიანი ქაღალდების ფორმით. ამრიგად, სიახლეთა ბაზარი ყალიბდება მატერიალური საქონლის ბაზრისა და ფასიანი ქაღალდების ბაზრის გადაკვეთაზე.[9] საბაზრო ურთიერთობათა ფორმირების თანამედროვე ეტაპზე საქართველოში საინოვაციო საქმიანობა უაღრესად დაბალ დონეზეა. მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანაში არსებობს მაღალკვალიფიციური კადრები, შესაბამისი სამეცნიერო- საწარმოო ბაზა, მნიშვნელოვანი ტექნოლოგიური მარაგები და სხვა, უკიდურესად სუსტია ორიენტაცია საინოვაციო საქმიანობის, სამეცნიერო მიღწევების წარმოებაში და საქმიანობის სხვა სფეროებში რეალიზაციაზე.

საინოვაციო პროცესის განხორციელების ძირითადი სირთულეები დაკავშირებულია საწარმოებში საკუთარი საშუალებების, როგორც საბიუჯეტო, ისე არასაბიუჯეტო წყაროებით ფინანსირების უკმარისობასთან, მათ შორის მოზიდული სახსრების შეზღუდულობასთან. წარმოების მოცულობების შემცირებისა და საწარმოების დაფინანსების მუდმივი დეფიციტის პირობებში შეუძლებელი ხდება ფულადი რესურსების გამოყოფა საინოვაციო საქმიანობისათვის.

საინოვაციო აქტივობის განსაკუთრებით დაბალი დონით გამოირჩევიან ის დარგები, რომლებიც ორიენტირებულნი არიან შიდა ბაზრის მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაზე, როგორიცაა მსუბუქი და კვების მრეწველობა, საშენ მასალათა და ხის დამამუშავებელი მრეწველობა. სამამულო სამომხმარებლო საქონლის დაბალი კონკურენტუნარიანობის გამო, რომელსაც თან ახლავს იმპორტის ინტერვენცია, მეტად დაბალია წარმოების, მისი ტექნოლოგიურობის, ტექნიკური გადაიარაღებისა და სამეცნიერო-ტექნიკური პროცესის დონე. ასე, მაგალითად, მსუბუქი მრეწველობის საწარმოებში თითქმის 10 წელია არ განხორციელებულა ტექნოლოგიური დანადგარებისა და პროცესის განახლება, ხოლო არსებული ძირითადი ფონდების დიდი ნაწილი ფიზიკურად და მორალურად გაცვეთილი იყო უკვე 1990 წლისათვის. კონკურენტნარიანი და საექ-

---

[9] Бездумный Ф.Ф., Смирнова Г.А., Нечаева О.Д. Сущность понятия «инновация» и его класификация // Инновации, 1998 №2-3 (13).

სპორტო პროდუქციის წარმოება კი მოითხოვს ახალი ტექნოლოგიების შემოტანას, ტექნიკურ გადაიარაღებას.

იმ დარგების რიცხვს, რომელთაც საინოვაციო აქტივობის სასურველი დონე გააჩნიათ, მიეკუთვნება ფერადი მეტალურგია, კვების, ქიმიური და ნავთობქიმიური მრეწველობა. მათ პროდუქციაზე სტაბილური მოთხოვნილებაა, როგორც შიდა, ასევე გარე ბაზარზე.

საინოვაციო საქმიანობის თვალსაზრისით, მეტნაკლებად აქტიურნი რჩებიან მანქანათმშენებლობა და ლითონდამუშავება,მიუხედავად იმისა, რომ ამ კომპლექსში წარმოების დაცემა ძალიან დიდია, ხოლო საწარმოთა ფინანსური მდგომარეობა –რთული.

საინოვაციო საქმიანობის მდგომარეობა და მისი აქტივობის დაქვეითების მიზეზები მეტნაკლებად ანალოგიურია საქართველოს ეკონომიკის სხვა სფეროებშიც. ფინანსური საშუალებების დეფიციტი საინოვაციო აქტივობის დაქვეითების მთავარი, მაგრამ არა ერთადერთი ფაქტორია. ქვეყანა დაადგა საბაზრო რეფორმების გზას, საინოვაციო სფერო კი ახალ პირობებში მუშაობისათვის მოუმზადებელი აღმოჩნდა. ბაზრის ფორმირების პროცესს და მოთხოვნილებებს ჩამორჩება საინოვაციო პროდუქტის წარმოება, ხოლო სამეცნიერო-კვლევითი დამუშავებები ყოველთვის არ გადაიცევა საინოვაციო პროდუქტად, რომელიც მზად იქნება წარმოებაში ჩასაშვებად და ეფექტიანი რეაალიზაციისათვის. ამასთან, არსებობენ სამართლებრივი და ორგანიზაციული ხასიათის პრობლემები, ინტელექტუალური საკუთრების დაცვასა და გადაცემაში, ლიცენზირებასა და სერთიფიცირებაში და ა.შ. მეტ ყურადღებას და სრულყოფას საჭიროებს საინოვაციო საქმიანობის საინვესტიციო მექანიზმიც.

ყოველივე ზემოაღნიშნული მიუთითებს იმაზე, რომ საქართველოში აუცილებელია არსებითად გააქტიურდეს ინოვაციური საქმიანობა, რაც, უწინარეს ყოვლისა, სახელმწიფო ინოვაციური პოლიტიკის ფორმირებითა და ეტაპობრივი რეალიზაციით უნდა განხორციელდეს. მსოფლიო პრაქტიკაში არსებობს არა ერთი მაგალითი იმისა, რომ ქვეყნის ხელისუფლების ქმედითი ღონისძიებების გატარების შემდეგ ხდებოდა ეკონომიკური მაჩვენებლის სწრაფი

ზრდა, რაც, საბოლოო ჯამში განაპირობებდა სახელმწიფოს ეკონომიკურ კონკურენტუნარიანობას მსოფლიო ბაზარზე.

საქართველოში საინოვაციო საქმიანობის გააქტიურებამ ქვეყნის მდგრადი ეკონომიკური განვითარების საფუძველი უნდა შექმნას. ეფექტიანი ინოვაციური პოლიტიკის გატარება, უწინარეს ყოვლისა, ინოვაციური საქმიანობის თეორიული ასპექტების შესწავლას, მის ფუნდამეტურ, მეთოდოლოგიურ უზრუნველყოფას მოითხოვს. ამდენად, მიზანშეწონილია ამ საკითხზე უფრო ვრცლად შეჩერება.

1.2 საინოვაციო საქმიანობის მართვის თანამედროვე კონცეფციები

საინოვაციო საქმიანობის მართვა წარმოადგენს ეკონომიკური მეცნიერების დამოუკიდებელ სფეროს, რომელიც მიმართულია მატერიალური, შრომითი და ფინანსური რესურსების რაციონალური გამოყენების გზით უზრუნველყოს ინოვაციური მიზნის მიღწევა. ქვეყნის ეკონომიკის ძირეული რეფორმირების პირობებში, როდესაც ინოვაციები როგორც მიკრო, ასევე მეზო და მაკრო დონეზე ყველა სტრუქტურის საქმიანობის განუყოფელი ელემენტი ხდება, საინოვაციო საქმიანობის მართვაში მეცნიერული მეთოდების გამოყენება ქვეყნის ეკონომიკური განვითარების უმნიშვნელოვანეს ფუნქციას იძენს.

საინოვაციო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების აუცილებლობა განპირობებულია ინოვაციების მზარდი მნიშვნელობით ეკონომიკისათვის და მთლიანად საზოგადოებისათვის. როგორც ცნობილია, ეკონომიკური ზრდა დაფუძნებულია ექსტენსიური და ინტენსიური ფაქტორების კომპლექსზე. თანამედროვე ეტაპზე, პროდუქციის გამოშვების ზრდა, წარმოებაში შრომისუნარიანი მოსახლეობის დასაქმების გაზრდისა და ეკონომიკურ ბრუნვაში ახალი ბუნებრივი რესურსების ჩართვის საფუძველზე, სულ უფრო შეზღუდული ხდება. ეკონომიკური ზრდისათვის გადამწყვეტ მნიშვნელობას იძენს ინტენსიური ფაქტორები. თავის მხრივ, კადრების კვალიფიკაციისა და შრომის ნაყოფიერების ზრდა, აგრეთვე, ფონდუკუგების ამაღლება განისაზღვრება მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევებით, მოწინავე გამოცდილებებითა და მათი მეურნეობაში

გამოყენების ხარისხით, მაშასადამე, სიახლეთა გავრცელებით. მტპ-ის წვლილი მთლიანი შიდა პროდუქტის მატებაში სხვადასხვა განვითარებულ ქვეყანაში შეადგენს 75-დან 100%-მდე. ამგვარად, ინოვაციების საერთო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ასპექტს წარმოადგენს მათი გადამწყვეტი ზემოქმედება მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებზე.

საინოვაციო საქმიანობის გავლენით იცვლება აგრეთვე ეკონომიკის სტრუქტურა. რესურსების ეფექტიანი გამოყენების კვალობაზე ხდება მათი ნაწილის გამოთავისუფლება და ეკონომიკური საქმიანობის სხვა სფეროებში გადანაწილება. მაგალითად, როდესაც სოფლის მეურნეობის სფეროში დასაქმებულთა რაოდენობა მცირდება, პარალელურად მატულობს დასაქმების დონე მომსახურების სფეროში. აღნიშნული ტენდენცია შეინიშნება საქართველოშიც. ამგვარად, ინოვაციები უშუალოდ ზემოქმედებენ ერთი დარგიდან მეორეში რესურსების გადადინების პროცესზე. აქედან გამომდინარე, შეიძლება ვიმსჯელოთ ინოვაციების ისეთ საერთო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ფაქტორზე, როგორიცაა ზემოქმედება საზოგადოებრივი წარმოების სტრუქტურაზე.

ინოვაციები აგრეთვე ცვლიან საზოგადოების ეკონომიკურ ორგანიზაციას. ჩნდებიან სამეურნეო სტრუქტურის ახალი ელემენტები (მაგალითად, ვენჩურული ფირმები). ხდება ცვლილებები საკუთრების სხვადასხვა ფორმათა სტრუქტურასა და რეალიზაციაში. ვითარდება მართვის ტექნოლოგიები. სახეცვლილებას განიცდის თვით ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების პოლიტიკა. ამდენად, მნიშვნელოვანი გავლენა ინსტიტუციურ ეკონომიკურ მექანიზმებზე წარმოადგენს ინოვაციების კიდევ ერთ საერთო სახელწიფოებრივი მნიშვნელობის ასპექტს.

თანამედროვე მსოფლიოში საინოვაციო საქმიანობის ინტენსივობამ განსაკუთრებით გაამწვავა ეკოლოგიური პრობლემები. სხვადასხვა მიმართულებით ეკოლოგიური სიტუაცია კრიტიკულ ზღვარს მიუახლოვდა. ამდენად, მეცნიერულ- ტექნიკური მიღწევები საშუალებას იძლევა შემცირდეს ამოწურვადი რესურსებისა და მავნე ნარჩენების გამოყენება წარმოებისა და მოხმარების სტრუქტურის რაციონალიზაციის, აგრეთვე, ნარჩენების გადამამუშავებელი ტექნოლოგიების გავრცელების კვალობაზე. შესაბამისად, შეიძლება

ვიმსჯელოთ ინოვაციების ისეთ საერთო სახელმწიფოებრივ ასპექტზე, როგორიცაა მისი გავლენა გარემოზე.

საინოვაციო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების აუცილებლობა განპირობებულია არა მხოლოდ მათი საერთო ეროვნული მნიშვნელობით, არამედ აგრეთვე, მათი ეკონომიკური არსით. თანამედროვე ეტაპზე საინოვაციო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების შემდეგი ძირითადი მიმართულებები შეიძლება გამოვყოთ:

- <u>სახსრების აკუმულირება სამეცნიერო კვლევებისა და ინოვაციების დასაფინანსებლად.</u> რესურსების აუცილებელი კონცენტრაცია შესაძლოა მიღწეულ იქნეს როგორც ბიუჯეტიდან გადანაწილების საერთო მექანიზმის მეშვეობით, ასევე, სპეციალური ფონდების ფორმირებით. აღნიშნული შეიძლება განხორციელდეს არა მხოლოდ სახელმწიფო ხარჯზე ინოვაციური პროცესების დაფინანსების მეშვეობით, არამედ აგრეთვე, რესურსების კერძო, აქციონერულ, შერეულ, ერთობლივ (საერთაშორისო) სტრუქტურებში აკუმულირების ხელშეწყობით. სახელმწიფოს შეუძლია მოახდინოს როგორც ფინანსური, ასევე ინოვაციების განხორციელებისათვის აუცილებელი ინტელექტუალური, მატერიალურ-ტექნიკური რესურსების კონცენტრირება;

- <u>საინოვაციო საქმიანობის კოორდინაცია.</u> სახელწიფოს წინაშე დგას ინოვაციური პროცესების საერთო სტრატეგიული ორიენტირების განსაზღვრის ამოცანა. ამ ამოცანის გადასაჭრელად სახელმწიფო ხელს უწყობს სხვადასხვა ინსტიტუტის კოორდინაციასა და ურთიერთკავშირს ინოვაციების განხორციელების პროცესში. სახელმწიფო სტრუქტურები აყალიბებენ ერთიან ტექნოლოგიურ სივრცეს, რომელიც უზრუნველყოფს ინოვაციების შეთავსებას. აქტუალურ ამოცანას წარმოადგენს კოორდინაცია დროით ასპექტში, რომელიც ახდენს სინქრონიზებას ტექნოლოგიური ჯაჭვისა და ინოვაციური ციკლის სტადიების მიხედვით, ანელებს ინოვაციური პროცესის ციკლურობას;

- <u>ინოვაციების სტიმულირება.</u> ამ შემთხვევაში ცენტრალური ადგილი უკავია კონკურენციის ხელშეწყობას, აგრეთვე ინოვაციური პროცესების მონაწილეთა ფინანსურ სუბსიდირებასა და სხვადასხვა შეღავათს. დიდი მნიშვნელობა ენიჭება ინოვაციური რისკების მთლიან ან ნაწილობრივ სახელმწიფო დაზღვევას. სა-

ხელმწიფოს შეუძლია მოახდინოს სამეურნეო სუბიექტებზე "ინოვაციური ზეწოლა" მოძველებული პროდუქციის გამოშვების ან მოძველებული ტექნოლოგიების გამოშვებაზე სანქციების დაწესებით.

- <u>ინოვაციური პროცესის სამართლებრივი ბაზის შექმნა.</u> მნიშვნელოვანია არა__მხოლოდ აუცილებელი კანონმდებლობის ფორმირება, რომელიც სტაბილურობასა და ტექნოლოგიური ცვლილებების შესაბამისად თავისდროულ კორექტირებას უზრუნველყოფს, არამედ რეალურად მოქმედი მექანიზმების შექმნა, რომლებიც მათ დაცვას უზრუნველყოფენ. განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს სამეცნიერო- ტექნიკური პროდუქციის შემქმნელებისა და ინოვატორების უფლებების სახელმწიფო დაცვა, მაშასადამე, ინტელექტუალური და სამრეწველო საკუთრების უფლების დაცვა;

- <u>ინოვაციების საკადრო უზრუნველყოფა.</u> სახელმწიფო სასწავლო დაწესებულებებში სპეციალური სწავლების პროგრამების არსებობამ ხელი უნდა შეუწყოს როგორც ინოვატორების შემოქმედებითი პოტენციალის განვითარებას, ასევე სპეციალისტების მიერ ინოვაციების აღქმის პროცესს. აუცილებელია სწრაფვა უნივერსალური და სპეციალური ცოდნის მიღწევის ბალანსირებისაკენ, აუცილებელია მუდმივი თვითგანათლების ჩვევების ფორმირება მთელი აქტიური ცხოვრების მანძილზე;

- <u>მეცნიერულ-ინოვაციური ინფრასტრუქტურის ფორმირება.</u> სახელმწიფო უზრუნველყოფს ინფორმაციული სისტემების მოქმედებას – რომელიც სიახლეთა გავრცელების ერთ-ერთი ძირითადი საშუალებაა. სახელმწიფო ინოვატორებს ეხმარება სხვანაირადაც: იურიდიულად, საქმიანად, კონსულტაციურად და სხვა. სახელმწიფო აგრეთვე შეიძლება გამოვიდეს ინოვაციური სუბიექტების შუამავლად, ხელი შეუწყოს მათ პარტნიორების ძიებაში, ხელშეკრულებების გაფორმებაში სახელმწიფო გარანტიით და სხვა;

- <u>ინოვაციური პროცესების ინსტიტუციური უზრუნველყოფა.</u> აქ, უწინარეს_ყოვლისა, იგულისხმება სახელმწიფო ორგანიზაციების შექმნა, რომლებიც ასრულებენ სამეცნიერო-კვლევით და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოებს და ახოციელებენ სიახლეთა დანერგვას სახელმწიფო სექტორის დარგებში (თავდაცვა, ჯანდაცვა, განათლება და სხვა). სახელმწიფო აგრეთვე უწყობს ხელს ეკონომიკაში ორგანიზაციული სტრუქტურების გავრცელებას, რომ-

ლებიც ყველაზე უფრო ეფექტიანია ინოვაციების წარმოებისა და დანერგვის თვალსაზრისით (მსხვილი კორპორაციები, მცირე ბიზნესი და სხვა);

- <u>ინოვაციების სოციალური და ეკოლოგიური რეგულირება</u>. ერთი მხრივ, სახელმწიფო მოწოდებულია აღმოუჩინოს განსაკუთრებული მხარდაჭერა ისეთ ინოვაციებს, რომლებიც უზრუნველყოფენ სოციალურ სტაბილურობასა და ეკოლოგიურ წონასწორობას. მეორე მხრივ, მხოლოდ სახელმწიფო დონეზეა შესაძლებელი ისეთი ნეგატიური ზემოქმედებების თავიდან აცილება და ნეიტრალიზაცია, რომლებიც სამეცნიერო-ტექნიკურ პროგრესთანაა დაკავშირებული;

- <u>ინოვაციური საქმიანობის საზოგადოებრივი სტატუსის ამაღლება</u>. სახელმწიფო ორგანიზებას უკეთებს ინოვაციებისა და მეცნიერულ-ტექნიკური მიღწევების პროპაგანდას, ინოვატორების მორალურ წახალისებას, უზრუნველყოფს მათ სოციალურ დაცვას და ა.შ;

- <u>ინოვაციური პროცესების რეგიონული რეგულირება</u>. ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლებები ხელს უწყობენ რეგიონის საინოვაციო რესურსების ყველაზე სრულ რეალიზაციას. მათ შორის სხვადასხვა რეგიონული პრეფერენციის (საგადასახადო შეღავათები და სხვა) მეშვეობით. სახელმწიფო ხელს უწყობს სამეცნირო-ტექნიკური და ინოვაციური პოტენციალის რაციონალურ განთავსებას. როგორც წესი, ცენტრალური სახელისუფლებო სტრუქტურები მიისწრაფვიან ქვეყნის ტერიტორიების მიხედვით ინოვაციების გავრცელების პირობების გამოთავისუფლებისაკენ;

- <u>ინოვაციური პროცესების საერთაშორისო ასპექტების რეგულირება</u>. სახელმწიფო, არჩეული საერთო ეკონომიკური და ინოვაციური სტრატეგიის ფარგლებში ასტიმულირებს საერთაშორისო სამეცნიერო-ტექნიკურ და ინოვციურ კოოპერაციას, აგრეთვე არეგულირებს ინოვაციების საერთაშორისო ტრანსფერებს.

საქართველოს საწარმოების რესტრუქტურიზაცია, რომელიც მოწოდებულია რადიკალურად შეცვალოს მათი საწარმოო აპარატი, ორგანიზაცია და მართვა, ეკონომიკური მექანიზმი, წარმოადგენს ჭეშმარიტად ისტორიულ ამოცანას. თანამედროვე ეტაპზე დიდი რაოდენობით არასიცოცხლისუნარიანი საწარმოების არსებო-

ბა განაპირობებს არა მარტო საბაზრო გარდაქმნების გაჭიანურებას, არამედ, არსებითად განსაზღვრავს ეკონომიკის გრძელვადიანი განვითარების ბუნდოვან პერსპექტივებს.

საქართველოში პოსტსაბჭოურმა რეფორმებმა ცხადყო, რომ მცდარია წარმოდგენა საწარმოთა ავტომატური რესტრუქტურიზაციის შესახებ, ეკონომიკური სისტემის ცვლილების კვალობაზე. მოსაზრება იმის თაობაზე, რომ პოსტპრივატიზაციის პერიოდში სტრატეგიული ინვესტორების მოძიებას მთლიანად კაპიტალის ბაზარი უზრუნველყოფდა, არ გამართლდა. მართვის პროგრესული მეთოდებისა და ფორმების გამოყენება თითოეულ საწარმოში დამოკიდებულია არა პრივატიზაციის ტემპებზე, არამედ მის ხარისხზე.

ეკონომიკის ფართომასშტაბიანი სტრუქტურული რეორგანიზაცია, სიღრმისეული მიკროეკონომიკური გარდაქმნები და ფუნდამეტური ინსტიტუციური რეფორმები წარმოადგენს არა მარტო საბაზრო გარემოს ფორმირების გადამწყვეტ პირობას, არამედ – მაკროეკონომიკური სტაბილურობისა და მთლიანად ეკონომიკის ცივილიზებული განვითარების ფაქტორს. გრძელვადიან პერსპექტივაში ზრდა ობიექტურად შეუძლებელია თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენების, მეცნიერებატევადი და რესურსდამზოგი წარმოებების, მატერიალური წარმოებისა და მომსახურების სფეროს ინტეგრაციის ახალი მექანიზმების შექმნის, მრავალნაირი პერსპექტიული კორპორაციული ოგანიზაციის და მართვის მეთოდების ათვისების გარეშე.

წარმოების ინფორმაციული ბაზისა და მეცნიერულ-ტექნიკურ ცვლილებებთან მიმართებაში, მართვის ხარისხობრივი გარდაქმნის ერთ-ერთ გამოვლინებად შეიძლება ჩაითვალოს ცოდნის ახალი ფუნქციისა და მართვის მექანიზმის წარმოქმნა. საუბარია ინტელექტუალური კაპიტალის აკუმულირებაზე. საწარმოო და ინფორმაციული ტექნოლოგიების რევოლუციური ცვლილებების პირობებში, ინტელექტუალური კაპიტალის გამოყენება და მზარდი პროფესიონალური კომპეტენცია უზრუნველყოფს ქვეყნის ეკონომიკის ცხოველქმედობასა და წარმატებულ განვითარებას.

ადამიანური კაპიტალის თეორიის აღმოცენამ, კაცობრიობის განვითარების ისტორიაში არანივთობრივი დაგროვების მზარდი როლი განაპირობა. ადამიანური კაპიტალის ქვეშ იგულისხმება

ადამიანის ყველა მწარმოებლური უნარის ერთობლიობა, მაშასადამე ეს ცნება მოიცავს ცოდნისა და ჩვევების შეძენას, აგრეთვე- ეკონომიკური კეთილდღეობის საწარმოებლად გამოყენებულ ენერგიასა და მოტივაციას.[10] ადამიანურ კაპიტალში ინვესტიციების ძირითად ფორმებს მიაკუთვნებენ: განათლებას, აღზრდას, ჯანდაცვას, აგრეთვე დანახარჯების მთლიან კომპლექსს, რომელიც დაკავშირებულია ადამიანის მოსამზადებლად წარმოებაში ჩართვისთვის. ფიზიკური კაპიტალის მსგავსად მისი ფორმირება მოითხოვს მნიშვნელოვან დანახარჯებს როგორც თვით ადამიანისგან, ასევე მთლიანად საზოგადოებისგან. ბუნებრივია, რომ ამგვარი დანახარჯები არ იქნებოდა გაწეული, თუ იგი ვერ უზრუნველყოფდა ადამიანის უფრო მაღალ შემოსავლებს. ამგვარად, ადამიანური კაპიტალი განიხილება როგორც მარაგი, რომელიც შეიძლება დაგროვდეს და მომავალში უფრო მაღალი შემოსავლის წყარო გახდეს.[11]

თუ 90-იან წლებში ეკონომიკური ზრდის პრობლემების მრავალრიცხოვანი კვლევების შედეგებს შევაჯამებთ, შეიძლება დავასკვნათ, რომ ყველა მკვლევარი მაკროეკონომიკური ზრდის ყველაზე მნიშვნელოვან ფაქტორად განათლებას განიხილავს. ამ ფაქტორმა, თანამედროვე პირობებში, მეორე ეტაპზე გადაიყვანა ისეთი მნიშვნელოვანი ცვლადები, როგორიცაა დანაზოგები, ინვესტიციები და მოსახლეობის ზრდა. საგულისხმოა, რომ სხვა პარამეტრები — ინფლაცია, სამთავრობო ხარჯები, ფისკალური პოლიტიკა, მონეტარული პოლიტიკა და პოლიტიკური არასტაბილურობა — უმრავლეს მოდელებში ეკონომიკური ზრდის უნიშვნელოვანეს მაკროეკონომიკური ფაქტორების სახით არ განიხილება.

21-ე საუკუნეში ეკონომიკური ზრდის უმთავრესი რესურსი და წყარო ადამიანური კაპიტალის და მასში ინვესტიციების ზრდაა. პოსტსაბჭოთა ქვეყნების (და არა მარტო მათი) მაგალითმა აჩვენა, რომ გლობალიზაციამ და ლიბერალურმა რეფორმებმა ყვე-

---

[10] Нуреев Р. Теория развития: новые модели экономческого роста (вклад человеческого капитала). Вопросы экономики, №9, 2000, с. 144;
[11] იქვე, გვ. 144.

ლაზე მეტად სწორედ ნაკლებად კვალიფიციური სამუშაო ძალა დააზარალა.[12]

ეკონომიკური განვითარების წარმატებული მოდელების, ან უარეს შემთხვევაში, ამ მოდელების ცალკეული ფრაგმენტების იმიტირების სავალალო შედეგები ისტორიაში კარგად არიან ცნობილნი. გამონაკლისია მხოლოდ სამხრეთ – აღმოსავლეთ აზიის ქვეყნები, რომლებმაც განვითარების იაპონური მოდელის "კონცეპტუალური" იმიტირებით უმოკლეს დროში ეკონომიკური სასწაული მოახდინეს.

განვითარების სამხრეთ-აზიურ მოდელში ეკონომიკური პოლიტიკის მთავარ მიმართულებად არა მხოლოდ უცხოური ინვესტიციების მოზიდვა, არამედ მსოფლიოში ფართოდ გამოყენებული უახლესი მაღალი ტექნოლოგიების ათვისება და დანერგვაა განსაზღვრული. აზიის ქვეყნებში განათლებასა და სამუშაო ძალის მაღალ კვალიფიკაციაზე აქცენტის გადატანა განაპირობა იმპორტის შემცვლელი ინდუსტრიალიზაციის პოლიტიკიდან ექსპორტის მასტიმულირებელ პოლიტიკაზე გადასვლამ. მიუხედავად იმისა, რომ აზიის ქვეყნების უმრავლესობის შედარებით უპირატესობას იაფი სამუშაო ძალა წარმოადგენდა, მორჩილების თავიდან ასაცილებლად, მათ მაღალ ტექნოლოგიებზე, ინტელექტუალურ კაპიტალზე და მეცნიერებატევადი და კაპიტალტევადი პროდუქციის ექსპორტზე ორიენტირებული პოლიტიკა აირჩიეს.

რა უპირატესობა ჰქონდა ექსპორტზე ორიენტირებულ პოლიტიკას იმპორტის შემცვლელ ინდუსტრილიზაციასთან შედარებით. იმპორტის შემცვლელმა ინდუსტრილიზაციამ, კაპიტალის ნაკლებობის (ან უბრალოდ, არარსებობის და შესაბამისი მენეჯერული ცოდნის ნაკლოვანებათა) შედეგად, უზარმაზარი ფინანსური ვალდებულებები დაუგროვა ქვეყნებს და საწარმოებს, რომელთა გადახდაც შეუძლებელი გახდა სუსტი, მცირე მოგების მქონე ახალგაზრდა დარგების და ჩაკეტილი ეკონომიკის პირობებში, ასე რომ, იმპორტის შემცვლელი ინდუსტრიალიზაციის უზარმაზარი დანახარჯები ღირებულებით მაჩვენებლებში გაცილებით მეტი აღმოჩნდა,

---

[12] Ethan B. Kapstein. Winners and Losers in the Global Economy, International Organization, 54, 2, 200. P. 359-384.

ვიდრე ამ პოლიტიკისგან მიღებული სარგებელი. ამასთან, მოცემული სტრატეგია არცთუ ისე დამაიმედებლად გამოიყურებოდა მსოფლიოს წარმატებული ღია ეკონომიკების სწრაფი განვითარების ფონზე. სწორედ ამიტომ, სამხრეთ აღმოსავლეთ აზიაში (სამხრეთ ამერიკისგან განსხვავებით, სადაც იმპორტის შემცვლელი ინდუსტრიალიზაციის სტრატეგია ასევე მეტად პოპულარული და ასეთივე დოზით, წარუმატებელი იყო) მთავრობებმა კურსი ექსპორტზე ორიენტირებული პოლიტიკისკენ აიღეს, რომლის განხორციელებაც სამუშაო ძალის კვალიფიკაციის ამაღლებაზე და მაღალი ტექნოლოგიების მოზიდვაზე იყო დამოკიდებული. ცხადია, ფინანსურად არც ახალი პოლიტიკა იყო იაფი, მაგრამ მისი წარმატება გარანტირებული იყო სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ისედაც საკმაოდ განათლებულ, შრომისმოყვარე მუშახელის პირობებში. ასე, რომ , "მეორე ინდუსტრიულმა რევოლუციამ"[13] (ასე უწოდეს ამ პოლიტიკას ტაივანსა და სინგაპურში) რეალური შედეგები გამოიღო. ამასთან, აზიის ქვეყნებში სახელმწიფოს მაკროეკონომიკური პოლიტიკის შედეგად, 70-იანი წლების დასასრულს უკვე საკმაოდ მომძლავრდა შრომატევადი და კაპიტალტევადი პროდუქციის წარმოება. იაფი შრომითი რესურსით, ამ ქვეყნებმა თავიდანვე მოიზიდეს ინვესტიციები, რის გამოც, რეგიონში წარმოების საკმაო გამოცდილება დაგროვდა. ასეთ პირობებში, მაღალი ტექნოლოგიების მოზიდვა, მათი დანერგვა და ფართოდ გამოყენება შედარებით გამარტივდა, თუმცა ამას ხელი შეუწყო სახელმწიფოს ლიდერთა პოლიტიკურმა ნებამ და ძლიერმა სახელმწიფო კონტროლმა ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელებაზე.

აზიის ქვეყნების მიერ განათლებასა და მაღალ ტექნოლოგიებზე ორიენტირების სტრატეგიის ხორცშესხმის შედეგად, რეგიონის ქვეყნები ცნობილი არიან ე.წ. "პროცესის ინოვაციით", ანუ უკვე არსებული პროდუქტების წარმოების პროცესის დახვეწით, არსებული ტექნოლოგიებისათვის ახალი თვისებების მინიჭებით. სწორედ ამ პროცესებს მოჰყვა აზიის ახლადინდუსტრიალიზებული ქვეყნების საკუთარი გამოგონებები, ახალი საბაზრო ნიშნების შექ-

---

[13] The South-East Asia – Diversity and development by Thomas R. Leinbach, Richard Ulck, Prentice Hall 200, p. 88.

მნა და საექსპორტო პროდუქციის წარმოება, რომელიც უცხოური ვალუტისა და დადებით სალდოიანი საგადასახადო ბალანსის მუდმივი წყარო გახდა.

რატომ არ ჰქონდა რადიკალურ ლიბერალურ რეფორმებს მსგავსი შედეგები პოსტსაბჭოთა ქვეყნებში?

პირველყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ როგორც კულტურული და ისტორიული მემკვიდრეობის, ასევე ეკონომიკური განვითარების არჩეული სტრატეგიის თვალსაზრისითაც, ეს ორი რეგიონი მკვეთრად განსხვავდება ერთმანეთისაგან: აზიის ქვეყნების უმრავლესობა არ იყო კომუნისტური; მათ ჰქონდათ იაპონიის ეკონომიკური განვითარების სქემა და ამავე დროს, მისი დიდი მხარდაჭერა; აზიის ქვეყნები (საკუთარი სურვილით) გაცილებით ნაკლებად იყვნენ მიჯაჭვულნი საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებზე; მათი რეფორმები გრადუალისტური იყო და არა რადიკალური.

პოსტკომუნისტური საზოგადოება კი სრულიად მოუმზადებელი შეხვდა რადიკალურ რეფორმებს და დემოკრატიულ ინსტიტუტებს. სამართლებრივმა ქაოსმა და დაჩქარებულმა პრივატიზაციამ წარმოშვა კერძო მესაკუთრეთა ფენა, რომელიც თითქმის სახელმწიფო მოხელეთა ფენის იდენტური აღმოჩნდა. ამ უკანასკნელთა მოკლევადიანმა პოლიტიკურმა და ეკონომიკურმა ინტერესებმა იმძლავრა ქვეყნის გრძელვადიან ეკონომიკურ ინტერესებზე და ადამიანურ კაპიტალში ინვესტირების, ანუ განათლების, პოლიტიკურად საკმაოდ არაპოპულარული სფეროს, დაფინანსების პრობლემებმა თითქმის უკანასკნელ პლანზე გადაინაცვლა.[14]

განათლება საშუალებას იძლევა ავითვისოთ არა მარტო ძველი, უკვე დაგროვილი ცოდნა, არამედ შრომის პროცესში ხელს უწყობს ახალი ცოდნის შეძენას, აგრეთვე, უზრუნველყოფს პიროებებს მათი მომავალში წარმოებისათვის. ამიტომ განათლება უნდა იყოს ქვეყნის პოლიტიკის წინმსწრები ფაქტორი, რომელიც მომავალი პროგრესის წინამძღვრებს შექმნის.

---

[14] ახვლედიანი ა. ეკონომიკური ზრდის აზიური მოდელი და ლიბერალური რეფორმები პოსტკომუნისტურ სივრცეში: შედეგები, გაკვეთილები. ჟ. „ეკონომიკა“, 2001, №7, გვ.4;

ჯერ კიდევ 60-70-იან წლებში ადამიანური კაპიტალის აღიარებულმა მნიშვნელობამ განაპირობა მისი დაჩქარებული ფორმირების საინვესტიციო პროგრამების ფართო გავრცელება. განვითარებად ქვეყნებში ეს გამოიხატა ძირითადად დაწყებითი და საშუალო განათლების სისტემის განვითარებით, რომელიც განიხილებოდა, როგორც შრომის ნაყოფიერების ზრდის მთავარი ფაქტორი. მართლაც, გაუნათლებლობის აღმოფხვრა წარმოადგენს ეროვნული შრომის ნაყოფიერების ამაღლების უმნიშვნელოვანეს ფაქტორს. ამ თვალსაზრისით, მნიშვნელოვანი გათვლები აქვს ჩატარებული საბჭოელ მეცნიერს ს. სტრუმილინს[15] (30-იანი წლები), რომელიც თვლიდა, რომ განათლებულობა ამაღლებს შრომის ნაყოფიერებას 24%-ით, ხოლო საშუალო განათლება 67%-ით.

როგორც უკვე აღვნიშნეთ საქართველო ყოველთვის გამოირჩეოდა ინტელექტუალური და საკმაოდ მაღვალკვალიფიციური სამუშაო ძალით, მაგრამ თანამედროვე ეტაპზე, სტიმულების არარსებობამ, მისი უდიდესი ნაწილის უცხოეთში გადინება განაპირობა. ეს პროცესი კიდევ უფრო აღრმავებს ეკონომიკურ კრიზისს და ნაკლებსაალბათოს ხდის ქვეყნის წარმატებულ მომავალს.

ამრიგად, საქართველოში საინოვაციო საქმიანობის მართვის პოლიტიკაზე საუბრისას, უწინარეს ყოვლისა, გათვალისწინებული უნდა იყოს ადამიანური კაპიტალის ფორმირებისა და შემდგომი სრულყოფის აუცილებლობა. განათლება, ჯანდაცვა, პერმანენტული ინვესტიციები სპეციალისტების გადამზადებასა და კვალიფიკაციის ამაღლებაში, აი, ეს ძირითადი ინსტრუმენტები, რომელთაც შეუძლიათ ოპტიმალურ პერიოდში მოახდინონ ძირეული გარდატეხა ქვეყნის ეკონომიკის სოციალური ორიენტაციის გაფართოებისა და მდგრადი ტექნოლოგიური განვითარების თვალსაზრისით.

1.3 ინოვაციური საქმიანობის გავლენა ეკონომიკურ ზრდაზე

არდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნების წინაშე მდგარი ამოცანებიდან განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპის უზრუნველყოფა. ეკონომიკური

---

[15] Струмилин С. Проблемы экономики труда. М., 1957, с. 598.

ზრდის წყაროს წარმოადგენს სხვადასხვა ფაქტორთა კომპლექსი. მათ შორის მნიშვნელოვანი ფაქტორია ინვესტიციები ნოვაციებში. რაც უფრო მეტ სახსრებს წარმართავს ქვეყანა წარმოების განვითარებაზე, მით უფრო მაღალია მისი ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელი. ამრიგად, ეკონომიკურ ზრდას საფუძვლად უდევს ინოვაციური პროცესი.

პროფესორი საიმონ კუზნეცი, რომელმაც 1971 წელს ეკონომიკური ზრდის გამოკვლევისათვის ნობელის პრემია მიიღო, ეკონომიკურ ზრდას განიხილავდა როგორც ეროვნული მეურნეობის მუდმივად მზარდ შესაძლებლობას უზრუნველყოს მოსახლეობის სულ უფრო გადიდებული და მრავალფეროვანი მოთხოვნილებები უფრო ეფექტიანი ტექნოლოგიებისა და მათი შესაბამისი ინსტიტუციონალური და იდეოლოგიური ცვლილებების საშუალებით.[16] ეკონომიკური მეცნიერება ყოველთვის დიდი ყურადღებას უთმობდა და უთმობს ეკონომიკური ზრდის პრობლემებს. შექმნილია არა ერთი თეორია, რომელიც ასახავს ეკონომიკური ზრდისა და მის განმსაზღვრელ ფაქტორებს შორის ურთიერთკავშირს.

XX საუკუნის 30-იანი წლების დასასრულამდე ეკონომიკური მეცნიერება ფართოდ არ განიხილავდა ინოვაციურ პროცესებს, როგორც ეკონომიკური ზრდის ერთ-ერთ ძირითად ფაქტორს. ეკონომისტების უმრავლესობა ინოვაციებს განიხილავდა როგორც ეგზოგენურ მოვლენას და ამიტომ ეკონომიკური განვითარების ევოლუციურ მოდელებში იგი პრაქტიკულად არ მიიღებოდა მხედველობაში. გარდატეხა ამ საკითხში უდიდესი მენიერული ღირებულების მქონე შრომებით შეიტანა ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორმა, წარმოშობით ავსტრიელმა ჯოზეფ შუმპეტერმა. იგი, თავის შრომებში, ეკონომიკის განვითარებისათვის გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებს ნოვაციებს. რაც შეეხება ეკონომიკურ ზრდაში ტექნიკური ნოვაციების რაოდენობრივ შეფასებას – კანტოროვიჩი, გოლოსოვსკი, სოლოუ და სხვა გამოჩენილი ეკონომისტები, მთლიან ეროვნულ პროდუქტზე აღნიშნული ფაქტორის ზემოქმედების ხვედრით წილს აფასებდნენ 2/3-დან 87%-მდე. ხოლო ზრდის გან-

---

[16] Kuznets S. "Modern economic growth: Findings and reflections", Nobel lecture delivered in Stokholm, Sweden, December, and published in the American Economic Review #63, September 1973, p. 63

მსაზღვრელ დარჩენილ ნაწილს მიაწერდნენ კაპიტალის დაბანდებას.[17]. დღეს ამ შეფასებებმა ალიარება ჰპოვეს მიუხედავად მათი პირობითობისა.

მრავალი მეცნიერ-ეკონომისტის მიერ ჩატარებული კვლევები და პრაქტიკული მაგალითები ცხადყოფს, რომ სიახლეთა ინვესტირება ეფექტიანია. ინოვაციური ცვლილებები ეკონომიკურ სისტემაში ქმნიან ეფექტიანი ზრდის შინაგან ენერგიას. ინოვაციები უზრუნველყოფენ ეკონომიკური სისტემის ახალ წონასწორობით მდგომარეობაში გადასვლას.

ფართოდ ცნობილი კობა-დუგლასის საწარმოო ფუნქცია და ეკონომიკური ეფექტიანობის განსაზღვრისათვის გამოყენებული ვ. ლეონტიევის ფუნქცია ყველაზე უკეთ აღწერენ რეალურ მოვლენებს, თუმცა სამეცნიერო პროგრესის ზემოქმედების განსაზღვრისათვის აუცილებელია საწარმოო ფუნქციისათვის შესაბამისი კოეფიციენტების დადგენა.

ვ. ლეონტიევის დიფერენციალურმა მოდელმა სხვადასხვა ქვეყნის საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების კანონზომიერების დადგენაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ვ. ლეონტიევი თვლიდა, რომ დონორი ქვეყნებიდან გადინებული კაპიტალის მასშტაბები პირდაპირ კავშირშია ეკონომიკური ზრდის ტემპებთან. აღნიშნულ მოდელში, ადგილობრივი და უცხოური ინვესტიციები მიჩნეულია თანაბარეფექტიანად, ვ. ლეონტიევს მიაჩნდა, რომ უცხოური კაპიტალი მხოლოდ დამატებითი ფინანსური რესურსია, რომლის უკუგება განისაზღვრება : "რეციპიენტი" ქვეყნის კვლავწარმოების ეროვნული პირობებით. თუმცა, გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში უცხოური კაპიტალის მოზიდვის ღრმა ეკონომიკური აზრი იმაში მდგომარეობს, რომ ეროვნულ ეკონომიკაში, კაპიტალთან ერთად შემოდის ახალი ტექნოლოგიები, წარმოების ახალი ორგანიზაციული ფორმები, რომლებიც ადგილობრივი წარმოებისაგან განსხვავებით, გაცილებით მაღალ ეკონომიკურ ეფექტს იძლევიან.

---

[17] Шумпетер Й. Теория экономического развития – М.: Прогресс, 1982; Контрович Л.В., Кругликов А.Г. Укрупненый расчет вклада науки и техники в национальный доход СССР – ВНИИСИ: сб, трудов, №10, 1978-с. 56-64.

სწრაფად განვითარებად სამყაროში სტატისტიკური მოდელები სულ უფრო არასაიმედო ხდება, ვინაიდან არ ითვალისწინებენ ადამიანის ცოდნის ფაქტორს და მის აქტივობას ეკონომიკური პროცესების მოდელირების დროს. 1911 წელს ი. შუმპტერმა თავის ნაშრომში " ეკონომიკური განვითარების თეორია" ტექნიკური ინოვაცია წარმოადგინა როგორც ეკონომიკური საშუალება, რომელსაც იყენებს მეწარმე უფრო მაღალი მოგების მიღების მიზნით. ნახევარი საუკუნის განმავლობაში შუმპტერის სიახლემ ვერ ჰპოვა აღიარება ეკონომიკურ მეცნიერებაში. ჟ. ნეიმანის ეკონომიკური ზრდის თეორიაში ტექნოლოგიური პროგრესისათვის ადგილი არ იქნა განკუთვნილი. ხაროდის მოდელში ძირითად ფაქტორებს წარმოადგენდა ეფექტიანი მოთხოვნა და სამუშაო ძალა.

შემდგომში სოლოუმ და აბრამოვიჩმა აჩვენეს ტექნოლოგიური ცვლილებების უპირატესი ეკონომიკური ზემოქმედება. მის შემდეგ ინოვაციებს და მათ გამომწვევ ფაქტორებს სულ უფრო მეტი ადგილი დაეთმო ეკონომიკურ მეცნიერებაში.

ეკონომიკურ მოდელებს შორის, რომლებიც ითვალისწინებენ ტექნოლოგიურ ცვლილებათა როლს, მნიშვნელოვანი სიახლე შეიტანა კალეცკის თეორიამ. ეს თეორია ითვალისწინებს მოთხოვნის ფაქტორს. იგი ოპერირებს სასაქონლო ბრუნვის ციკლებით, მაგრამ არ ითვალისწინებს უწყვეტი გრძელვადიანი ზრდის ტენდენციას. ციკლის ფარგლებში შესაძლებელია მუდმივი ზრდის უზრუნველყოფა. ახალ ტექნიკურ გადაწყვეტილებებს კალეცკი ადარებს პერიოდულ შოკებს, რომლებიც გრძელვადიან პერსპექტივაში ამცირებენ ეკონომიკური ვარდნების ხანგრძლივობას და აგრძელებენ ეკონომიკური აღმავლობის პერიოდს.

მე-20 საუკუნის 50-იანი წლებიდან 80-იანი წლების შუახანამდე ეკონომიკურ მეცნიერებაში გამეფებული იყო ნეოკლასიკური თეორიის შემადგენელი კონცეფცია ტექნიკური პროგრესის ეგზოგენური ბუნების შესახებ. ეს კონცეფცია დასაბუთებული იყო ი. ტინბენრგენის, რ. სოლოუს, რ. ხაროდის, დ. ხიკსის და რიგი ცნობილი ეკონომისტის შრომებში. ეკონომიკური ზრდის სამფაქტორიანი საწარმოო ფუნქციის გამოკვლევებმა აჩვენეს, რომ თეორეტიკოსების მოსაზრება სამეცნიერო – ტექნიკური ფაქტორისადმი კრებსითი

ფუნქციის დაკისრებაზე, რომელიც აერთიანებს შრომისა და კაპიტალის გარდა ყველა სხვა ფაქტორს, კორექტული არ არის.

ამ გარემოებამ განაპირობა ახალი მოდელების ძიება ენდოგენური სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის დასაბუთების მიზნით. ამ საკითხთან დაკავშირებით მნიშვნელოვანი თეორიული გამოკვლევები ჩაატარეს პ. რომელმა, რ. ლუკასმა, ფ. აგიონმა, პ.ხოუვიტმა და სხვებმა, რომლებმაც დაასაბუთეს კონკრეტულ მაკროეკონომიკურ სისტემაში მისთვის დამახასიათებელი (ენდოგენური) ტექნოლოგიური ცვლილებები, ტრადიციული ფაქტორების - შრომისა და კაპიტალის ერთი და იგივე შეფარდებისას. ეს გარემოება ახსნილია ადამიანის კაპიტალის დაგროვებით, რომელიც განაპირობებს ეფექტის ზრდას წარმოების მასშტაბიდან გამომდინარე.

ეკონომიკური ზრდის ახალი კლასის მოდელების შექმნამ, ენდოგენური ტექნოლოგიური პროგრესის გათვალისწინებით, საგრძნობლად გაზარდა ინტერესი ეკონომიკური დინამიკის საკითხისადმი. ამგვარი მოდელების გამოყენებით გამოიკვეთა რამდენიმე პრაქტიკული შედეგი ეკონომიკის გრძელვადიანი ზრდისათვის, კერძოდ, სათანადო სახელმწიფო პოლიტიკის საშუალებით ადამიანის კაპიტალის დაგროვების სტიმულირება, რესურსების ზრდა ადამიანის კაპიტალის დაგროვებისათვის და ეკონომიკური სივრცის როლის განსაზღვრის აუცილებლობა.

ეკონომიკური ზრდის ახალმა მოდელებმა სწრაფად შეიძინეს მომხრეებიცა და კრიტიკოსებიც.

კრიტიკოსებს შორის იყო ნეოკლასიკური თეორიის ერთ-ერთი შემქმნელი რ. სოლოუ. იგი აღნიშნავდა, რომ ამ მოდელებში გამოყენებულია მომავალი სპეციალური და ხშირად დასაბუთებული დაშვებები იმ ტექნოლოგიური პროცესების დახასიათებისათვის, რომლეთა მოდელირებაც ხდება, სამეცნიერო მოღვაწეობის ბუნების, ადამიანური კაპიტალის ფორმირებისა და გამოყენების, ბაზრის სტრუქტურისა და სხვა საკითხებთან დაკავშირებით. მას მიაჩნდა, რომ საჭიროა ამ დაშვებების ემპირიული დადასტურება და დასკვნების დაზუსტება.[18]

---

[18] Solov R.M. Grouth Theory. Companion to Contewporary Economic Theught, 2, 1991;

კრიტიკული შენიშვნები გამოაქვეყნა ჩ. ჯონსმა, რომელმაც შენიშნა, რომ სხვადასხვა ქვეყნის ემპირირიული მაჩვენებლებით არ დასტურდება მასშტაბის ეფექტი სამეცნიერო კვლევებისა და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოთა სფეროში.[19]

ნეოკლასიკური, ისევე როგორც ნეოკეინსიანური მოდელები, არსებითი განსხვევების მიუხედავად, ეფუძნებოდნენ მსგავს მეთოდოლოგიას. მათგან განსხვავებით ინსტიტუციონალიზმი ემყარება ხარისხობრივად სხვა თეორიულ ფუნდამენტს. საგულისხმოა, რომ ინსტიტუციონალიზმს საფუძვლად უდევს გერმანული "ისტორიული სკოლის", ინგლისელი ფაბიანელებისა და ფრანგი სოციოლოგების ტრადიციები. განსაზღვრული ზემოქმედება ინსტიტუციონალიზმის განვითარებაზე მოახდინა, აგრეთვე მარქსისტულმა თეორიამაც. ინსტიტუციონალიზმის თეორიის ფორმირებაში განსაკუთრებული ღვაწლი მიუძღვის შვედ მეცნიერს, სტოკჰოლმის უნივერსიტეტის საპატიო პროფესორს, გაეროს ექსპერტს გუნარ მიურდალს.

მიურდალის მიხედვით სუსტად განვითარებულობისა და დაბალი ეკონომიკური ზრდის ტემპის მთავარი მიზეზია არა კაპიტალის ნაკლებობა, არამედ შრომითი რესურსების, ინტელექტუალური პოტენციალის ბოლომდე გამოუყენებლობა. იგი წერდა, რომ ხალხი არ არის დაინტერესებული თავიანთი საქმიანობით, ისინი არ მუშაობენ ინტენსიურად და მწარმოებლურად, მორღვეულია კავშირი სამეცნიერო შრომით საქმიანობასა და პრაქტიკას შორის.[20]

ინსტიტუციონალური კონცეფციის ერთ-ერთი მამამთავარი თეოდორ შულცი განვითარებას განიხილავდა არა როგორც მხოლოდ ეკონომიკური ზრდის ტემპების ამაღლებას, არამედ როგორც ინვესტიციებს ადამიანურ კაპიტალში და სიღარიბის აღმოფხვრას.

განვითარებულ ქვეყნებში ეკონომიკური ზრდა სულ უფრო მეტადაა დამოკიდებული სამეცნიერო-კვლევით სამუშაოებსა და ტექნოლოგიურ პროგრესზე. საქმიანობის ამ სფეროში ინვესტიციების ოდენობის დადგენა საკმაოდ რთულია. ეკონომიკაში სამეცნიერო კვლევების მასშტაბების დასადგენად მიზანშეწონილია სამეცნიერო-

---

[19] Jons C.I. RaD-based Models of Economic Growth, Jons of Political Economy, 1995, V, 103, #4.

[20] Myrdal G. Asian Drama: An Inquiry into the Poverty of atons, vol I-II, L.N.V. 1968;

კვლევით სამუშაოებზე გაწეული დანახარჯების შეფარდება მშპ-თან. მაჩვენებლით მსოფლიოში შვედეთი ლიდერობს – 3.85%. ევროგაერთიანებაში იგი საშუალოდ 1.83%-ს შეადგენს, აშშ-ში – 2.79%-ს, იაპონიაში – 2.92%-ს.[21] აღსანიშნავია, რომ საქართველოში ნაკლები ყურადღება ეთმობა ფუნდამეტური სამეცნიერო გამოკვლევების დაფინანსებას (მაგალითად, საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემებით საქართველოში დანახარჯები მეცნიერებაზე 1998 წელს მშპ-ს 0.2%-ს შეადგენდა), რაც გრძელვადიან პერსპექტივაში ქვეყნის ეკონომიკური ზრდის მნიშვნელოვანი შემაფერხებელი ფაქტორი შეიძლება გახდეს.

უცხოეთის ცალკეული კომპანიების მიერ წარმოდგენილი მონაცემების საფუძველზე, შეიძლება დავასკვნათ, რომ საშუალოდ მაღალკონკურენტუნარიანი იაპონური, ამერიკული და გერმანული კომპანიები სამეცნიერო-კვლევით და ორგანიზაციულ-საკოსტრუქტორო სამუშაოებზე დაახლოებით ერთნაირ თანხებს ხარჯავენ (იხ. ცხრილი 1.3.1)

ცხრილი 1.3.1

90-იან წლებში მსოფლიოს წამყვანი კომპანიების ხარჯები სამეცნიერო-კვლევით და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოებზე (%)[22]

	კომპიუტერები და საოფისე მოწყობილობები		ავტომობილები		ელექტრონიკა და ნახევარგამტარები	
აშშ	IBM Apple Computer Xerox	13.5% 15.4% 11.0%	GM Ford Chrysler	2.3% 3.1% 4.2%	Motorola	8.9%
იაპონია	Fujitsu NEC Sharp Casio Computer Canon	11.0% 9.1% 6.1% 4.9% 5.0%	Toyota Honda Nissan	3.2% 4.2% 3.8%	Hitachi Toshiba Mitsubishi-Electric Sony Matsushi-taclectric	9.9% 8.1% 7.6% 6.0% 6.2%
ევროპა	Siemens	9.8%	Mersedes-Benz BMW	4.8% 3.9%	Philips	7.4%

[21] გაზ. „ეკო-დაიჯესტი“, 1999, 12 სექტემბერი.

[22] Куликов Г.В. Японский менеджмент и теория международной конкурентоспособности, М., «Экономика», 2000, с. 131.

განვითარებულ ქვეყნებში სახელმწიფოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფუნქციაა კერძო სამეწარმეო სექტორში ინოვაციური საქმიანობისთვის ხელშემწყობი პირობების შექმნა. რაც ძირითადად შემდეგ ღონისძიებებს გულისხმობს:

1. კერძო სექტორის სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოებზე გაწეული ხარჯების შეტანა პროდუქციის თვითღირებულებაში;
2. სამეცნიერო მოწყობილობა-დანადგარების მნიშვნელოვანი ნაწილის ჩამოწერა დაჩქარებული ამორტიზაციის ნორმების მიხედვით;
3. კონკრეტული მისამართით საგადასახადო შეღავათების გამოყენება, რომელიც გამიზნული იქნება მსხვილ კორპორაციებში მეცნიერული ხარჯების მუდმივ ზრდაზე, აგრეთვე, - ინოვაციურ საქმიანობაში მცირე და საშუალო ბიზნესის მოზიდვაზე;
4. მეცნიერულ-ტექნიკური სამუშაოების შეღავათიანი დაკრედიტება და მსხვილი პროექტების წილობრივი დაფინანსება
5. ინოვაციური საწარმოების შექმნის მიზნით, სახელმწიფო ქონების ან მიწის უსასყიდლოდ ან შეღავათიანი პირობებით გადაცემა. აგრეთვე, სამეცნიერო ინფრასტრუქტურის შექმნა რეგიონებში.

აღნიშნულ ღონისძიებათა ნაკრების კომბინირება დამოკიდებულია ამა თუ იმ ქვეყნის მეცნიერული პოლიტიკის კონკრეტულ ამოცანებზე. განვითარებული ქვეყნები და ახალი ინდუსტრიული სახელმწიფოები ბოლო 20 წლის მანძილზე აქტიურად ატარებენ მეცნიერების სტიმულირების საგადასახადო პოლიტიკას, რომელიც მიმართულია კერძო სექტორისაკენ, რადგან მეცნიერული საქმიანობის ეკონომიკური თავისებურებიდან გამომდინარე, მეწარმე არ არის დაინტერესებული მეცნიერებაზე იმ ხარჯების გაწევით, რომლიდანაც სარგებელი მთელ საზოგადოებაზე ნაწილდება.[23] იმ კაპი-

---

[23] კონომიკურ მეცნიერებაში ეს პროცესი „ფრირაიდერის" (ფრეე რიდერ – უფასო სარგებლობა) პრობლემის სახელწოდებითაა ცნობილი

ტალზე, რომელიც დაბანდდება მეცნიერულ კვლევებსა და სამუშაოებში, საგადასახადო შეღავათების დროებითი ან მუდმივი დაწესებით, ცალკეული ქვეყნები, ძირითადად აღწევენ ამ სფეროში დანახარჯების ზრდას. განსაკუთრებული შედეგიანობით გამოირჩევიან ქვეყნები, სადაც დაწესებულია მნიშვნელოვანი და ხანგრძლივმოქმედი შეღავათები.

საბაზრო ურთიერთობათა ფორმირების თანამედროვე ეტაპზე საქართველოში საინოვაციო საქმიანობა უაღრესად დაქვეითებულია, რაც ძირითადად განპირობებულია სახელმწიფო საინოვაციო პოლიტიკის დაბალ დონეზე განხორციელებით. საქართველოში სახელმწიფო საინოვაციო პოლიტიკა უნდა იყოს სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის შემადგენელი ნაწილი, რომელმაც უნდა განსაზღვროს ინოვაციების სფეროში სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების საქმიანობის მიზნები, მიმართულებები და მეთოდები. საქართველოში საინოვაციო პოლიტიკის ძირითად ამოცანას თანამედროვე ეტაპზე უნდა წარმოადგენდეს ისეთი სისტემის შექმნა, რომელიც შეძლებს სამამულო ინტელექტუალური პოტენციალისა და თანამედროვე ტექნიკისა და ტექნოლოგიების მიღწევების გამოყენებას კონკურენტუნარიანი პროდუქციის საწარმოებლად.

(Макконелл К.Р., Брю С.Л. Экономикс: принципы, проблемы и политика, т. 1, М.: Республика. 1992, с. 100: Фишер С., Дорнбуш Р., Шмалензи Р. Экономика. М.: Дело. 1993. С.64)

თავი 2. საქართველოს ინოვაციური პოტენციალის ფორმირების რეგიონული ფაქტორები

2.1 საქართველოს რეგიონული სტრუქტურა და ინოვაციური საქმიანობის შესაძლებლობები საქართველოს რეგიონებში

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ყველა ქვეყანა თავისი უნიკალური თავისებურებებით ხასიათდება. ბუნებრივ-კლიმატური პირობების სხვადასხვაობა თავისებურ გავლენას ახდენს ეროვნული ეკონომიკის სხვადასხვა მხარის რეგიონული ეკონომიკის განვითარებაზე.

საქართველოში ინოვაციური საქმიანობის რეგულირების სახელმწიფო პოლიტიკა ობიექტურად არის დაფუძნებული იმ მრავალმხრივ ბუნებრივ-გეოგრაფიულ, ისტორიულ, ეკონომიკურ, სოციალურ, ეროვნულ თავისებურებებსა და განსხვავებებზე , რომლებიც საქართველოს რეგიონებს ახასიათებთ. მაგალითად, გვაქვს რელიეფითა და კლიმატური პირობებით მკვეთრად განსხვავებული ბარის, მთის, მაღალმთიანი და ზღვისპირა რეგიონები. აგრეთვე, რესურსებით მდიდარი და ღარიბი, სხვადასხვა სამეურნეო სპეციალიზაციის მქონე, სუსტად, საშუალოდ და კარგად განვითარებული, დემოგრაფიული ვითარებით, ისტორიული შეგნებით, საწარმოო და ყოფითი ტრადიციებით, კულტურული დონითა და ა.შ. განსხავებული რეგიონები. აღსანიშნავია, რომ ისტორიულად საქართველოში ცალკეულ რეგიონებს შორის განსხვავებები ყოველთვის არსებით ზეგავლენას ახდენდნენ მთლიანად ქვეყნის პოლიტიკაზე, ეკონომიკურ და სოციალურ ცხოვრებაზე.

რეგიონული თავისებურებების მრავალფეროვნება, სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების განსხვავებანი რეგიონებში მიუთითებს იმაზე, რომ საქართველოში აუცილებელია განხორციელდეს ისეთი საინვესტიციო- საინოვაციო პოლიტიკა, რომელიც გაითვალისწინებს რეგიონების თავისებურებებსა და კონკრეტულ ამოცანებს.

რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკა არის ქვეყნის სტრატეგიის ორგანული ნაწილი და გამომდინარეობს ეროვნული მეურნეობის განვითარების ძირითადი ამოცანებიდან. იგი, როგორც ყველა

პოლიტიკა მოიცავს მიზანს, ასევე, როგორც თანამედროვე ეკონომიკური პოლიტიკის ქვაკუთხედი, მისი განხორციელების საშუალებებს.

რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკის მნიშვნელოვანი და ძირითადი მიზანი უნდა იყოს ეფექტიანი შედეგი იმ დიდი შესაძლებლობების მქონე პოტენციალიდან, რომელიც არსებობს ცალკეულ კონკრეტულ რეგიონში. შესაბამისად, მიზანშეწონილია მომავალში გააქტიურდეს რეგიონების ეკონომიკის თანმიმდევრული გადაყვანა განვითარების ინტენსიურ მიმართულებაზე.

საჭიროა განხორციელდეს საზოგადოებრივი ცხოვრების სფეროების ხარისხიანი გარდაქმნა, საზოგადოებრივი წარმოების ტერიტორიული ორგანიზაციის დიდი უპირატესობის რეალიზაცია. რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკა მიზანმიმართული უნდა იყოს ერთიანი ეროვნულ-მეურნეობრივი კომპლექსის მთლიანობის განმტკიცებაზე.

საქართველოს, ამჟამად მეტად რთული რეგიონული სტრუქტურა გააჩნია. ქვეუყანაში არსებობს სხვადასხვა დონის ტერიტორიული ერთეულები – აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკები, 9 მხარე და მათში შემავალი 58 ადმინისტრაციული რაიონი, სახელმწიფოებრივი დაქვემდებარების ქალაქები, დედაქალაქი.

მსოფლიოში, რეგიონული მართვის საკმაოდ მდიდარი გამოცდილება არსებობს. მოკლედ განვიხილოთ რეგიონული განვითარების ყველაზე ცნობილი მიმართულებები.

პოსტკეინსიანური თეორია ეყრდნობა რეგიონთაშორისი განსხვავებების სახელმწიფო რეგულირებას. მისი საფუძველია სუსტად განვითარებულ რეგიონებში ინვესტიციების სტიმულირება. რეგიონული პოლიტიკის საბაზრო ინსტრუმენტებიდან გამოიყენება სუბსიდიები, საკრედიტო და საგადასახადო შეღავათები.

ნეოკლასიკური რეგიონული მიდგომა დაფუძნებულია პოსტულატზე: თავისუფალი არარეგულირებადი ბაზარი ბუნებრივად აღმოფხვრის უთანასწორობას რეგიონებს შორის და, შესაბამისად, არ უნდა შეიზღუდოს საბაზრო მექანიზმების თავისუფალი მოქმედება.

დაუბალანსებელი განვითარების თეორია დიამეტრალურად განსხვავდება ნეოკლასიკური მიმართულებისაგან. ამ თეორიის თა-

ნახმად, ბაზარი, სახელმწიფო რეგულირების გარეშე, საბაზრო მექანიზმის ციკლურობის ძალით ზრდის რეგიონულ განსხვავებებს. ხელს უწყობს რეგიონების ერთი ნაწილის სწრაფ, ხოლო მეორე ნაწილის სუსტი განვითარების ტენდენციების ჩამოყალიბებას.

რეგიონალიზმის საზოგადოებრივი თეორია ძირითად ყურადღებას უთმობს საერთო ეროვნული და რეგიონული ინტერესების პოლიტიკური და ეკონომიკური დაპირისპირების საკითხს. ამ თეორიის ფარგლებში, ძირითადად განიხილება რეგიონსა და ცენტრს შორის რესურსებისა და პოლიტიკური ძალაუფლების განაწილების პრობლემა, სოციალური განსხვავებანი და კონფლიქტები.

ამჟამად ფორმირების პროცესშია რეგიონული თვითგანვითარების სრულიად ახალი მიმართულება, რომელიც ითვალისწინებს რეგიონების ინტერესებს და პარალელურად პასუხისმგებლობას აკისრებს ადგილობრივ ხელისუფლებას რეგიონის განვითარებაზე.[24] სწორედ ამ თეორიაზე უნდა იყოს ძირითადად დაფუძნებული საქართველოს თანამედროვე რეგიონული პოლიტიკა. ამასთან ერთად, ქვეყანაში განსაზღვრული როლი უნდა ითამაშოს პოსტკეინსიანური და დაუბალანსებელი რეგიონული განვითარების თეორიებმა. აგრეთვე, - რეგიონალიზმის საზოგადოებრივმა თეორიამ, რამაც უნდა უზრუნველყოს კონფლიქტურ ზონებში პოლიტიკურ-ეკონომიკური ურთიერთობების დარეგულირება.

რეგიონული ეკონომიკის სწორი წარმართვისათვის აუცილებელია რეგიონული პოლიტიკის სტრატეგიული მიზნის ჩამოყალიბება, ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური მიზნების რეალიზაცია ცალკეულ ტერიტორიულ ერთეულებში. ისტორიულად ტერიტორიული დაყოფა ანუ რეგიონალიზაცია დამახასიათებელი იყო ყველა განვითარებული ქვეყნისათვის. ამ მხრივ, კლასიკურ მაგალითად შეიძლება გამოდგეს გერმანიის რეგიონალიზაციის ფორმა, რომლის შემადგენლობაში შედის 16 მიწა (შტატი). ისინი თავისი შინაარსით არიან ავტონომიური და არა სუვერენული ერთეულები, თვითმმართველობის მაღალი დონითა და საკანონმდებლო ძალაუფლებით. აღსანიშნავია, რომ ყოველ მიწას გააჩნია საკუთარი მთავრობა

---

[24] Гладкий Ю.Н., Чистобаев А.И. Основы региональной политики. Учебник, СПБ.: Изд-во Михайлова В.А., 1998, с. 140.

და ასამბლეა (ლანდტაგი). ამასთან, გერმანიის ყოველ მოქალაქეს გააჩნია მიწაზე სარგებლობის თანაბარი უფლებები და ვალდებულებები.

მეტად განსხვავებული თავისებურებებით ხასიათდება ესპანეთის ტერიტორიული მოწყობა, სადაც ჩამოყალიბებულია 17 ავტონომიური პროვინცია, რომელიც იყოფა რაიონებად, მუნიციპალიტეტებად და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებად. იტალიის სახელმწიფო მოწყობის ფორმა კი არის რეგიონალიზმი. იგი იყოფა 15 ავტონომიურ რეგიონად, საიდანაც 5 რეგიონს გააჩნია სპეციალური სტატუსი.

ძნელად მოიძებნება მსოფლიოში ქვეყანა, რომელსაც არ გააჩნია თავისი ადმინისტრაციული დარეგიონება. ბუნებრივია, ასეთი დარეგიონება დამახასიათებელია პოსტსოციალისტური სივრცის ქვეყნებისათვის და მათ შორის საქართველოსთვის, რომელიც უნიკალურია თავისი სპეციფიკით. სწორედ ასეთი თავისებურებებით არის გამოწვეული საქართველოს ტერიტორიული დარეგიონება.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია რეგიონულ ეკონომიკათა სამეურნეო პოლიტიკის სწორი ორიენტირების განსაზღვრა. აქ პრობლემის სიმწვავე იმაში მდგომარეობს, რომ უნდა განისაზღვროს მოცემული რეგიონის ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტები და მათთან დაკავშირებული კონკრეტული სოციალური, კულტურული და სამეუნეო ამოცანები. პოსტკომუნისტური სივრცის ქვეყნებში გარკვეული თავისებურებები არსებობს რეგიონული პოლიტიკის თვალსაზრისით, რაც თანამედროვე ტენდენციებით ხასიათდება. განვითარებული საბაზრო ურიერთობების მოდელის პირობებში სამ დამახასიათებელ ფორმას გამოყოფენ. პირველი, 1920-1940-იან წლებში კრიზისში მყოფი რეგიონებისთვის გამოიყენებოდა გადაუდებელი დახმარება. მეორე, 1950-1970-იან წლებში უპირატესობა მიენიჭა რეგიონებს შორის ეკონომიკური ზრდის განაწილებას (ზრდის პოლუსების შექმნა); მესამე, საკუთარ პოტენციალზე დაყრდნობით, მცირე და საშუალო ბიზნესის განვითა-

რების მხარდაჭერით რეგიონების რესტრუქტურიზაცია 1970-1980-იან წლებში.[25]

საინტერესო ფორმით ხორციელდებოდა რეგიონული პოლიტიკა საბჭოთა კავშირში, სადაც მის ფორმირება-განხორციელების ხუთ განსხვავებულ ეტაპს გამოყოფენ.[26] პირველი ეტაპი იყო 1920-1932წწ. ამ ეტაპის რეგიონული პოლიტიკის დამახასიათებელი ნიშნებია: ტერიტორიულ ჭრილში სამეურნეო და სოციალური პოლიტიკის გატარებისათვის საერთო სახელმწიფო სისტემის შექმნა, ქვეყნის ეროვნულ-პოლიტიკური მოწყობა, წარმოების ტერიტორიულ ორგანულ-პოლიტიკური მოწყობა, წარმოების ტერიტორიული ორგანიზაციის შექმნა, ქვეყნის რაიონებად დაყოფის მეცნიერული დასაბუთება. ეს პერიოდი მსოფლიოში უნიკალური ექსპერიმენტის "ნეპის" პერიოდს სრულად მოიცავს. მეორე ეტაპზე (1933-1956წწ) სახელმწიფოს რეგიონული პოლიტიკით განისაზღვრა ცენტრალიზებული დაგეგმვისა და მართვის ეკონომიკურ სისტემაზე და ტერიტორიულ-ადმინისტრაციული მოწყობის მოდელზე გადასვლა. ამ ეტაპზე ეკონომიკური განვითარება შეიცვალა ტერმინით "ყოველმხრივი განვითარება", რამაც ხელი შეუწყო ქვეყნის რეგიონულ განვითარებაში ე.წ. გათანაბრების პრინციპის გამოყენებას.

მესამე ეტაპზე (1957-1964 წწ) სახელმწიფოს რეგიონულ პოლიტიკაში განსაკუთრებული ადგილი დაიკავა სახალხო მეურნეობის საბჭოების შექმნამ, რაც რეალურ პოლიტიკურ და ეკონომიკურ ფაქტორად ვერ იქცა და მოკლე პერიოდში ეკონომიკური განბვითარების ტერიტორიული (კომპლექსური) პრინციპი, ისევ დარგობრივმა პრინციპმა შეცვალა.

მეოთხე ეტაპზე (1965-1985 წწ) საბჭოთა კავშირში დაიწყო სახელმწიფო რეგიონული პოლიტიკის განხორციელება დრგობრივი და ტერიტორიული განვითარების პრინციპების შეხამებით.

---

[25] Гладкий Ю.Н., Чистобаев А.И. Основы региональной политики. Учебник, СПБ.: Изд-во Михайлова В.А., 1998, с. 138.

[26] 26 იხ., ჭითანავა ნ. გარდამავალი პერიოდის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები, III ნაწილი, თბ., 2001, გვ.274

მეხუთე ეტაპზე (1986-1990 წწ) ქვეყნის განვითარება იწყება " პერესტროიკით", სპონტანურად, რითაც დაჩქარდა სახალხო მეურნეობრივი კომპლექსის დაშლა.

საბჭოთა კავშირში სახელმწიფოს რეგიონული პოლიტიკის თეორიისა და მეთოდოლოგიის ფუძემდებლური პრინციპები, ასევე მათი განხორციელების მეთოდები, ერთნაირად გამოიყენებოდა ყველა მოკავშირე რესპუბლიკაში, მათ შორის საქართველოში.[27]

ამჟამინდელი საბაზრო მეურნეობობაზე გარდამავალ პერიოდში საქართველოში სახელმწიფოს ტერიტორიულ-ადმინისრაციული მოწყობის ორი პოზიცია, ორი ერთმანეთისაგან განსხვავებული მიდგომა დომინირებს. ერთი მოსაზრება იქითკენ იხრება, რომ შენარჩუნებულ იქნას ტერიტორიულ-ადმინისტრაციული მოწყობის საბჭოური უნიტარული მოდელი, ხოლო მეორე ვარიანტი გვთავაზობს მოწყობის ფედერალიზმის პრინციპებს.

საქართველოში ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებმა უფრო აქტიურად უნდა განახორციელონ საკუთარი საინვესტიციო-საინოვაციო პოლიტიკა, რომელიც ძირითადად ორ მიმართულებას მოიცავს: საბიუჯეტო და არასაბიუჯეტო. რეგიონული საბიუჯეტო-საინვესტიციო პოლიტიკა და ბიუჯეტთაშორისი ურთიერთობის ოპტიმალური მოდელის ფორმირება საქართველოს ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა.

საგადასახადო სისტემა საფინანსო-საბიუჯეტო სისტემის შემადგენელი ქვესისტემაა, რომელიც მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილს. თავის მხრივ, საფინანსო-საბიუჯეტო სისტემის ტერიტორიული ასპექტი მნიშვნელოვნად არის განპირობებული სახელმწიფოს ტერიტორიული მოწყობისაგან. ეკონომისტები, როგორც წესი, იყენებენ ტერმინს "საფინანსო-საბიუჯეტო ფედერალიზმი" იმისდა მიუხედავად, თუ სახელმწიფო როგორია –ფედერაციული თუ უნიტარული.[28]

---

[27] ჭითანავა ნ. გარდამავალი პერიოდის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები, III ნაწილი, თბ., 2001, გვ.277-279

[28] Хьюитт Д., Михальек Д., Финансово-бюджетный федерализм. С. 392. В кн.: Налогово-бюджетная политика в странах с экономикой переходного периода, под ред. В. Танзи, Вашингтон, МВФ. 1993

"საფინანსო-საბიუჯეტო ფედერალიზმი" მოიცავს ქვეყნის საფინანსო-საბიუჯეტო მოწყობის ორივე მხარეს: ერთის მხრივ არეგულირებს საგადასახადო შემოსავლების, ხოლო მეორეს მხრივ კი – სახელმწიფოს მიერ დასაფინანსებელი ხარჯების განაწილებას ქვეყნის ცენტრალურ (ცენტრსა) და ტერიტორიულ (რეგიონებს) სახელისუფლებო სტრუქტურებს შორის.[29] "საგადასახადო ფედერალიზმი", ანუ საგადასახადო უფლებამოსილებათა გამიჯვნა "ცენტრსა" და "რეგიონებს" შორის უნიტარულ, და "ცენტრს", "ფედერაციულ რეგიონებსა" და "რეგიონებს" შორის ფედერაციულ სახელმწიფოში, ეკონომიკური მეცნიერების ურთულესი პრობლემაა და შეიძლება ითქვას, რომ მისი რაიმე ერთიანი, ამავე დროს ყველასათვის ერთნაირად მისაღები და ამდენად უნაკლო მოდელი არ არსებობს.

აღსანიშნავია, რომ დღემდე არც საქართველოშია შემუშავებული ბიუჯეტთაშორისი ურთიერთობების მეცნიერულად არგუმენტირებული მეთოდიკა. ამჟამად, ეს პროცესი ძირითადად ეფუძნება ცენტრალური ხელისუფლების ჩინოსნების სუბიექტურ-ექსპერტულ შეფასებებს, აგრეთვე, რეგიონული ხელისუფლების ხელმძღვანელთა გავლენისა და "მეგობრობის" მასშტაბებს, რაც ხშირად ხდება საფუძველი არაობიექტური გადაწყვეტილებებისა ტერიტორიებს შორის სახელმწიფო შემოსავლების განაწილების თვალსაზრისით და ქმნის ხელსაყრელ პირობებს კორუფციისათვის.

ბიუჯეტთაშორისი ურთიერთობების თვალსაზრისით ძირითად პრობლემას წარმოადგენს მარეგულირებელი პარამეტრების ანარიცხების ნორმატივები და ტრანსფერტებისა და სუბსიდიების მოცულობა, რომლებიც გადაეცემა ცენტრალური ბიუჯეტიდან ტერიტორიულ ბიუჯეტებს.

როგორც უკვე ავღნიშნეთ, ეკონომიკურ მეცნიერებას არ გააჩნია მკაცრი კრიტერიუმები, რომელთა საფუძველზეც მკაფიოდ იქნებოდა ჩამოყალიბებული, თუ რომელი სახეობის გადასახადი არის თავისი ბუნებით ფედერალური და რომელი ადგილობრივი. ეს გარემოება კი მეტად ართულებს ქვეყნის საფინანსო-საბიუჯეტო მოწყობის ოპტიმალური მოდელის განსაზღვრის შესაძლებლობას.

---

[29] იქვე, გვ. 14-18

აღსანიშნავია, რომ საქართველოს სამთავრობო სტრუქტურებში პრევალირებს მოსაზრება, რომლის თანახმადაც მკაცრად უნდა გაიმიჯნოს გადასახადები სახელმწიფო იერარქიის მიხედვით, როცა, დავუშვათ, დამატებული ღირებულების გადასახადი ჩაითვლება ფედერალურ გადასახადად და ასევე პროცენტით ამოღებულ იქნება ცენტრალურ ბიუჯეტში, ხოლო , მაგალითად, საშემოსავლო გადასახადი ჩაითვლება ადგილობრივ გადასახადად და ასი პროცენტით ამოღებულ იქნება, შესაბამისად, ადგილობრივ ბიუჯეტში. თუმცა, აღნიშნული მიდგომა, როცა საგადასახადო უფლებამოსილებათა გამიჯვნა თავად გადასახადების სახეობეთა მიხედვით ხდება პრინციპით – "ან სულ, ან არაფერი," საბოლოო ჯამში მიგვიყვანს " საგადასახადო სეპარატიზმამდე," როცა ფედერაციის სუბიექტების " საგადასახადო ინტერესები" სრულად იქნება იზოლებული საერთო-სახელმწიფო "საგადასახადო ინტერესებისგან", რაც უარყოფითად აისახება ფედერაციულ სახელმწიფოს მთლიანობაზე. აღნიშნული მიდგომის გამოყენებას საგადასახადო უფლებამოსილებათა გამიჯვნაში შეიძლება "საგადასახადო სეპარატიზმის დოქტრინა" ვუწოდოთ.[30] "საგადასახადო სეპარატიზმის დოქტრინა" საზოგადოდ მიუღებელია ნებისმიერი ფედერაციული სახელმწიფოსათვის და კონკრეტულად საქართველოსთვის.

საქართველოში სახელმწიფოებრივი მშენებლობის თანამედროვე ეტაპზე, როდესაც ჩვენი ქვეყნის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის საკითხი სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენამდე ვერ წყდება, ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმ ეკონომიკურ ბერკეტებს, რომლებიც "რეგიონებს" შეუქმნიან სტიმულს ე.წ. "რეგიონული თანხმობისაკენ", როცა ისინი, უწინარეს ყოვლისა, ეკონომიკურად იქნებან დაინტერესებული საქართველოს ერთიანი სახელმწიფოს განმტკიცებაში, მის სიძლიერეში.

ამგვარი ბერკეტების სახით შეიძლება გამოყენებულ იქნეს გადასახადების ერთდროული მობილიზება, როგორც ცენტრალურ, ისე ადგილობრივ ბიუჯეტებში, ანუ როცა პრაქტიკულად ყველა

---

[30] პაპავა ვლ. საგადასახადო ფედერალიზმი: თანხმობა თუ სეპარატიზმი?, თბილისი, 2000, გვ. 10-13.

სახეობის გადასახადის მიხედვით დასაშვებია ამოღებული საგადასახადო შემოსავლების "ცენტრსა" და "რეგიონს" შორის განაწილება. აღნიშნულ მიდგომას შეიძლება ვუწოდოთ "საგადასახადო თანხმობის დოქტრინა"[31]

აღსანიშნავია, რომ საქართველოს სახელმწიფო ინსტიტუციურად არ არის მზად "საგადასახადო თანხმობის დოქტრინის" სრულფასოვანი მოდელის რეალიზებისათვის. ამას, უწინარეს ყოვლისა, ხელს უშლის ის, რომ ჯერ-ჯერობით შეუძლებელია საქართველოს სახელმწიფო ტერიტორიული მოწყობის პროცესის დასრულება. თუმცა, მიუხედავად ამისა, აუცილებელია საქართველოს ყველა რეგიონში ეტაპობრივად იქნეს რეალიზებული "საგადასახადო თანხმობის დოქტრინის ელემენტები", რაც, თავის მხრივ, მეტ სინათლეს მოჰფენს ჩვენი სახელმწიფოს ტერიტორიული მოწყობის მომავალს.

საქართველოში საინოვაციო საქმიანობის სტიმულირებისა და ბიუჯეტთაშორისი ურთიერთობების დარეგულირების თვალსაზრისით ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მექანიზმს წარმოადგენს ტრანსფერტები, რომელთა მოცულობა მიზანშეწონიალია განისაზღვროს შემდეგი ფორმულით:[32]

$$T=S-H1+H2+H3$$

სადაც, T არის ცენტრალური ბიუჯეტიდან რეგიონისთვის გადასაცემი ტრანსფერტების მოცულობა; S – ადგილობრივი ბიუჯეტის მიერ გასაწევი აუცილებელი (მინიმალური) ხარჯების მოცულობა; H1 – ადგილობრივი გადასახადებითა და მოსაკრებლებით მიღებული შემოსავალი; H2 – ადგილობრივი არასაგადასახადო შემოსავალი; H3 – გრძელვადიანი ეკონომიკური ნორმატივებით მიღებული შემოსავალი.

როცა S=H1+H2+H3, მაშინ ადგილობრივი ბიუჯეტისთვის ცენტრალური ბიუჯეტიდან ტრანსფერტის გამოყოფის აუცილებლობა აღარ არსებობს. თუ S>H1+H2+H3, მაშინ აუცილებელი ხარჯების მოცულობა აღემატება ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლე-

---

[31] იქვე, გვ. 14-18

[32] მესხია ი.ე. რეგიონული საბიუჯეტო-საგადასახადო სისტემის თანამედროვე პრობლემები, ჟ. „მაკრო ეკონომიკა", 1999, №9, გვ. 25.

ბის ჯამს და, შესაბამისად, დეფიციტი უნდა დაიფაროს ცენტრალური ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერტით.

აღნიშნული მეთოდიკის პრაქტიკული გამოყენება გარკვეული წინასწარი ორგანიზაციულ-მეთოდური სამუშაოების ჩატარების გარეშე შეუძლებელია. პირველ რიგში, მკაფიოდ უნდა გაიმიჯნოს ცენტრისა და რეგიონის ქონებრივი უფლებები, და რაც ყველაზე მთავარია, მიღწეულ იქნას ზუსტი და საიმედო რეგიონული სტატისტიკისა და ანგარიშების წარმოება.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, საინოვაციო საქმიანობის ოპტიმალური წარმართვა რეგიონულ დონეზე უნდა გამომდინარეობდეს რეგიონების განვითარების სამეურნეო პოლიტიკის განსაზღვრიდან. აქ პრობლემის სიმწვავე იმაში მდგომარეობს, რომ უნდა განისაზღვროს მოცემული რეგიონის ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტები და მათთან დაკავშირებული კონკრეტული სოციალური, კულტურული და სამეურნეო ამოცანები. ბუნებრივია, რომ გარდამავალ ეკონომიკაში ხდება პრიორიტეტების ცვლა ეროვნული მეურნეობის სტრუქტურის ფორმირებაშიც. პრიორიტეტულად რჩებიან სამომხმარებლო საქონლის წარმოება და მომსახურების გაწევა. საქართველოში რეფორმის წლებში, მშპ სტრუქტურაში აშკარად იმატა მომსახურეთა ხვედრითმა წილმა, რაც ასახავს ბოლო წლებში ვაჭრობის, ბანკების, ფინანსური ინსტიტუტებისა და სხვ. აქტივობის ზრდას.

მიკროდონეზე სტრუქტურული ძვრები გამოიხატა საწარმოს მიერ ასორტიმენტის შემცირებასა და ყველაზე კონკურენუნარიანი პროდუქციის დატოვებაში; ხოლო ახალი პროდუქცია ხშირად იქმნება საზღვარგარეთელ პარტნიორებთან თანამშრომლობის შემდეგ. ამ ძვრების შემდეგ რეგიონში იწყება წარმოების გამოცოცხლება.

საქართველოში ეროვნული ეკონომიკის ტრანსფორმაციის დღეანდელ პირობებში უნდა გამოვიყენოთ ის მიდგომა, რომელიც მთლიანად მოიცავს რეგიონს, მისი პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური სისტემის ტრანსფორმაციას. გარდამავალ პერიოდში სტრატეგიულ-პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური ამოცანაა თანამედროვე საბაზრო პრინციპებზე დაფუძნებული ეფექტიანი ეკონომიკის ფუნქციონირების ხელშემწყობი გარემოს შექმნა, ეკონომიკის სტრუქტურული სრულყოფა, მსოფლიო ინტეგრაციულ

პროცესებში მონაწილეობის გაფართოება, დასაქმების მწვავე პრობლემის გადაწყვეტა, და, საბოლოოდ, ცხოვრების დონის ამაღლება. ამ ამოცანების წარმატებით გადაჭრის შემდეგ განვითარების ეტაპის შესაბამისი ცალკეული პრობლემების გადაწყვეტა უნდა მოხდეს დიფერენცირებული მიდგომით, პრობლემის პრიორიტეტის მიხედვით, ე.ი. პრობლემაზე ორიენტირებული პროგრამებით.[33]

ამრიგად, საქართველოს რეგიონებში საინვესტიციო საქმიანობისა და მისი ერთ-ერთი უმთავრესი კომპონენტის საინოვაციო პროცესების მართვა, უწინარეს ყოვლისა, დამოკიდებულია სტრუქტურულ გარდაქმნებზე, რომელთა განხორციელების ორი ძირითადი გზა არსებობს: პირველი, რომელიც აქცენტირებას აკეთებს ექსპორტზე ორიენტირებულ მომპოვებელ დარგებზე და მასალებისა და ნახევარფაბრიკატების წარმოებაზე (ნავთობი, ქიმიური პროდუქცია, ტყის პროდუქცია და სხვა); მეორე, რომელიც ორიენტირებულია შიდა ბაზარზე და აქცენტს აკეთებს მეცნიერებატევად წარმოებაზე. იმისდა მიხედვით, თუ როგორია რეგიონის ფინანსური მდგომარეობა, საინვესტიციო პოლიტიკა და რაც ყველაზე მთავარია, რა ეკონომიკურ პოტენციალს ფლობს რეგიონი, შეირჩევა გარდაქმნის გზაც.

ამდენად, ვიდრე ქვეყნის ამა თუ იმ რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პერსპექტივებზე ვიმსჯელებთ, უპრიანია, უწინარეს ყოვლისა, განვიხილოთ რეგიონების ეკონომიკური პოტენციალის გამოყენების შესაძლებლობები.

2.2 რეგიონების ინოვაციური პოტენციალის გამოყენების შიდა და გარე ფაქტორები

საქართველოში საბაზრო ურთიერთობების ფორმირების კვალობაზე, აქტუალური ხდება ჩვენი ქვეყნის თითოეული რეგიონის მაღალეფექტიანი განვითარების უზრუნველყოფა. დღეს საქართველოს ბევრ რეგიონში არ იგრძნობა ეკონომიკის წინსვლა, რიგ

---

[33] ჭითანავა ნ. გარდამავალი პერიოდის სოციალურ ეკონომიკური პრობლემები, III ნაწილი, თბ., გვ. 279-280.

შემთხვევაში მიღწეული მცირეოდენი წინსვლა კი ხორციელდება მხოლოდ ექსტენსიური მეთოდებით.

რეგიონების პოტენციური შესაძლებლობები უფრო სრულყოფილად უნდა იქნეს გამოყენებული. აქ, უწინარეს ყოვლისა, იგულისხმება რეგიონების რესურსულ შესაძლებლობათა გამოყენების გაუმჯობესება და მათი ჩართვა ქვეყნის ეკონომიკური კვლავწარმოების პროცესში. რესურსების რაციონალური გამოყენების საკმაოდ მრავალი მაგალითი არსებობს უცხოური ქვეყნების პრაქტიკაში. მთავარი ის არის, რომ რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკა შესაბამისობაში მოდიოდეს ქვეყნის ეკონომიკურ სტრატეგიასთან ამ რეგიონების სფეციფიკური ტერიტორიული წყაროების სრულად და ეფექტიანად გამოყენების გზით.

ინტენსიფიკაციის რეგიონული საშუალებების გამოყენება მოითხოვს მმართველობის მთელი რიგი რგოლების პასუხისმგებლობის მნიშვნელოვნად გაზრდას. განსაკუთრებით ეს ეხება სამინისტროებსა და უწყებებს, რადგან თავიანთი ინტერესების აბსოლუტიზაციით ისინი მნიშვნელოვან ზარალს აყენებენ რეგიონების კომპლექსურ განვითარებას. რეგიონების ეკონომიკაში სულ უფრო იზრდება მმართველობის ადგილობრივი გამგეობებისა და საკრებულოების როლი. ზოგიერთ რეგიონში დაგროვილია გარკვეული გამოცდილება ეკონომიკური, სამეცნიერო-ტექნიკური, სოციალური და სხვა პრობლემების გადაწყვეტის თვალსაზრისით, რომლებიც საჭიროებენ შესაბამის ანალიზსა და განზოგადოებას. ამ მხრივ, მნიშვნელოვნად მიგვაჩნია რეგიონების ეკონომიკური პოტენციალისადმი ყურადღების განსაკუთრებით გამახვილება.

ეკონომიკური პოტენციალი (ეპ) არსებითი მნიშვნელობის მქონე, რთული სოციალურ-ეკონომიკური კატეგორიაა. მისი განვითარების დონე და გამოყენების ხარისხი განსაზღვრავს ქვეყნის ეკონომიკურ სიძლიერეს, კვლავწარმოებითი პროცესების განვითარების ტემპებს, ხოლო შედეგად კი საზოგადოების მატერიალურ

და სულიერ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისა და საერთო კეთილდღეობის მდგომარეობას.[34]

ყოველდღიურ პრაქტიკულ საქმიანობაში აღნიშნული ცნების ქვეშ იმ შესაძლებლობებს გულისხმობენ, რომლებიც ჯერ კიდევ არ არის გამოყენებული, მაგრამ შეიძლება რეალიზებული იქნეს. ვეთანხმებით იმ მეცნიერთა მოსაზრებას, რომლებიც მიიჩნევენ, რომ პოტენციალის შინაარსის გაგების ქვეშ უნდა გვესმოდეს გარკვეული მიზნებისა და ამოცანების გადაწყვეტისათვის სახეზე არსებული და მომავალში ასამოქმედებელი და გამოსაყენებელი წყაროების, საშუალებების, მარაგების და ა.შ. ერთობლიობა. ეკონომიკური პოტენციალის შინაარსობრივ დატვირთვაში იგულისხმება მოცემული ტერიტორიული ერთეულის (ქვეყნის, რეგიონის და სხვა) ეროვნული მეურნობისა და მისი ცალკეული დარგების განვითარების მიღწეული ზღვარი და უნარი აწარმოოს მატერიალური დოვლათი, მომსახურება და ა.შ. უფრო კონკრეტულად კი ეკონომიკური პოტენციალი, როგორც მრავალწახნაგოვანი კატეგორია და მაჩვენებელი მოიცავს შემდეგი ელემენტების ერთობლიობას: მოსახლეობისა და შრომითი რესურსების რიცხოვნობას; მეცნიერულ-ტექნიკურ პოტენციალს; დარგობრივ და არაწარმოებრივ ძირითად კაპიტალს; ერთობლივ შიდა პროდუქტს და ეროვნულ შემოსავალს; მინერალურ-სანედლეულო, წყლის, ტყის, ენერგეტიკულ და სხვა რესურსებს. ეკონომიკური პოტენციალის ფორმირების ობიექტური ასპექტი ძირითადად ვლინდება მწარმოებლივ პოტენციალში, სუბიექტური კი მართვის პოტენციალში.

ეკონომიკური პოტენციალის ჩამოყალიბების მატერიალურ-ტექნიკური, ეკონომიკური, სოციალური და ორგანიზაციული პირობების შესწავლა პერსპექტივისათვის მეურნეობის კომპლექსის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარებისა და გამოყენების კრიტერიუმების შემუშავების კარგ საშუალებას იძლევა. ამ მხრივ, ბუნებრივია, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ეკონომიკური პო-

---

[34] ბრალავა ა. გზა მაღალტექნოლოგიური ეკონომიკისაკენ, თბილისი, თსუ, 2001, გვ. 45

ტენციალის შეფასების მეთოდოლოგიურ საკითხებს, დაბალანსებულობისა და პროპორციების პრობლემებს.

წარმოების ეფექტიანობის ამაღლების საკითხები მჭიდროდ არის დაკავშირებული ძირითადი კაპიტალის, შრომითი და დანარჩენი ეკონომიკური რესურსების პოტენციური შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოყენების ოპტიმალური გზების ძიებასთან, რაც, ბუნებრივია უზრუნველყოფს კონკრეტული რეგიონისა და მთლიანად ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის გადიდების ტემპების დაჩქარებას და მასშტაბების ზრდას მისი ხარისხობრივი შემადგენლობის გაუმჯობესებისა და რაციონალურად გამოყენების საფუძველზე. საზოგადოებისთვის სრულებით არ არის სულერთი, თუ რა რაოდენობის რესურსი დაიხარჯება ყოველი ერთი ლარის ერთობლივი შიდა პროდუქტისა და ეროვნული შემოსავლის წარმოებაზე. ზუსტად ამ გარემოებით არის გამოწვეული, რომ მიღწეულ იქნეს ოპტიმალური ტემპები და პროპორციები ცალკეული რეგიონების მიხედვით ეროვნულ მეურნეობრივ დანახარჯებსა და მის შედეგებს შორის. ჩვენ სავსებით ვეთანხმებით ბატონ გ. ყუფუნიასა და სხვა ეკონომისტების მოსაზრებას, რომ ამ მიზნით მიზანშეწონილია წარმოების ეფექტიანობის მაჩვენებელთა სისტემაში გამოვიყენოთ ისეთი მაჩვენებელი, რომლითაც შესაძლებელი იქნებოდა გათვალისწინებული ყოფილიყო დაგროვილი რესურსების სიდიდე, მათი პოტენციური შესაძლებლობების გამოყენების ხარისხი და შექმნილი მთლიანი პროდუქტის მოცულობა, ხოლო ასეთ მაჩვენებლად მიჩნეულ იქნას ეკონომიკური პოტენციალი.[35]

აქვე გვინდა, ხაზგასმით აღვნიშნოთ, რომ ეკონომიკური პოტენციალი რეგიონისა და ქვეყნის ეკონომიკური ძლიერების მთავარი მაჩვენებელი და კეთილდღეობის ამაღლების უმნიშვნელოვანესი პირობაა, რადგანაც სწორედ ეკონომიკური პოტენციალი ხასიათდება დაგროვილი რესურსებითა და მატერიალური დოვლათის (მომსახურების) წარმოების შესაძლებელი მოცულობით, რომელსაც პერსპექტივაში შეიძლება მივაღწიოთ რეგიონში და ქვეყანაში არსებული რესურსების რაციონალურად გამოყენების გზით. ამრიგად, ეკონომიკური პოტენციალი ახასიათებს ცალკეული რეგიონებისა

---

[35] საქართველოს ეკონომიკა. თბილისი „მერიდიანი", 1995, გვ. 21

და ქვეყნების შესაძლებელ ეკონომიკურ ძლიერებას და წარმოგვიდგება, როგორც დაგროვილი და აღწარმოებული რესურსების სიდიდის განმაზოგადებელი მაჩვენებელი. კონომიკური პოტენციალი უნდა გავიგოთ, როგორც დაგროვილი რესურსების გამოყენებული და გამოუყენებელი შესაძლებლობების ერთობლიობა, რომელთა ამოქმედებისა და საზოგადოებრივ კეთილწარმოებაში ჩართვის მიზანია რეგიონებისა და ქვეყნის ეკონომიკური განვითარება, მოსახლეობის ცხოვრების პირობების მკვეთრად გაუმჯობესება.

ეკონომიკური პოტენციალის სტრუქტურის ძირითად შემადგენელ მაჩვენებლებს, ცნებებსა და კატეგორიებს წარმოადგენენ: ბუნებრივ-რესურსული პოტენციალი, მეცნიერულ-ტექნიკური პოტენციალი, წარმოებრივი პოტენციალი, საკადრო პოტენციალი, ინფრასტრუქტურის პოტენციალი, ორგანიზაციული პოტენციალი.

რეგიონებში წარმოების გამოუყენებელი შესაძლებლობების სიდიდის პოტენციური შესაძლებლობების ცოდნა საშუალებას იძლევა მაქსიმალურად იქნეს ამაღლებული ეკონომიკური პოტენციალის გამოყენების დონე და ხარისხი.

საქართველოს და მისი ცალკეული რეგიონების ეკონომიკური პოტენციალის შესწავლა, გამოვლენა და შემდგომ მისი გამოყენება განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს მეურნეობრივი განვითარების თანამედროვე ეტაპზე, როდესაც ქვეყანაში ხორციელდება ეკონომიკის საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლის ფართომასშტაბიანი რეფორმები.

ამჯერად ჩვენს ინტერესს წარმოადგენს ეკონომიკური პოტენციალის ისეთი მნიშვნელოვანი შემადგენელი მაჩვენებელი, როგორიცაა მეცნიერულ-ტექნიკური პოტენციალი.

ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის ზრდა შეუძლებელია მეცნიერულ-ტექნიკური განვითარების გარეშე. ამ უკანასკნელის მნიშვნელობა ეკონომიკური პოტენციალის სტრუქურაში (დანართი 1)[36] განსაკუთრებულია, რადგანაც თანამედროვე პირობებში წარმოუდგენელია რომელიმე მიმართულების განვითარება, თუ მეცნიერება და ტექნიკა აქტიურ როლს არ ასრულებს.

---

[36] ჩიქავა ლ. საქართველოს ეკონომიკა, თბილისი, 1995, გვ. 25;

ინოვაციური პოტენციალი თავისი ადამიანური (სამეცნიერო-საწარმოო პერსონალი), მატერიალურ-ტექნიკური (სამეცნიერო-საწარმოო ფონდები), ფინანსური (დანახარჯების მოცულობა და სტრუქტურა), ორგანიზაციული (სპეციალიზაციის დონე, სამეცნიერო-ტექნიკური ორგანიზაციათა სტრუქტურა) და ინფორმაციული (სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაცია და მისი მიღება-გავრცელების სისტემა) შემადგენლობით წარმოადგენს მეცნიერების განვითარებისა და მიღწეული შედეგების რეალიზების რესუსს, "მეცნიერება-ტექნიკა-წარმოება" სისტემის ცენტრალურ ფაქტორს.[37]

აღნიშნული პოტენციალის შეფასებისათვის საჭიროა მოცემულ შემადგენელთა რაოდენობრივი დახასიათება. მეტად მნიშვნელოვანია აგრეთვე, თუ, როგორია საზოგადოებრივი შრომის მწარმოებლურობა და ხარისხი, საზოგადოებრივი წარმოების პირველად სისტემებს (მეცნიერებას, განათლებას და მართვას) შორის კავშირის ფორმა და დონე.

მეცნიერულ-ტექნიკური პოტენციალი, როგორც არსებული მეცნიერული მიღწევებისა და ურთიერთდაკავშირებული ერთობლივი რესურსების სოციალურ-ეკონომიკური პოტენციალი,შეიძლება გამოყენებულ იქნეს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის სოციალურ-ეკონომიკური მიზნების მისაღწევად.[38] იგი ხასიათდება დამთავრებული გამოკვლევებისა და დამუშავებების რაოდენობითა და ხარისხით, რომელთა გამოყენებაც პრაქტიკულადაა შესაძლებელი წარმოებისა თუ მომსახურების სისტემაში განსაზღვრული დროისათვის, რაც, შესაბამისად აისახება პროდუქციის ტექნიკურ-ტექნოლოგიურ დონესა და ხარისხში, მის სამომხმარებლო თვისებებში.

ინოვაციური პოტენციალის შეფასების კრიტერიუმია საზოგადოებრივი შრომის პირობები და მწარმოებლურობა. ამიტომ, მტპ-ის საერთო დონის შეფასებისას ეფუძნებიან წარმოების ეფექტიანობაზე მისი გავლენის ზომას.

---

[37] Экономические проблемы научно-технического прогресса. Под редю Г.А. Кранюхина, М., 1984, с. 74.

[38] Бляхман Л.С. Экономика, организация, управление и планирование научно-технического прогресса. М., 1991, с. 130

მეცნიერულ და მეცნიერულ-ტექნიკურ პოტენციალთან დაკავშირებით შეიძლება დავასკვანათ, რომ პირველი ახასიათებს რესურსს მეორისათვის, ხოლო ეს უკანასკნელი კი, მეცნიერულ-ტექნიკურ მიღწევათა გამოყენების უშუალო შედეგებს ეკონომიკის, მიკრო, მეზო და მაკრო დონეებზე.

ვინაიდან მეცნიერულ-ტექნიკური პოტენციალი გადამწყვეტ როლს ასრულებს წარმოების განვითარებაში, აუცილებელია მისი სათანადოდ შეფასება.

აღსანიშნავია, რომ პირველად ყოფილ საბჭოთა კავშირში ჩამოყალიბდა მეცნიერულ-ტექნიკური პოტენციალის საერთო-სახელმწიფოებრივი მაჩვენებლების სისტემა, რომელიც მოიცავდა: დანახარჯებს მეცნიერებაზე, მეცნიერულ პოტენციალს და მეცნიერული მიღწევების რეალიზაციას.[39] ფაქტობრივი მონაცემების შედარება ხდებოდა გეგმიურ ბაზისურ მონაცემებთან, რომლებიც გაანგარიშებული იყო "კვლევა-ათვისების" მთელი ციკლისათვის.

თვითონ ასეთი სისტემის შექმნა პროგრესული იყო, მაგრამ იმ პერიოდში არსებული ადმინისტრაციულ-მბრძანებლური მართვის პრინციპებიდან გამომდინარე (დირექტიულად, ცენტრალიზებულად განსაზღვრული გეგმის აუცილებლად და გადაჭარბებით შესრულების საერთო ტენდენციის გამო), ხდებოდა რეალური მონაცემების ხელოვნურად კორექტირება, რის გამოც საბოლოო შეფასებაც არ ასახავდა ობიექტურ სურათს.

რეგიონის მეცნიერულ-ტექნიკური დონე განისაზღვრება მეცნიერული მიღწევების ათვისებით, მატერიალურ-ტექნიკური ბაზისა და წარმოების ორგანიზაციის მეთოდების სრულყოფის ხარისხით, რომელიც შეესაბამება საბაზრო კონკურენციის მოთხოვნებს. იგი ასახავ მეცნიერულ-ტექნიკური პოტენციალის მატერიალიზების ხარისხს წარმოების სფეროში.

აღნიშნულიდან გამომდინარე, რეგიონის მეცნიერულ-ტექნიკურ დონეში იგულისხმება რეგიონის მასშტაბით ტექნოლოგიის, შრომის საშუალებებისა და შრომის საგნების სრულყოფის დონეები, რომლებიც ხასიათდებიან შესაბამისი შემადგენელი ელემენტებით (დანართი 2)

---

[39] იქვე, გვ. 122-123

საქართველოს რეგიონებში, ამ თვალსაზრისით, მეტად არასახარბიელო სიტუაციაა შექმნილი. რეგიონების მასშტაბით მხოლოდ რამოდენიმე ობიექტი თუ აკმაყოფილებს საერთაშორისო ბაზრის მოთხოვნებს.

რეგიონების ინოვაციური პოტენციალის სრულად გამოყენება ბუნებრივია დაკავშირებულია მნიშვნელოვან ინვესტიციებთან. ქვეყანა და მითუმეტეს რეგიონი მხოლოდ საკუთარი ფინანსური რესურსებით ვერ შეძლებს მისი ინოვაციური პოტენციალის სრულად ათვისებას. აქედან გამომდინარე, შეიძლება ვიმსჯელოთ ქვეყანაში არსებული პოტენციალის გამოყენების შიდა და გარე ფაქტორებზე. შესაბამისად, მიზანშეწონილია, პირველ რიგში, განვიხილოთ საქართველოს რეგიონებში ამ მხრივ შექმნილი რეალური მდგომარეობა და შემდგომ განვსაზღვროთ მთლიანად ქვეყნის მასშტაბით ინოვაციური პოტენციალის ეფექტიანად გამოყენებისა და მისი ზრდის პერსექტივები.

მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიო სტანდარტებთან მიმართებაში საქართველოს ეკონომიკა არაა მაღალგანვითარებული, თამამად შეიძლება ითქვას, რომ არსებობს მნიშვნელოვანი მეცნიერულ-ტექნიკური პოტენციალი. მასში შედარებით მაღალია მეცნიერულ გამოკვლევათა და დამუშავებათა მოცულობა, ხოლო წარმოების მეცნიერულ-ტექნიკური და ორგანიზაციული დონე საკმაოდ ჩამორჩება ეკონომიკის განვითარების თანამედროვე მოთხოვნებს.

ცხრილი 2.2.1

საქართველოში საინოვაციო საქმიანობის ტერიტორიული სტრუქტურა (2002 წ. პროცენტებში)

საქართველოს ტერიტორიული ერთეულები	მხარეების ხვედრითი წონა			
	სამრეწველო პროდუქციის წარმოებაში	საინოვაციო პროდუქციის მოცულობაში	ინოვაციურად აქტიური საწარმოების რიცხვში	ტექნოლოგიური ინოვაციების საერთო მოცულობაში
საქართველო სულ	100	100	100	100
ქთბილისი	34.3	38.3	42.1	37.6
აფხაზეთის აარ	3.45	4.0	4.0	0.9
აჭარის აარ	12.3	15.3	11.3	18.5
სამეგრელო ზემო-სვანეთი	1.25	2.8	4.1	1.1
გურია	1.4	3.0	3.4	1.2
იმერეთი	8.1	13.2	15.8	16.4
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	0.5	0.8	0.6	0.3
შიდა ქართლი	6.5	2.2	2.7	0.7
მცხეთა-მთიანეთი	2.5	2.4	1.9	1.1
კახეთი	2.4	1.8	4.2	2.1
ქვემო ქართლი	24.2	17.2	12.2	19.3
სამცხე-ჯავახეთი	4.1	2.2	1.8	0.8

შედგენილია საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტისა და საქართველოს ეკონომიკის,მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროს მონაცემებზე დაყრდნობით.

ასე, მაგალითად, 2003 წლის პირველ ნახევარში ქვეყნის რეგიონებში ეკონომიკის ფუნქციონირების შესახებ მხარეებში არსებული ინფორმაციის* ანალიზი ცხადყოფს, რომ რეგიონებში ჯერ კიდევ მრავალი პრობლემა არსებობს ეკონომიკის ეფექტიანი ფუნქციონირებისათვის აუცილებელი გარემოს ფორმირებისა და არსებული პოტენციალის სრულად ათვისების საქმეში, რაზეც ეკონო-

მიკის* ცალკეულ დარგებში და საბიუჯეტო შემოსავლების მობილიზების სფეროში არსებული სირთულეებიც მიუთითებს.

საქართველოში საინოვაციო საქმიანობის ტერიტორიული სტრუქტურა მოყვანილია ცხრილში 2.2.1., საიდანაც ნათლად ჩანს, რომ საქართველოს რეგიონებს შორის ინოვაციური საქმიანობის თვალსაზრისით სერიოზული დისპროპორცია არსებობს.

ქ. თბილისს გამორჩეული ადგილი უკავია ქვეყნის ეკონომიკის ფუნქციონირების ტერიტორიულ სტრუქტურაში. ბოლო წლების მანძილზე მთლიანად ქვეყანაში გამოშვებული სამრეწველო პროდუქციის მოცულობის დაახლოებით ერთ მესამედზე მეტი სწორედ დედაქალაქზე მოდის.

სამწუხაროდ, ბოლო ორ წელს ვერ იქნა შენარჩუნებული წინა წლებში ჩამოყალიბებული ზრდის ტენდენცია. თუმცა, სათანადოდ უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ 2003 წლის პირველ ნახევარში აღინიშნა სამრეწველო პროდუქციის წარმოების ზრდის ტენდენცია. კერძოდ, ამ პერიოდში ქ. თბილისში მოქმედ საწარმოთა მიერ წარმოებული იყო 244325 ათ. ლარის სამრეწველო პროდუქცია, რაც 14.6 % აღემატებოდა წინა წლის შესაბამის მაჩვენებელს.

სამრეწველო პროდუქციის 83 % წარმოებულია მსხვილ საწარმოთა მიერ და შეადგენს 204631.6 ათ. ლარს. ამ პერიოდში წარმოებულ სამრეწველო პროდუქციაში დიდი ხვედრითი წილი უკავია გადამამუშავებელ, კვების მრეწველობებს, სატრანსპორტო მოწყობილობების წარმოებას, სამთომომპოვებელ მრეწველობას და კარიერების დამუშავებას, ცელულოზის, ქაღალდის და ქაღალდის ნაწარმის წარმოებას. შედარებით ნაკლები ხვედრითი წილითაა წარმოდგენილი საფეიქრო, ქიმიური, მეტალურგიული მრეწველობა და ელექტრონული მოწყობილობების წარმოება.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ენერგეტიკა, დარგში წარმოებული პროდუქციის რაოდენობამ შეადგინა 100897.7 ათ. ლარი, რაც 8.9 პროცენტით აღემატება გასული წლის შესაბამის მაჩვენებელს.

---

* საქართველოს ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროს მონაცემები

ინოვაციური აქტიურობის თვასაზრისით, მეტ-ნაკლებად გამოირჩევიან ს.ს. "ელმავალმშენებელი", რომელმაც შექმნა ახალი ტიპის სამამულო ელმავალი, რაც ტექნიკის დარგში საქართველოს სახელმწიფო პრემიის მინიჭებით გამოიხატა; ს.ს "ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხანა"; ს.ს "აგრეგატი", სადაც მიმდინარეობს სამუშაოები ბაზალტისგან პრინციპულად ახალი საშენ-მასალათა წარმოების მიზნით; ს.ს " ელექტრონული ტექნოლოგიები"; შ.პ.ს "ბიოენერგია", საგულისხმოა, რომ ამ ორგანიზაციის მიერ იწარმოება პრინციპულად ახალი პროდუქცია, რომელიც ენერგიის ალტერნატიული წყაროების შექმნას ემსახურება, საერთაშორისო ორგანიზაციების მხარდაჭერით იქმნება და მონტაჟდება საქართველოს რეგიონებში ამ საწარმოს მიერ წარმოებული პროდუქცია; ს.ს "ახალი ქსელები", "ჯეოსელი", "მაგთი" უკვე საკმაო გამოცდილების მქონე კომპანიებია, რომლებიც უცხოელი ინვესტორების დახმარებით, საქართველოს კავშირგაბმულობის სფეროში საკმაოდ წარმატებულად ოპერირებენ; მოდერნიზება ხდება შ.პ.ს "თბილავიამშენში", სადაც უახლოეს პერიოდში იგეგმება ბოინგის ტიპის თვითმფრინავების სარემონტო მომსახურებისათვის სერიოზული ინვესტიციების განხორციელება, აგრეთვე, გადაიარაღებას განიცდის ს.ს "თბილმეტრომშენი" და ს.ს "საქავიამშენი", სიახლეთა დანერგვის თვალსაზრისით, უწინარეს ყოვლისა მარკეტინგის სფეროში, გამორჩეული ადგილი უკავია ს.ს "ყაზბეგს", რომელმაც ფრანჩაიზინგული სისტემის მეშვეობით, საქართველოს მთელი მასშტაბით შექმნა საკუთარი პროდუქციის გასაღების მეტად ეფექტური მექანიზმი.

რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სამხარეო ადმინისტრაციის მონაცემებით მხარეში სამრეწველო პროდუქციის წარმოებაში გასულ წლებში ჩამოყალიბებული ზრდის ტენდენცია ვერ იქნა შენარჩუნებული 2003 წლის პირველ ნახევარში.

მხარეში სულ რეგისტრირებული 184 სამრეწველო საწარმოდან საანგარიშო პერიოდში ფუნქციონირებს 102 საწარმო, რომელთა მიერ წარმოებულია 4142.1 ათასი ლარის სამრეწველო პროდუქცია, რაც 27.4 პროცენტით ნაკლებია გასული წლის შესაბამის მაჩვენებელთან.

სამრეწველო პროდუქციის წარმოების შემცირება ძირითადად მეღვინეობის პროდუქციის წარმოების შემცირებით არის გამოწვეული. მიმდინარე წლის პირველ ნახევარში აღნიშნულ დარგში ნაწარმოებია 992.5 ათასი ლარის პროდუქცია, რაც 10 პროცენტით ნაკლებია გასული წლის შესაბამის მაჩვენებელთან შედარებით.

კლების ტენდენციით ხასიათდება აგრეთვე სოფლის მეურნეობა. კერძოდ, 2003 წლის პირველ ნახევარში მხარეში სასოფლო სამეურნეო პროდუქციის წარმოებამ შეადგინა 12639.8 ათასი ლარი, რაც 18 პროცენტით ნაკლებია გასული წლის შესაბამის მაჩვენებელზე.

ბოლო წლებში სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარის მრეწველობის ფუნქციონირებაში ჩამოყალიბდა კლების ტენდენცია. საწარმოთა უმრავლესობა ამცირებდა პროდუქციის გამოშვების მოცულობას. რაც, უპირველეს ყოვლისა, არსებულმა მწვავე ენერგეტიკულმა კრიზისმა განაპირობა.

მიუხედავად მრეწველობაში ჯერ კიდევ არსებული რთული მდგომარეობისა, სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო ადმინისტრაციის ინფორმაციით, 2003 წლის პირველ ნახევარში მოქმედი ასამდე სამრეწველო საწარმოს მიერ გამოშვებულია 8753.0 ათასი ლარის სამრეწველო პროდუქცია, რაც 39 პროცენტით აღემატება წინა წლის შესაბამის მაჩვენებელს. აღნიშნული შედეგები მიღწეულია ცალკეულ საწარმოთა მიერ სამრეწველო პროდუქციის წარმოების ზრდით. სამრეწველო პროდუქციის მთლიან მოცულობაში ყველაზე მაღალი ხვედრითი წილით წარმოდგენილია სენაკის რაიონი- წარმოებულია 4166.4 ათ. ლარის პროდუქცია, ზუგდიდის რაიონი – წარმოებულია 1172.3 ათ. ლარის პროდუქცია, ხობის რაიონი – წარმოებულია 805.6 ათ. ლარის პროდუქცია, ქ. ფოთი – წარმოებულია 1611.9 ათ. ლარის პროდუქცია. სამრეწველოპროდუქციის მოცულობა გაზრდილია აგრეთვე აბაშის, ჩხოროწყუს, მარტვილის, მესტიის რაიონებში.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ მხარეში მთლიანად წარმოებული სამრეწველო პროდუქციის 50.7 პროცენტი საექსპორტო პროდუქციაა და შეადგენს 4444.3 ათ. ლარს, რაც 93.2 პროცენტით აღემატება წინა წლის მაჩვენებელს. საექსპორტო პროდუქცია ძირითადად სენაკის რაიონში არსებული შპს "ბბმკ" და შპს "ქსი-

ლი ტრანსი"-ს მიერ წარმოებულ (შესაბამისად ღვინის და ხე-ტყის მასალები) პროდუქციაზე მოდის და 3474.7 ათას ლარს შეადგენს.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკი საწარმოთა უმრავლესობაში წარმოებული საქონლის ასორტიმენტი ინოვაციური თვალსაზრისით შეიძლება განვიხილოთ შემდეგი სახით:

- საწარმოები, რომლებიც სრულიად ახალი ტექნოლოგიების გამოყენებით ახალ ინოვაციურ საქონელს აწარმოებენ რეგიონისათვის (და არა მარტო), შესაბამისად, ახალი ასორტიმენტით: "ბათუმის საშენ-მასალთა კომბინატი"- ქუჩის მოსაპირკეთებელი ფილები (ოთხი სხვადასხვა კონფიგურაციის ფორმით), ბორდიული, საკედლე და ტიხრის ბლოკები; "აღორძინება მ": - კარ-ფანჯრები და კარ-ფანჯრების ჩარჩოები (პოლისტიროლისგან), სხვადასხვა სახის ე.წ. თერმოელემენტები (ბლოკები), სამშენებლო მასალები და სხვა. "აღორძინება მ": მოტორიანი ნავი, სადესანტო სწრაფმავალი კატარღა რნ 900 და სხვა;
- საწარმოები, რომლებმაც განაახლეს პროდუქციის ასორტიმენტი ან სრულიად ახალი საქონელი აწარმოეს : სს "ბათუმის რძის ქარხანა"-ხაჭო, არაჟანი და ნაყინი ("ვიქტორია"); ს.ს "საავეჯო ბამბუკის ფაბრიკა" – კორპუსული ავეჯი, ბამბუკის ნაწარმი – მაგიდა, სკამი, კარადა, სხვადასხვა ტიპის სამეულები, ფანჩატური და სხვადასხვა ტიპის ბამბუკის ავეჯი; შ.პ.ს "ბათუმიტექსი" – სამკერვალო ნაწარმი; "ფეხსაცმელების სამრეწველო-სავაჭრო გაერთიანება" ტყავის ფეხსაცმელი; ბათუმის გემთსაშენი ქარხანა – სასაზღვრო საგუშაგო კატარღა (პროექტი 1400მ) "გრიფი"; საზღვაო-საგუშაგო კატარღა (პროექტი 18629) "ტორნადო", სასაზღვრო კატარღა (პროექტი 1398ბ) "აისტი"; სამიმოსვლო კატარღა (პროექტი 13901) "სტრიჟი"; მოდერნიზებული პროდუქცია საბუქსირო კატარღა (პროექტი 13590მ). შ.პ.ს. "რანდი" – ავეჯი; შ.პ.ს "ციტრო" – ხილ-ბოსტნეულის წვენი და სხვა;
- საწარმოები, სადაც ძალზედ მცირედ გამოიყენეს (ან არ გამოიყენეს) ინოვაციური პროცესები (თუმცა ამ საწარმოების საქონელზე მოთხოვნა მაინც არსებობს): შ.პ.ს. "ტრან-

სფორმატორები და ელექტროხელსაწყო": აოსნ 2-8 ა ტიპის ავტოტრანსფორმატორი, ტსზი 1.6 – 4.0 ტიპის სამფაზა ტრანსფორმატორი, ძალოვანი ტრანსფორმატორი (660V ძაბვამდე) და ა.შ.; "ქიმიურ-ფარმაცევტული ქარხანა" – იოდის ხსნარი, ალოეს წვენი, კალანხოეს წვენი, პლატიფილინის წვენი და სხვა. საგულისხმოა, რომ ს.ს "ტრანსფორმატორები და ელექტროხელსაწყოების" საწარმო, რომელსაც მნიშვნელოვანი სახის ინოვაციური ღონისძიებები არ განუხორციელებია, ცდილობს ხარისხის ამაღლებაზე ეფექტური მუშაობით მაქსიმალურად გამორიცხოს უკარგისი და დეფექტის მქონე პროდუქციის მოხვედრა ბაზარზე.

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საწარმოთა უმრავლესობაში საჭიროა ჩატარდეს სერიოზული კომპლექსური მარკეტინგული კვლევა, შეფასდეს მათი კონკურენტული პოზიციები და დამუშავდეს წარმოებისა და გასაღების ყველა სტადია მიზნობრივი ბაზრის სწორად შერჩევის მიზნით.

სამცხე-ჯავახეთის სამხარეო ადმინისტრაციის ინფორმაციით მხარეში არსებული 234 საწარმოდან საანგარიშო პერიოდში არასრული დატვირთვით მუშაობდა 128 სამრეწველო საწარმო, ანუ მთლიანად რეგისტრირებულის ნახევარი, მიუხედავად ამისა, მათ მიერ წარმოებულ იქნა 29090.9 ათასი ლარის პროდუქცია, რაც 19.5 პროცენტით აღემატება გასული წლის შესაბამის მაჩვენებელს.

მხარეში წარმოებული სამრეწველო პროდუქციის 80 პროცენტზე მეტი აგრარულ სექტორზე მოდის, შესაბამისად ამ დარგშია დასაქმებული მხარის შრომითი რესურსების ძირითადი ნაწილი.

მხარის სოფლის მეურნეობის განვითარებაზე და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების მოცულობის ზრდაზე უარყოფით გავლენას ახდენს მოძველებული სამელიორაციო სისტემები. მხარეში მოქმედი სარწყავი სისტემებით ირწყვება სასოფლო სამეურნეო სავარგულების 5-7 პროცენტი,რაც არ არის საკმარისი.

2003 წლის პირველ ნახევარში მცხეთა-მთიანეთის მხარეში მოქმედი 117 მსხვილი, საშუალო და მცირე სამრეწველო საწარმოების მიერ წარმოებული პროდუქციის მოცულობამ 17795.4 ათასი ლარი შეადგინა, რაც 55.9 პროცენტით აღემატება გასული წლის შესაბამის მაჩვენებელს.

მხარეში წარმოებული სამრეწველო პროდუქციის ძირითადი ნაწილი მოდის ხე-ტყის დამუშავებაზე, გადამამუშავებელ, კვების მრეწველობაზე.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ მხარეში წარმატებით ფუნქციონირებს მცირე საწარმოები. მათ მიერ წარმოებული სამრეწველო პროდუქციის მოცულობამ 2003 წლის პირველ ნახევარში 7674.0 ათასი ლარი შეადგინა, რაც მთლიანდ წარმოებულის 43.2 პროცენტს შეადგენს.

მხარეში წარმოებული სამრეწველო პროდუქციის 12.1 პროცენტი საექსპორტო პროდუქციაა და 2156.3 ათას ლარს შეადგენს. მხარიდან ძირითადად ექსპორტირებულია ღვინო, მინის ტარა, ხის მასალა, რომლებიც მთლიანად მცხეთის რაიონშია წარმოებული.

2003 წლის პირველ ნახევარში იმერეთის მხარეში სულ მოქმედებდა 527 სამრეწველო საწარმო, რომელთა უდიდესი ნაწილი ანუ 147 საწარმო ქ. ქუთაისშია განლაგებული. მხარეში მოქმედ საწარმოთა შორის მსხვილი საწარმოები 3.4 პროცენტს შეადგენს და ასეთია 18 საწარმო, მათ მიერ აღნიშნულ პერიოდში წარმოებულია 39949 ათასი ლარის პროდუქცია ანუ მთლიანად წარმოებულის 72 პროცენტი.

სულ მხარეში ამ პერიოდში წარმოებულია 55.7 მილიონი ლარის სამრეწველო პროდუქცია, რაც 11.8 მილიონი ლარით აღემატება წინა წლის შესაბამის მაჩვენებელს. არსებული მაჩვენებლის ზრდა ძირითადად განპირობებულია ს.ს "ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნისა" და ს.ს "ჭიათურმანგანუმის" მიერ წარმოების მოცულობის ზრდით. კერძოდ, აღნიშნულ პერიოდში ამ საწარმოების მიერ წარმოებული იქნა 24.3 მილიონი ლარის სამრეწველო პროდუქცია, რაც მხარეში წარმოებული სამრეწველო პროდუქციის 43.6 პროცენტს შეადგენს. ამასთან, აღნიშნულ საწარმოებში დასაქმებულია მხარის მრეწველობაში დასაქმებულთა 39.4 პროცენტი.

2003 წლის პირველ ნახევარში მხარეში წარმოებული სამრეწველო პროდუქციის თითქმის ნახევარი, ანუ 47.2 პროცენტი საექსპორტო პროდუქციაზე მოდის, რაც 2.1-ჯერ აღემატება გასული წლის შესაბამის მაჩვენებელს და 26302.7 ათას ლარს შეადგენს.

2003 წლის პირველ ნახევარში გურიის მხარეში შექმნილმა მთლიანმა შიდა პროდუქტმა მოქმედ ფასებში 10142.4 ათასი ლარი

შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამის მაჩვენებელზე 10.3 პროცენტით ნაკლებია.

მრეწველობის პროდუქციის ძირითადი სახეობებიდან წლის პირველ ნახევარში წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით გაიზარდა ტექნოლოგიური მოწყობილობების, შავი ჩაის, მწვანე ჩაის, წყლის და მინერალური წყლის წარმოება. შემცირდა ელ. ენერგიის, ხორბლის ფქვილის, პურ-ფუნთუშეულის, ლიმონათის, აგურა ჩაის და სამშენებლო მასალების წარმოება.

2003 წლის პირველ ნახევარში სამრეწველო საწარმოების მიერ პროდუქციის ექსპორტმა 1830.2 ათასი ლარი შეადგინა, რაც 8.4 პროცენტით ნაკლებია წინა წლის შესაბამის მაჩვენებელთან შედარებით.

კახეთის მხარეში 2003 წლის ექვს თვეში წარმოებული იქნა 17008.5 ათასი ლარის სამრეწველო პროდუქცია, რაც წინა წლის შესაბამის მაჩვენებელზე 895.9 ათასი ლარით მეტია და შეადგენს 105.6%-ს. განსაკუთრებით დიდი ოდენობით იქნა შემცირებული სამრეწველო პროდუქციის წარმოება საგარეჯოს რაიონში, სადაც წინა წელთან შედარებით წარმოებულია 420.9 ათასი ლარით ნაკლები. ამ მხრივ ზრდაა ლაგოდეხის რაიონში, სადაც წარმოებულმა პროდუქციამ 337.1 ათასი ლარი შეადგინა ანუ ზრდის ტემპმა 478.2%, რაც განპირობებული იყო შ.პ.ს "ქინძმარაულის" მიერ 216.5 ათასი ლარის პროდუქციის წარმოების ზრდით. ასევე შ.პ.ს "გოლდსი"- 58.7 ათასი ლარი.

წარმოების მაღალი ტემპებით გამოირჩევიან ყვარლის რაიონში: "ყვარელგაზი", კორპორაცია "ქინძმარაული", შ.პ.ს "ყვარელი".

გურჯაანის რაიონში კვლავ გაჩერებულია ს.ს. "გურჯაანი-93", "კახეთის პური", ს.ს "ზეგანი", ს.ს "ველისციხე", რაც უარყოფითად მოქმედებს რაიონის ეკონომიკაზე. ახმეტის რაიონში არსებული 4 ღვინის ქარხნიდან მხოლოდ 1 ფუნქციონირებს უმნიშვნელო დატვირთვით.

საქართველოში მრეწველობის დარგში ინოვაციებზე გაწეული დანახარჯების რეგიონული სტრუქტურა წარმოდგენილია ცხრილში 2.2.2

ინოვაციური პოტენციალის გამოყენების თვალსაზრისით, მეტად საინტერესოა საქართველოს მრეწველობის რამოდენიმე ობიექ-

ტი, რომლებიც ძირითადად ქვემო ქართლისა და იმერეთის რეგიონში არიან კონცენტრირებულნი, კერძოდ: ს.ს "აზოტი", ს.ს "მადნეული" და მისი შვილობილი ფირმა შ.პ.ს "კვარციტი"; ს.ს "რუსთავის მეტალურგიული კომბინატი" და მის ბაზაზე დაფუძნებული "თუჯი XXI", აგრეთვე ს.ს "რუსთავცემენტი", ს.ს "ქუთაისის ლითოფონების ქარხანა" და ს.ს "ქუთაისის ავტოქარხანა", ს.ს "ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანა" და ს.ს "ჭიათურმანგანუმი", ს.ს "ელექტრომექანიკოსი", ს.ს "აისი". ამ საწარმოებში ქვეყნის სამრეწველო ინოვაციური პოტენციალის მნიშვნელოვანი ნაწილია თავმოყრილი.

ცხრილი 2.2.2

დანახარჯების განაწილება საინოვაციო ტექნოლოგიებზე მრეწველობაში მხარეების მიხედვით (1996-2002 წწ)

საქართველოს ტერიტორიული ერთეულები	საერთო დანახარჯები	მათ შორის	
		მიმდინარე დანახარჯები	კაპიტალური დანახარჯები
საქართველო სულ	100	58	42
ქ. თბილისი	100	38	62
აფხაზეთის არ	100	-	-
აჭარის არ	100	44	56
სამეგრელო-ზემო სვანეთი	100	68	32
გურია	100	59	41
იმერეთი	100	49	51
რაჭა ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	100	63	37
შიდა ქართლი	100	71	29
მცხეთა - მთიანეთი	100	67	33
კახეთი	100	66	34
ქვემო ქართლი	100	48	52
სამცხე-ჯავახეთი	100	72	28

შედგენილია საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტისა და საქართველოს ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროს მონაცემებზე დაყრდნობით.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ მიუხედავად ამ საწარმოების მნიშვნელოვანი პოტენციალისა, უცხოელი ინვესტორების გარეშე მათი სრული დატვირთვა და შესაბამისად ახალი ან პრინციპულად გაუმჯობესებული პროდუქციის წარმოება შეუძლებელი. თითოეული მათგანი საჭიროებს მნიშვნელოვან პერმანენტულ ინვესტიციებს, ასე, მაგალითად, ს.ს "აზოტში" წარმოების ძირითადი საშუალებების განახლების მიზნით მნიშვნელოვანი ინვესტიციები განახორციელა საწარმოს აქციათა 90%-ის პაკეტის მფლობელმა კომპანია "იტერამ", თუმცა, მიუხედავად ამისა, მაინც ვერ ხერხდება კაპროლაქტამის წარმოების გაშვება. 7 მილიონი აშშ დოლარის ინვესტირებას აპირებს ს.ს "ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის" აქციათა პაკეტის მფლობელი ავსტრიული კომპანია "დიესემი", რაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს, აგრეთვე ს.ს "ჭიათურმანგანუმის" ფინანსურ მდგომარეობას. ასევე შეიძლება ვიმსჯელოთ ს.ს "მადნეულის" სტრატეგიულ პარტნიორზე "გლენკორზე", რომელსაც განზრახული აქვს ს.ს "მადნეულში" 10 მლნ აშშ დოლარის დაბანდება. ასევე, აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ მაგალითად ს.ს "ქუთაისის ლოთოფონის ქარხანა", რომლის მიერ ნაწარმოები საღებავები საერთაშორისო ბაზრის მოთხოვნით სარგებლობს.

ამდენად, როგორც რეგიონებიდან მიღებული ინფორმაციები ცხადყოფს საქართველოში არსებული ეკონომიკური პოტენციალის, კერძოდ, ინოვაციური პოტენციალის რეალურად არსებობის მიუხედავად, ქვეყანაში მეტად დაბალია ინოვაციური წარმოებების ხვედრითი წონა, რაც, უწინარეს ყოვლისა, თვით ინოვაციათა ბუნებიდან გამომდინარეობს. ინოვაციათა დაფინანსება მნიშვნელოვან სახსრებთანაა დაკავშირებული, პრინციპულად ახალი პროდუქციის წარმოებაში დანერგვა თანამედროვე საბაზრო ეკონომიკის მოთხოვნებიდან გამომდინარე მეტად გართულებულია. ამრიგად, შეიძლება დავასკვნათ, რომ თანამედროვე ეტაპზე რეგიონების ინოვაციური პოტენციალის გამოყენების შიდა წყაროები მნიშვნელოვნად არიან პარალიზებულნი. შესაბამისად, საქართველოს ხელისუფლების ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულება საზღვარგარეთელი ინვესტორების მოზიდვა უნდა იყოს, რაც მათი

(უცხოელი ინვესტორების) მხრიდან ქვეყნის ინოვაციური პოტენციალის სრულად ათვისებასა და ზრდაში უნდა გამოიხატოს.

2.3 ინოვაციური პოტენციალის ზრდის წყაროები

საქართველოში განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს რეგიონული დაგროვების სტიმულირების ღონისძიებები, ვინაიდან, სწორედ რეგიონული დაგროვების მეშვეობით იქმნება რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პოტენციალი. რეგიონული დაგროვების პროცესი გულისხმობს, ერთი მხრივ, ფულადი სახსრების გარკვეული ნაწილის (ზედმეტი პროდუქტი) აკუმულირებას, რომელიც უპირატესად კაპიტალური სამუშაოების დაფინანსებაზე წარიმართება, ხოლო მეორე მხრივ, - წარმოების პროცესში ახალი საწარმოო ფონდების ჩართვას ან ძველის რეკონსტრუქციას.

რეგიონში ფულადი სახსრების აკუმულირება შეიძლება განხორციელდეს:

- რეგიონში სამეწარმეო საქმიანობისა და პროდუქციის გასაღების შედეგად;
- რეგიონში წარმოებული პროდუქციის რეგიონის ფარგლებს გარეთ რეალიზაციის შედეგად.
- რეგიონის ფარგლებს გარეთ წარმოებული პროდუქციის რეალიზაციის შედეგად;
- ინვესტიციების შემოტანის შედეგად;
- ცენტრალური ბიუჯეტის ტრანსფერტებისა და ანარიცხების დაგროვების შედეგად;

- ადგილობრივი გადასახადების გადახდევინების შედეგად.

დაგროვების პროცესი, როგორც წარმოებაში ახალი საწარმოო სიმძლავრეების ჩართვა ან ძველის რეკონსტრუქცია, მჭიდრო კავშირშია ფულადი სახსრების აკუმულირებასთან. ახალი საწარმოო სიმძლავრეების შექმნა ან ძველის რეკონსტრუქცია რეგიონში ძირითადად ემსახურება:

- ადგილობრივი სამომხმარებლო მოთხოვნილების დაკმაყოფილებას;

- რეგიონის ფარგლებს გარეთ პროდუქციის რეალიზაციის დროს ადგილობრივი მოსახლეობის სამუშაო ადგილებით უზრუნველყოფას;
- კაპიტალის შემოტანის ან გატანის მიზნით, სამეურნეო საქმიანობაში ადგილობრივი ბუნებრივ-რესურსული პოტენციალის ჩართვას.

სამეცნიერო-სამრეწველო ინტეგრაციამ დიდი გავლენა მოახდინა ბიზნესის სფეროზე და თვით საბაზრო ეკონომიკის საზოგადოებრივ ხასიათზე, კერძოდ, წარმოებისა და მეცნიერების კოოპერაციულ კავშირებზე, ინფორმაციულ ინფრასტრუქტურაზე, ახალი ურთიერთკავშირების შექმნაზე, ტექნოლოგიურ, საინფორმაციო, საფინანსო, პროფესიულ-საგანმანათლებლო და სხვა სფეროებზე.[40]

საინოვაციო სისტემების ფორმირება, როგორც წესი, ცალკეული რეგიონისათვის დამახასიათებელი ფაქტორების ზეგავლენით ხდება, კერძოდ, სამეცნიერო-ტექნოლოგიური პოტენციალის, ბუნებრივი რესურსების, გეოგრაფიული მდებარეობის, სამეწარმეო და სახელმწიფო ინსტიტუტების ტრადიციების და სხვათა გავლენით. ამიტომ, სამეცნიერო-ტექნოლოგიური განვითარების პრიორიტეტების განსაზღვრა პროგნოზირების სხვადასხვა მეთოდის გამოყენებით უნდა ხდებოდეს.

განვითარებულ ქვეყნებში სახელმწიფოს მნიშვნელოვან ფუნქციად სამეწარმეო სექტორის საინოვაციო მოღვაწეობისათვის ხელსაყრელი გარემოს შექმნა იქცა. სახელმწიფოს ამ ფუნქციის შესასრულებლად იყენებენ ეკონომიკური და საბიუჯეტო პოლიტიკის რიგ ღონისძიებებს: მიზნობრივ საგადასახადო შეღავათებს, შეღავათიან დაკრედიტებას, დაჩქარებულ ამორტიზაციას, სახელმწიფო ქონებისა და მიწის უსასყიდლო გადაცემას საინოვაციო საწარმოების შესაქმნელად და სხვა.

აღნიშნულ ღონისძიებებს ემატება ანტიმონოპოლიური რეგულირება, საბაჟო პოლიტიკა, ინტელექტუალური უფლებების დაცვა და ა.შ., რომლებიც ხელს უწყობენ საინოვაციო საქმიანობის გან-

---

[40] «Европа вчера, сегодня, завтра», сборник «Экономика», М.: 2002, ст. 290

ვითარებას. საინოვაციო საქმიანობის განვითარების პროცესში მნიშვნელოვან როლს ასრულებენ აგრეთვე სახელმწიფო დაკვეთები.

ბუნებრივია, რომ საქართველოში რეგიონების მწირი ფინანსური რესურსები არ იძლევა მათი ეკონომიკური პოტენციალის, უწინარეს ყოვლისა კი ინოვაციური პოტენციალის ზრდის რეალურ შესაძლებლობას. საქართველოს რეგიონები საჭიროებენ მნიშვნელოვან ინვესტიციებს, რაც მეტწილად დამოკიდებულია ქვეყანაში საინვესტიციო ბაზრის ეფექტიან ფუნქციონირებაზე, ეს უკანასკნელი კი განპირობებულია ინვესტიციური წყაროების ფორმირებით, რომელთა მოცულობას ძირითადად განსაზღვრავენ შემდეგი ფაქტორები: საბიუჯეტო პოლიტიკა, ფულად-საკრედიტო პოლიტიკა, საგადასახადო-საბაჟო პოლიტიკა, საწარმოებისა და მოსახლეობის დანაზოგების ფორმირების შესაძლებლობანი, საფონდო (ფასიანი ქაღალდების) ბაზრის განვითარების დონე, სადაზღვევო და საპენსიო ფონდების შესაძლებლობანი, სალიზინგო მომსახურების განვითარება და უცხოური ინვესტიციების მოზიდვის პოლიტიკა (საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობების პოლიტიკა)

საინვესტიციო ბაზრის ფორმირებაში ერთ-ერთი მთავარი ფუნქცია აკისრია სახელმწიფო ბიუჯეტს, რომელმაც უნდა უზრუნველყოს სტრუქტურულ გარდაქმნებთან დაკავშირებული პრობლემების დაძლევა. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტი არ არის საკმარისი არგუმენტი იმისთვის, რომ ინვესტიციურ დაფინანსებაში მას მეორეხარისხოვანი როლი მიენიჭოს. სახელმწიფო ბიუჯეტს არ შეიძლება არცერთი სხვა ინვესტიციური წყარო შეედაროს. რადგან ბიუჯეტური ინვესტიციები ემყარება სახელმწიფო აქტივებს და მათ მიერაა მატერიალურად გარანტირებული. გარდა ამისა, ბიუჯეტური ინვესტიციები მობილური და ოპერატიული ბერკეტია სტრუქტურული გარდაქმნების და ეკონომიკის ოპტიმალური, დაბალანსებული პროპორციების მისაღწევად. საქართველოში, ინვესტიციების საერთო მოცულობაში, საბიუჯეტო ინვესტიციების ხვედრითი წონა მეტად მცირეა (იხ.ცხრილი 2.3.1), რაც სახელმწიფო საინვესტიციო პოლიტიკის უარყოფით მხარედ უნდა მივიჩნიოთ.

ამჟამად საბიუჯეტო დაბანდებების მკვეთრი შემცირება და აგრეთვე საწარმობში ახალ მოწყობილობათა შესაძენად საჭირო სახსრების უქონლობა რეგიონში სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის ტემპების დაცემის ძირითად და მნიშვნელოვან მიზეზს წარმოადგენს.

ცხრილი 2.3.1

საბიუჯეტო ინვესტიციები ძირითად კაპიტალში
მლნ ლარი (ფაქტობრივად მოქმედ ფასებში)

წლები	ინვესტიციები	მ. შ საბიუჯეტო ინვესტიციები	
	სულ	ოდენობა	%
1995	127	17	13.9
1996	170	33	19.4
1997	266	35	13.2
1998	512	39	7.6
1999	364	53	14.6
2000	349	32	9.1
2001	383	42	11
2002	446	37	8.3

შედგენილია საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემებზე დაყრდნობით

ბიუჯეტთან ერთად, ამ საქმეში მნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულოს საწარმოო და კერძო დანაზოგებმა. ეს უკანასკნელი კი, თავის მხრივ, მჭიდროდ უკავშირდება სახელმწიფოს მაკროეკონომიკურ პოლიტიკას. უწინარეს ყოვლისა – ფისკალურ და ფულად-საკრედიტო პოლიტიკას.

საქართველოში სამეურნეო გარდაქმნების პერიოდში საწარმოო სექტორის ფინანსური მდგომარეობა მკვეთრად გაუარესდა. შესაბამისად, შემცირდა, რიგ შემთხვევაში საერთოდ შეწყდა ინვესტიციები. ინტენსიური ხასიათი მიიღო დაგროვების დეფიციტმა. საწარმოთა მოგებამ დაკარგა ინვესტიციური ფუნქცია მისი უმნიშვნელო მოცულობის გამო. მაღალი საპროცენტო განაკვეთის პირობებში, რომელსაც ძირითადად ზედმეტად მკაცრი ფულად-საკრედიტო პოლიტიკა განაპირობებს, საბანკო კრედიტი განსაკუთრებით ხელმიუწვდომელია წვრილი და საშუალო მეწარმისათვის. ამასთან,

კრედიტი ძირითადად მოკლევადიანია. რის გამოც იგი ხშირად გამოიყენება არა წარმოების სფეროში, არამედ სავაჭრო-საშუამავლო სექტორში.

საწარმოო ინვესტიციების ერთ-ერთი ძირითადი წყაროა საწარმოს მოგების ნაწილი. ამასთან, საგულისხმოა პროფესორ ვლადიმერ პაპავას მოსაზრება, რომელიც საერთაშორისო სავალუტრო ფონდის მეთოდური ხასიათის შეცდომად მიიჩნევს მათ ქცევასა და საბოლოო მოთხოვნას, რომელმაც საქართველოს ხელისუფლებას მიაღებინა გადაწყვეტილება მოგების იმ ნაწილის მოგების გადასახადით დაბეგვრის შესახებ, რომელიც რეინვესტირებაზე მიდის.[41] ამ გადასახადის დაწესებით ქვეყანაში, რომელსაც ინვესტიციების უდიდესი დეფიციტი აქვს, წარმოების განვითარების საფინანსო რესურსების მოძიების პირდაპირი სტიმული იზღუდება. ამ მოსაზრებას იზიარებს, აგრეთვე, პროფესორი ნოდარ ჭითანავა.[42]

საწარმოო ინვესტიციების წყაროა ამორტიზაციის ანარიცხები. საამორტიზაციო პოლიტიკა ძირითადი კაპიტალის კვლავწარმოების პროცესის სახელმწიფო რეგულირების სფეროს წარმოადგენს. საბაზრო ეკონომიკის პირობებში, საამორტიზაციო პოლიტიკა მჭიდრო კავშირშია საგადასახადო პოლიტიკასთან. იგი მიზნად ისახავს სამეურნეო სუბიექტების იმ ფინანსური შესაძლებლობების უზრუნველყოფას, რომელიც მიმართულია ძირითადი კაპიტალის ინვესტირებაზე. ძირითადი კაპიტალის ჩამოწერის პირობები, საწარმოს შემოსავლების დაბეგვრის დონესთან და საგადასახადო საინვესტიციო შეღავათებთან ერთად, წარმოადგენს მეწარმისათვის უმნიშვნელოვანეს ორიენტირს საინვესტიციო გადაწყვეტილების მიღებისას.

ბევრ ქვეყანაში მიმართავენ დაჩქარებული ამორტიზაციის მეთოდს. ამ მეთოდის გამოყენება ძირითადად განვითარებულ ქვეყნებ-

---

[41] პაპავა ვლ.გ. საერთაშორისო სავალუტო ფონდი საქართველოში: მიღწევები და შეცდომები, თბილისი, გამომც.: შპს „კომპანია იმპერიალი", 2000, გვ.102;

[42] ჭითანავა ნ.ა. გარდამავალი პერიოდის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები. ნაწილი III, თბილისი, ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროსთან არსებული ეკონომიკური და სოციალური პრობლემების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სტამბა, 2001, გვ. 317

ში ხდება, სადაც ორმაგ (გაზრდილ) ამორტიზაციის რეჟიმს ყოველთვის მიმართავენ დამწყები საწარმოები ფუნქციონირების საწყის სტადიაზე.

საქართველოში საწარმოთა სიმძლავრეები მინიმალურადაც არ არის დატვირთული. ასეთ დროს დაჩქარებული ამორტიზაცია ფაქტობრივად კარგავს ფუნქციას. საქართველოში დაჩქარებული ამორტიზაციის ნორმების დაწესება არ შეიძლება განვიხილოთ, როგორც უცხოური ინვესტიციების მასტიმულირებელი ფაქტორი. უცხოელი ინვესტორისათვის უფრო სარფიანია ახალი ტექნოლოგიების შემოტანა-დანერგვა, ვიდრე არსებულ მორალურად მოძველებულ ძირითად ფონდებში კაპიტალის დაბანდება.

აღსანიშნავია, რომ ხშირად ერთმანეთში ურევენ ძირითადი ფონდების დაჩქარებული განახლებისა და დაჩქარებული ამორტიზაციის ცნებებს. პირველი განპირობებულია საბაზრო ეკონომიკისა და კონკურენციის კანონების არსებობით. დააჩქარო განახლება დაჩქარებული ამორტიზაციის რეჟიმის გამოყენებით, ყოვლად მიუღებელია. დაჩქარებული ამორტიზაციის გამოყენება ძირითადად განვითარებულ ქვეყნებს ახასიათებთ, სადაც პრიორიტეტულ მიმართულებად ითვლება ინოვაციური პოლიტიკა და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი. საქართველოში ამ თემაზე საუბარი ნაადრევად მიგვაჩნია.

საწარმოებსა და ცალკეულ მეწარმეებს შეუძლიათ მოიზიდონ კაპიტალი მატერიალური – სასაქონლო ფორმით. სხვანაირად რომ ვთქვათ, საქმე ეხება უძრავი ქონებისა და მოწყობილობის იჯარას. რომელსაც ლიზინგს უწოდებენ.

საქართველოში საფინანსო იჯარის ურთიერთობები და მასთან დაკავშირებული საკანონმდებლო-ნორმატიული რეგულირების აუცილებლობა, საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ პერიოდში წარმოიქმნა. საქართველოს ნორმატიულ აქტებში ტერმინი "ლიზინგი", პირველად 1997 წელს, საქართველოს სამოქალაქო კოდექსში (მუხლი 576) დაფიქსირდა.

ლიზინგი არის სამეწარმეო საქმიანობის ერთ-ერთი სახე, რომლის დროსაც ლიზინგის ხელშეკრულების საფუძველზე ხორციელდება ქონების გადაცემა ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის განსაზღვრული საზღაურით, ვადითა და პირობებით, ლი-

ზინგის მიმღების მიერ ქონების გამოსყიდვის უფლებით, ან მის გარეშე.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 78-ე მუხლი არეგულირებს ლიზინგთან დაკავშირებულ ფინანსურ ურთიერთობებს. თუმცა, თუ ჩვენი ქვეყნის კანონმდებლობას შევადარებთ სხვა ქვეყნებისას, იკვეთება გარკვეული განსხვავებანი, რომელთა გაანალიზებაც საფუძველს მოკლებული არ არის. მაგალითად, რუსეთის ფედერაციის კანონმდებლობის შესაბამისად, ლიზინგით გადაცემული ქონება ითვალისწინებს ლიზინგის ისეთ ფორმებს, როგორიცაა: ფინანსური ლიზინგი, ოპერატიული ლიზინგი და დაბრუნებადი ლიზინგი. საქართველოს კანონმდებლობა აღნიშნულ ურთიერთობებს დეტალურად არ განიხილავს. რაც, გარკვეულწილად, აფერხებს ლიზინგური ოპერაციების ეფექტიანი განხორციელების შესაძლებლობას.

საქართველოში საინვესტიციო საქმიანობის აქტივობას მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს ფრენშაიზინგის სისტემის განვითარება. ჩვენს ქვეყანაში ფრენშაიზინგი თავისი კლასიკური ფორმით 90-იანი წლების დასაწყისში უცხოური ინვესტიციების სახით შემოვიდა. საქართველოში სამრეწველო ფრენშაიზინგის ერთ-ერთი თვალსაჩინო მაგალითი მსოფლიო ფრენშაიზინგის გრანდის Coca-Cola-ს შემოსვლაა. ამ კომპანიამ საქართველოში შემოიტანა ინვესტიციები, დაასაქმა ასეულობით ადამიანი. კომპანია საქართველოს ბიუჯეტში ერთ-ერთ მსხვილ გადამხდელად ითვლება. Coca-Cola-ს გარდა, ფრენშაიზინგის სისტემით საქართველოში მუშაობენ ისეთი საერთაშორისო ტრანსნაციონალური კომპანიები, როგორიცაა: McDONALD's, მაღაზიების ქსელი Babylon, Batta და ა.შ.

საქართველოში საწარმოო ფრენშაიზინგის ადგილობრივი მაგალითია ლუდის მწარმოებელი ფირმა "ყაზბეგი". რომელმაც ამ სისტემის წყალობით მცირე დროში მთელ საქართველოში "ყაზბეგის" სასაქონლო ნიშნით ათეულობით ბარ-რესტორანი გახსნა, რომლებიც მხოლოდ "ყაზბეგის" დამზადებულ ლუდს ყიდიან. "ყაზბეგს" სამრეწველო ფრენშაიზინგის სფეროშიც მნიშვნელოვანი ნაბიჯები აქვს გადადგმული. მისი ლიცენზიითა და სასაქონლო ნიშნით, ლუდის მწარმოებელი ქარხნები ამოქმედდა. მთლიანად, ყაზბეგის სისტემაში დასაქმებულია ასეულობით ადამიანი. რაც, ერთი სა-

წარმოს მაგალითზე დღევანდელ საქართველოში დასაქმების ფონზე დიდი შედეგია. ფრენშაიზინგთან დაკავშირებულ სამართლებრივ ურთიერთობებს არეგულირებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსი (607-614 მუხლები)

საბიუჯეტო კრიზისის პირობებში განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს კერძო ინვესტირების პროცესს, რომელიც ნათლად ასახავს საზოგადოებაში სოციალურ-ეკონომიკური პრიორიტეტების ცვლილებას (იხ. ცხრილი 2.3.2). კრიზისის პერიოდში სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს მოსახლეობის ფულადი დანაზოგების მობილიზება და მათი ინვესტიციებში ტრანსფორმირება.

ცხრილი 2.3.2

მოსახლეობის საკუთარი სახსრები ინვესტიციების საერთო მოცულობაში მლნ ლარი (ფაქტობრივად მოქმედ ფასებში)

წლები	ინვესტიციები სულ	მ.შ მოსახლეობის საკუთარი სახსრებით	
		ოდენობა	%
1995	127	19	15
1996	170	24	15.9
1997	266	19	7.1
1998	512	16	3.1
1999	364	76	20.8
2000	349	89	25.5

შედგენილია საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემებზე დაყრდნობით

საქართველოში ბოლო წლებში ბანკებში მოსახლეობის ფულადი შენატანების მოცულობა მკვეთრად შემცირდა. რაც გამოწვეულია როგორც თვით მოსახლეობის ფულადი შემოსავლების შემცირებით, ისე ეროვნული ვალუტისა და საქართველოს ბანკებისადმი უნდობლობით.

უახლოეს მომავალში, მოსახლეობის ფულადი დანაზოგების მობილიზების თვალსაზრისით კარდინალურ ცვლილებებს არ უნდა ველოდოთ. ამ მიმართულებით პოზიტიური ძვრები შეიძლება განვიხილოთ მხოლოდ გრძელვადიან პერსპექტივაში. თუმცა, აღსანიშნა-

ვია, რომ ბანკების მიმართ მოსახლეობის ნდობა ნელ-ნელა იზრდება. ამან უნდა გამოიწვიოს მოსახლეობის ხელთ არსებული თავისუფალი ფულადი სახსრების საბანკო არხებში მოქცევა.

საინვესტიციო რესურსების ფორმირება და მათი ტრანსფორმირება ინვესტირების ობიექტებში მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ქვეყანაში ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარების დონეზე. ფასიანი ქაღალდების ბაზრის ფუნქციონირება ხელს უწყობს ქვეყნის ეკონომიკურ ზრდას. იგი ფინანსური ბაზრის შემადგენელი ნაწილია და წარმოადგენს მექანიზმს, რომელიც საშუალებას იძლევა ფულადი სახსრების მომწოდებლებსა და მომხმარებლებს შორის დაიდოს ხელშეკრულება.

საბაზრო ეკონომიკის ფუნქციონირება წარმოუდგენელია ფასიანი ქაღალდების ბრუნვის განმახორციელებელი ინსტრუმენტის – საფონდო ბირჟის გარეშე. ეს უკანასკნელი ფასიანი ქაღალდების ბაზრის ინფრასტრუქტურის მთავარი რგოლია. საფონდო ბირჟა, როგორც ფასიანი ქაღალდების ორგანიზებული მეორეული ბაზარი, ფუნქციონირებს დადგენილი წესის მიხედვით და კოტირების მექანიზმის მეშვეობით განსაზღვრავს ბირჟაზე მიმოქცევადი ფასიანი ქაღალდების ძირითადი სახეების – აქციებისა და ობლიგაციების საბაზრო კურსს, ფასს. ბირჟა აერთიანებს ფასიანი ქაღალდების ბაზრის მთავარ ფიგურას – ინვესტორსა და დანაზოგთ მფლობელებს. იგი ახდენს იურიდიულ და ფიზიკური პირების ფინანსური აქტივების აკუმულირებას, ორგანიზებას უწევს მათ ეფექტიან ინვესტირებას, დარგთაშორის და რეგიონთაშორის ინტენსიურ განაწილებას, რომლის გარეშე საბაზრო მეურნეობის ფუნქციონირება შეუძლებელია. ბირჟაზე საწარმოს აქციების ყიდვა-გაყიდვას ახორციელებენ ლიცენზირებული ბროკერები, რომლებიც რჩევას აძლევენ კლიენტებს, როდის და რომელი საწარმოს აქცია იყიდოს და გაყიდოს. ამჟამად, საქართველოში 37 საბროკერო კომპანია მოქმედებს.

გასული საუკუნის 90-იან წლებში საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, საქართველოს პარლამენტის მიერ 1998 წელს მიღებულმა კანონმა ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ, დააფუძნა ახალი დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანო – ფასიანი ქაღალდების ბაზრის კომისია, რომელსაც ძალაუფ-

ლება აქვს შემოიღოს წესები და ძალაში შეიყვანოს შესაბამისი დებულებები.

სახელმწიფო ქონების პრივატიზება ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარებასთან საკმაოდ მჭიდრო კავშირშია. საქართველოში პრივატიზების პროცესი 1991 წელს დაიწყო. ამ პერიოდში შემოღებულ იქნა "ვაუჩერები". რაც მოსახლეობაზე სახელმწიფო ქონების სამართლიანად გადანაწილების საუკეთესო ფორმად იყო მიჩნეული. თუმცა, როგორც მოგვიანებით გაირკვა, სახელმწიფო საკუთრებაში მყოფი ეროვნული მეურნეობის ძირითადი ფონდების 114 ობიექტი ფარულად იყო პრივატიზებული.[43]

ამგვარად, საქართველოში ინვესტიციების შიდა წყაროების ფორმირების თვალსაზრისით, მეტად არასახარბიელო სიტუაციაა შექმნილი. ასეთ პირობებში, ქვეყნის (რეგიონის) ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპის მიღწევა და ქვეყნის შემდგომი განვითარება, ფაქტობრივად, ურთულესი ამოცანაა. შიდა დანაზოგების დეფიციტის პირობებში განსაკუთრებულ აქტუალობას იძენს უცხოური (გარე) დანაზოგების ეფექტიანი გამოყენების საკითხი. რომელიც, ჩვენი აზრით, განსაკუთრებულ გაანალიზებას საჭიროებს. ამ კონტექსტში საქართველოს ხელისუფლებისა და სამოქალაქო საზოგადოების ძალისხმევის მთავარ მიმართულებას უნდა წარმოადგენდეს: უცხოური კაპიტალის მოზიდვა, საერთაშორისო ორგანიზაციებთან წარმატებული თანამშრომლობა და რეგიონულ გაერთიანებებში აქტიური მონაწილეობა. სამწუხაროდ, როგორც ეს დღეს ჩანს, ჩვენმა ქვეყანამ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის მაღალი მაჩვენებლების შენარჩუნება ვერ შესძლო, ეკონომიკის სწრაფი ტრანსფორმაციისა და განვითარების სწრაფი შესაძლებლობა (როგორც ეს შესძლეს აღმოსავლეთ ევროპისა და ბალტიისპირეთის სახელმწიფოებმა) ხელიდან გავუშვით. ცხადია, ამ მდგომარეობას ობიექტური მიზეზები გააჩნია. ქართველი მეცნიერები ხშირად მიუთითებენ საქართველოს მომგებიან გეოპოლიტიკურ მდგომარეობაზე, მაგრამ, ფაქტობრივად, ჩვენს ქვეყანას მხოლოდ კავკასიის საზღვრებში გააჩნია ეს უპირატესობა, ხოლო რაც შეეხება ქვეყნის კონკრეტულ შესაძლებლობებს, მისი გეოპოლიტიკური მდებარეობი-

---

[43] ჟ. „მაკრო მიკრო ეკონომიკა" №3 (40)'2001, გვ.20

დან გამომდინარე, აქ, უპირველეს ყოვლისა, იგულისხმება ეკონომიკურად განვითარებულ რეგიონებთან და ცენტრებთან სიახლოვე, რომლებსაც ჩვენ საკმაოდ მოშორებული ვართ. არანაკლებ მნიშვნელოვანია ისიც, რომ საქართველო მცირე ეკონომიკის მქონე ქვეყანაა, მისი ფაქტორული პოტენციალი შეზღუდულია და კონკურენტუნარიანობის ჩამოყალიბების სტადიაშია. მსოფლიო ეკონომიკის მასშტაბით საქართველოს ეკონომიკა მიკროსკოპულია. მისი ხვედრითი წონა მსოფლიო მშპ-ში უკანასკნელ წლებში 0.015%-ს შეადგენდა. და უახლოეს პერიოდში ლარის რეალური კურსის ზრდის გათვალისწინებითაც კი, ალბათ, არ გადააჭარბებს 0.016%-ს. საქართველოს წილი მსოფლიო ექსპორტში 0.009%-ს არ აღემატება, მსოფლიო იმპორტში 0.018%-ია, ხოლო პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებში 0.012%-ს შეადგენს.[44]

რიგი ქართველი მეცნიერ ეკონომისტი მიუთითებს უცხოელი ინვესტორების მოსაზიდად აუცილებელ საგადასახადო შეღავათების დადებით ეფექტებზე. ქვეყნის ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ამაღლების თვალსაზრისით, ასეთმა ღონისძიებებმა შესაძლებელია არც გვიშველოს, რადგან ზემოთ აღნიშნული ობიექტური მიზეზების გამო ჩვენს ეკონომიკაში, განსაკუთრებით კი, გადამამუშავებელ მრეწველობაში ფართო მასშტაბური საინვესტიციო პროექტების განხორციელების შესაძლებლობები ძალზედ შეზღუდულია. ხოლო, რაც შეეხება მცირე და საშუალო ბიზნესის სფეროს, აქ უცხოელი ინვესტორებისათვის საგრძნობი საგადასახადო შეღავათების მიცემამ შესაძლებელია ეროვნულ ინვესტორთა ინტერესები მნიშვნელოვნად დააზარალოს. მითუმეტეს, რომ 1996-2001 წწ-ში შიდა ინვესტიციების ფარდობითი ოდენობა შედარებით უფრო სტაბილურად იზრდებოდა, ვიდრე უცხოურისა. საქართველოს ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ჩამოყალიბებისათვის ეროვნულ ინვესტორთა ინტერესების დაცვას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, რადგან სხვა ბევრი პრობლემის გადაჭრასთან ერთად, ჩვენმა ხელისუფლებამ ეროვნული კაპიტალის საზღვარგარეთ გადინების სა-

---

[44] На пороге XXI века, Всемирный банк, изд-во «Весь Мир». М., 2002, ст. 215, 242, 254

წინააღმდეგოდ მიმართული პროცესების სტიმულირება უნდა მოახერხოს.

რეგიონებში საინოვაციო პოტენციალის შენარჩუნებისა და ზრდისათვის არანაკლები მნიშვნელობა აქვს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების განთავსების ფორმებსა და მიმართულებებს. უცხოურ ინვესტიციათა შედეგიანობა, ეკონომიკის კონკურენტულობის გაძლირების თავალსაზრისით პირდაპირ უკავშირდება მათი განთავსების სფეროებს. საგულისხმოა, რომ 1999-2002 წწ. 10 უმსხვილეს ქართულ საწარმოს შორის გამოირჩევა სამი: შ.პ.ს "თბილავიამშენი", "ექსი" და შ.პ.ს "კვარციტი". ამ საწარმოთაგან "თბილავიამშენი", რომელმაც 2001-2002 წლებში წარმატებით გააფართოვა თავისი საექსპორტო პოტენციალი, ექსპორტზე ყიდის მაღალტექნოლოგიურ პროდუქციასა და მომსახურებას. ჩვენს ქვეყანაში, მართალია, ნელი ტემპით, მაგრამ მაინც ჩნდება გლობარული დარგის პროდუქციის კონკრეტულობის ზრდის ტენდენცია, რაც მომავალში მაღვალკვალიფიციური ახლგაზრდა სპეციალისტების დასაქმების საშუალებას მოგვცემს. საქართველოსთვის მეტად მნიშვნელოვანია შეფარდებითი უპირატესობების (მინერალური წყლებისა და ღვინის წარმოების) საფუძველზე კონკრეტულობის რეალიზაციის შესაძლებლობების ამაღლება.

ინოვაციათა ხარჯზე კონკურენტუნარიანობის განმტკიცების სტადიაზე ეროვნული ეკონომიკური სუბიექტები არა მარტო იყენებენ და აუმჯობესებენ საზღვარგარეთულ ტექნიკას, არამედ საკუთარი ძალებით ქმნიან ახალსაც. რა საკვირველია, ქართულ კომპანიებსა და ფირმებს, რომლებიც რთულ ფინანსურ მდგომარეობაში იმყოფებიან, ჯერ არ ძალუძთ კონკრეტუნარიანობის ახალ, საკმაოდ კაპიტალტევად სტადიებზე გადასვლა. ჩვენი აზრით, საქართველოს ეკონომიკის კონკურენტუნარიანობა შეფარდებითი ეროვნული უპირატესობებისა და ფასობრივი კონკურენციის მექანიზმის გამოყენებას ეფუძნება. ამასთან, საქართველოს რეგიონების ინოვაციური პოტენციალის ანალიზი ააშკარავებს იმას, რომ დღევანდელ კრიზისულ მდგომარეობაშიც კი, ქვეყანას გააჩნია მთელი რიგი სხვა კონკრეტული უპირატესობები, რომელთა სტრატეგიული ღირებულება სხვადასხვაგვარია. თუმცა, სახელმწიფო პოლიტიკის ძალის-

ხმევით არსებობს რეალური შეაძლებლობა მათი ეკონომიკურ ბრუნვაში ჩართვის თვალსაზრისით.

თავი 3. საინოვაციო საქმიანობის მართვის ოპტიმიზაციის ეკონომიკური და ორგანიზაციული ასპექტები

3.1 ინოვაციების სოციალურ-ეკონომიკური ეფექტიანობის შეფასება და ამაღლების სისტემა

მრავალწყობიანი ეკონომიკური სისტემის ფორმირების პროცესში როგორც მაკრო, ასევე რეგიონულ დონეზე არსებულ პრობლემათა შორის საყურადღებოა მეცნიერულ-ტექნიკურ ინოვაციათა სოციალურ-ეკონომიკური ეფექტიანობის განსაზღვრის კრიტერიუმთა ჩამოყალიბება. მიუხედავად იმისა, რომ, როგორც სამამულო, ისე უცხოურ ეკონომიკურ ლიტერატურაში აღნიშნული საკითხი მრავალჯერადაა განხილული, მეცნიერულ-ტექნიკურ ინოვაციათა სოციალურ-ეკონომიკური ეფექტის განსაზღვრის ერთიანი სისტემა რეგიონულ დონეზე ჯერაც არ არის ჩამოყალიბებული და ამ პრობლემის გადაჭრას სხვადასხვა კრიტერიუმის საშუალებებით ცდილობენ.

ყველაზე ფართო გაგებით ეფექტიანობა არის წარმოების განვითარების დონის მახასიათებელი და იგი განისაზღვრება დანახარჯების (რესურსების) და მიღებული შედეგების შეწონასწორებით. რა თქმა უნდა, ამ შემთხვევაში მიზანს მინიმალური დანახარჯებით მაქსიმალური შედეგების მიღება წარმოადგენს. პრაქტიკაში ეფექტიანობის დახასიათებისათვის ყველაზე ხშირად ისეთ კრიტერიუმებს იყენებენ, როგორიცაა: მიზნის მიღწევისათვის საჭირო დროის მინიმუმი; არსებული რესურსების დანახარჯთა მინიმუმი უცვლელი მიზნის პირობებში; პროდუქციის (სამუშაოს) მაქსიმუმის მიღება წარმოების წონასწორობის, არსებული ასორტიმენტისა და ხარისხის დაცვის პირობებში და ა.შ.

სოციალურ-ეკონომიკური და მეცნიერულ-ტექნიკურ პროცესში მიმდინარე კარდინალურმა ცვლილებებმა ბრუნვაში შემოიტანა ისეთი ტერმინი, როგორიცაა "ახალი ტექნიკა", რომლის განსაზღვრის სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციის მიუხედავად ერთიანი აზრის გამოყოფა მაინცაა შესაძლებელი. ტერმინის "ტექნიკა" ქვეშ იგულისხმება იმ შრომის საშუალებების ერთობლიობა, რომლითაც ადამიანი ზემოქმედებს ბუნებაზე, მისთვის სოციალურ-ეკონომიკური

სარგებლიანობის ფუნქციის მინიჭების მიზნით. ამდენად, ტერმინი "ახალი ტექნიკა" უნდა გულისხმობდეს იმ ახალ შრომის საშუალებებს, რომლითაც ხდება საზოგადოების წინაშე მდგომი სოციალურ-ეკონომიკური ამოცანების რეალიზაცია.[45] როცა ლაპარაკია ახალი ტექნიკის დანერგვისა და ექსპლუატაციის სოციალურ-ეკონომიკურ ეფექტიანობაზე, ცხადია, რომ სოციალური და ეკონომიკური ეფექტიანობის განხილვა უნდა მოხდეს ერთმანეთთან მჭიდრო ორგანულ კავშირში. ყველაზე ფართო გაგებით კი ახალი ტექნიკის დანერგვისა და ექსპლუატაციის სოციალურ-ეკონომიკური ეფექტიანობის ქვეშ იგულისხმება ახალი ტექნიკის გამოყენებით მატერიალური და სულიერი დოვლათის მაქსიმალური წარმოების შესაძლებლობა, მინიმალური დანახარჯების პირობებში.[46]

რეგიონში ახალი ტექნიკის დანერგვისა და ექსპლუატაციის სოციალურ-ეკონომიკური ეფექტის განსაზღვრისას უმნიშვნელოვანესს მისი მახასიათებელი კრიტერიუმების ჩამოყალიბება წარმოადგენს. პროცესის მიმდინარეობა კი შემდეგნაირად შეიძლება წარმოვადგინოთ. განისაზღვრება ახალი ტექნიკის ისეთი მახასიათებლები, როგორიცაა:

- საწარმოო-საექსპლუატაციო პრიორიტეტი დარგისა და რეგიონისთვის;
- სოციალური პრიორიტეტი რეგიონისთვის;
- ეკონომიკური პრიორიტეტი რეგიონისთვის და მთლიანად ქვეყნის მასშტაბით;
- საგარეო-ეკონომიკური პრიორიტეტი რეგიონისთვის და ა.შ.

პარალელურად კი ახალი ტექნიკის სოციალურ-ეკონომიკური ეფექტი დგინდება, რომლის პროცესშიც განსაზღვრავენ საერთო სამეურნეო ეკონომიკურობის (პრიორიტეტულობის) მაჩვენებელს.

---

[45] კაკულია ე. ახალი ტექნიკის დანერგვისა და ექსპლუატაციის სოციალურ-ეკონომიკური ეფექტიანობის განსაზღვრა, ჟ.ეკონომიკა, 2002 წ №8-9, გვ. 19;

[46] შენგელია თ. ინოვაციური პროცესები. პოლიტიკა, რეგულირება, ეფექტიანობა, თბილისი 1997 წ. გვ.67-68;
მალაშხია გ. თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი, თბ. 1974; ჩიკვაიძე თ. მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების ეკონიმიკური პრობლემები, თბილისი 1988 წ.

შემდგომ ეტაპს კი – ეკონომიკური ნიშან-თვისებების შესაბამისად, პოტენციურად შესაძლებლიდან ახალი ტექნიკის ისეთი ვარიანტების შერჩევა ხდება, რომლებიც პასუხობენ რეგიონის ეკონომიკურ, სოციალურ, ეკოლოგიურ და სხვა მისაღებ სტანდარტებს. თითოეული ვარიანტის მიხედვით განისაზღვრება რესურსთა ხარჯები, სასარგებლო შედეგი და საერთო- სამეურნეო ეფექტი.

მრავალი ვარიანტიდან არჩევანი კეთდება წყვილების ერთმანეთთან შედარებით და საუკეთესოს შეთანასწორება ხდება საბაზო ვარიანტთან, რომლის შედეგადაც ერთ-ერთს უპირატესობა ენიჭება. ზემოაღნიშნულის წარმოდგენა შესაძლებელია შემდეგი ფორმულით:

$$\pm T_{ჯრ} = Э_2 - Э_1, \text{ სადაც}$$

$T_{ჯრ}$ – ერთეული ტექნიკის დანერგვისა და ექსპლუატაციის საერთო რეგიონული პრიორიტეტის მაჩვენებელია;

$Э_1$ – შესაცვლელი ტექნიკის ექსპლუატაციის შედეგად (მისი შეცვლის ხარჯების ჩათვლით) მიღწეული სოციალურ-ეკონომიკური ეფექტი;

$Э_2$ – რეგიონში ახალი ტექნიკის დანერგვისა და ექსპლუატაციის მოსალოდნელი სოციალურ-ეკონომიკური ეფექტი.

რეგიონში ახალი ტექნიკის დანერგვისა და ექსპლუატაციის საერთო პრიორიტეტის მაჩვენებელს შეიძლება ჰქონდეს რამდენიმე მნიშვნელობა. იმ შემთხვევაში, როცა იგი მეტია ნულზე ($T_{ჯრ} > 0$), ადგილი აქვს სიტუაციას, როცა ტექნიკის ახალი ვარიანტის სოციალურ-ეკონომიკური მაჩვენებელი უმჯობესია საბაზოზე და მიზანშეწონილია მისი დანერგვა და ექსპლუატაცია. იმ შემთხვევაში, როცა ტექნიკის დანერგვისა და ექსპლუატაციის საერთო პრიორიტეტის მაჩვენებელი ტოლია ნულის ($T_{ჯრ} = 0$), წარმოდგენილი ტექნიკა არ წარმოადგენს უკეთესს და მისი დანერგვა არ არის მიზანშეწონილი. ზემოთ მოყვანილ ფორმულაში სოციალურ-ეკონომიკური ეფექტი განისაზღვრება შემდეგნაირად:

$$Э = p - c, \text{ სადაც}$$

Э – რეგიონში ახალი ტექნიკის დანერგვიდან და ექსპლუატაციიდან სოციალურ-ეკონომიკური ეფექტის მაჩვენებელია;

p – საანგარიშო პერიოდში ერთეული ტექნიკის დანერგვისა და ექსპლუატაციის შედეგთა ღირებულებითი შეფასება;

c – საანგარიშო პერიოდში ერთეული ტექნიკის დანერგვისა და ექსპლუატაციის ხარჯების ღირებულებითი შეფასება.

საბოლოოდ ჩვენს მიერ წარმოდგენილ ფორმულას შეიძლება მივცეთ შემდეგი სახე:

$$\pm T_{ეკ} = (P_2 - C_2) - (P_1 - C_1) = (P_2 - P_1) - (C_1 - C_2) = \pm Э,$$

სადაც, P_1 და P_2 საანგარიშო პერიოდში შესაბამისად შესაცვლელი და ახალი ტექნიკის დანერგვისა და ექსპლუატაციის შედეგთა ღირებულებითი შეფასებაა;

C_1 და C_2 კი – საანგარიშო პერიოდში შესაბამისად შესაცვლელი ტექნიკის ექსპლუატაციის ხარჯების ღირებულებითი შეფასება.

ამგვარად, წარმოდგენილი მეთოდიკის საფუძველზე შესაძლებელი ხდება რეგიონში შესაცვლელი და ახალი ტექნიკის სოციალურ-ეკონომიკური ეფექტიანობის ერთმანეთთან შედარება და ამის საფუძველზე გადაწყვეტილების მიღება. ასევე, ახალი ტექნიკის სხვადასხვა ვარიანტთა შედარება საბაზოსთან და მათგან საუკეთესოს არჩევა.

აღსანიშნავია, რომ რეგიონში ახალი ტექნიკის შემუშავების, დანერგვისა და ფუნქციონირების, ახალი ტექნიკის ექსპლუატაციის სოციალური და ეკოლოგიური პრიორიტეტების განსაზღვრა მეტად აქტუალურ პრობლემას წარმოადგენს საქართველოს სინამდვილეში. წარმოდგენილი ამოცანებიდან განსაკუთრებული მნიშვნელობა სოციალური პრიორიტეტის განსაზღვრას ენიჭება, რამეთუ მასში გარკვეული დოზით აისახება შრომის ნაყოფიერების ზრდა, შრომის არახელსაყრელი პირობების მქონე სამუშაო ადგილებიდან სამუშაო ძალის გამონთავისუფლება, სოციალური დაზღვევის ფონდიდან დროებით შრომისუუნაროთათვის გასაწევ ხარჯთა ეკონომია და ა.შ. ამასთანავე აღნიშნული შედეგების განყენებულად, რომელიმე ერთი ღონისძიებისადმი მიკუთვნება ძნელდება. მაგალითად, ახალი ტექნიკის დანერგვის შედეგად შრომის ნაყოფიერების ზრდა უპირატესად ტექნოლოგიურ შესაძლებლობათა ცვლილებითაა განპირობებული და იგი საწარმოო-საექსპლუტაციო პრიორიტეტის განსაზღვრისას გაითვალისწინება.

სოციალური პრიორიტეტი თავის ასახვას ახალი ტექნიკის ექსპლუატაციის შედეგად სოციალური დაზღვევის ხარჯების შემცირებასა და მუშაკთა საწარმოო კვალიფიკაციის ამაღლებაში პო-

ულობს. ყველა მაჩვენებელი ახალი ტექნიკის დანერგვისას საშუალებას იძლევა ძირითადი ეკონომიკური შედეგების გვერდით განსაზღვრულ იქნეს სოციალური პირობების მოსალოდნელი ცვლილებები, ის სოციალური ეფექტი, რომელიც წარმოდგენილი ახალი ტექნიკის დანერგვას შეიძლება მოყვეს. ცხადია, გამოთვლათა აქტუალობა მაღლდება იმ შემთხვევაში, როცა მეწარმეს არჩევნის გაკეთება სურს დასანერგი ახალი ტექნიკის რამდენიმე სახეს შორის.

საგულისხმოა, რომ საბაზრო ეკონომიკის პირობებში პრინციპულად შეუძლებელია მაკროეკონომიკურ დონეზე არსებობდეს ინოვაციებში ინვესტიციების ეფექტიანობის განსაზღვრის რაიმე ერთიანი, დირექტიული ხასიათის მქონე მეთოდოლოგია. ვინაიდან, საინვესტიციო საქმიანობა კავშირშია საინვესტიციო გადაწყვეტილების მიღებასთან. საინვესტიციო გადაწყვეტილება კი ადამიანის ქმედებაა და არა ობიექტური მექანიკური პროცესი. ფირმების ერთი ნაწილი საინვესტიციო გადაწყვეტილების მიღებისას იყენებს იმ მაჩვენებლებსა და მეთოდებს, რომლებიც კველაზე მეტად შეესაბამება მათ მოთხოვნებს. ზოგიერთი კორპორაცია, ფირმა თუ ცალკეული მეწარმე კი ინვესტიციური პროცესის ანალიზისას იყენებს ერთობ მარტივ მიდგომებს და ნაკლებ ყურადღებას უთმობს ამ სფეროში ახალი იდეების ძიებასა და საინვესტიციო პროცესის შემდგომ კონტროლს.

საინვესტიციო გადაწყვეტილებები შეიძლება იყოს ტაქტიკური ან სტრატეგიული. ტაქტიკური საინვესტიციო გადაწყვეტილებები, როგორც წესი, არ არის დაკავშირებული ფირმის საქმიანობის კარდინალურ ცვლილებებთან და, შესაბამისად, მათი განხორციელება საჭიროებს შედარებით მცირე სახსრებს. მაგალითად, თუ ს/ს "ყაზბეგი" განიხილავს ლუდის ახალი საწარმოო ხაზის შეძენის ან იჯარით აღების საკითხს, ეს ჩაითვლება ტაქტიკურ გადაწყვეტილებად.

სტრატეგიული გადაწყვეტილებები საჭიროებენ დიდ თანხებს და შეიძლება გამოიწვიონ ფირმის ჩვეული საქმიანობის არსებითი ცვლილება. მაგალითად, 90-ანი წლების დასაწყისში ინდოეთის ერთ-ერთმა მსხვილმა მაღალტექნოლოგიურმა კომპანიამ მიიღო გადაწყვეტილება კოსმოსური ხომალდის მშენებლობის შესახებ, რო-

მელსაც დედამიწის ორბიტაზე კოსმოსური თანამგზავრის გაყვანა უნდა უზრუნველეყო. პროექტის ღირებულებამ 10 მლრდ. აშშ დოლარს გადააჭარბა. წარმატების შემთხვევაში ინდოეთი ინფორმაციული კომუნიკაციის სფეროში სერიოზულ კონკურენციას გაუწევდა აშშ-ს, იაპონიას, რუსეთსა და ჩინეთს. ინდოელთა სამწუხაროდ, 2001 წლის 29 მარტს კოსმოსური ხომალდის სტარტი სერიოზული ავარიით დასრულდა. ბუნებრივია, რომ სტრატეგიული საინვესტიციო გადაწყვეტილებები დაკავშირებულია მაღალ რისკთან. მითუმეტეს, რომ მოსალოდნელი შემოსავლების მიღება მხოლოდ ხანგრძლივი დროის შემდეგაა მოსალოდნელი. ხშირად კომპანიის ხელმძღვანელობა არსებული ალტერნატიული ვარიანტების საგულდაგულო ანალიზის გარეშე, მხარს უჭერს წარმოდგენილ საინვესტიციო პროექტს. არის შემთხვევები, როცა ყველა ალტერნატიული პროგრამის განხილვის შემდეგ მიღებული ინფორმაცია არ განაპირობებს ეფექტიანი გადაწყვეტილებების მიღებას. ვინაიდან, შესაძლოა მენეჯერებმა ვერ შესძლონ ინფორმაციის ისეთი გადამუშავება, რაც შემდგომში ხელს შეუწყობდა სწორი გადაწყვეტილების მიღებას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ინვესტიციური პროგრამების შედგენის ოპტიმალური მეთოდების განსაზღვრის ამოცანა. თანამედროვე გაგებით საინვესტიციო პროგრამა (პროექტი) ურთიერთშეკავშირებულ ღონისძიებათა კომპლექსია, რომელიც მიმართულია დასახული საინვესტიციო მიზნების მისაღწევად შეზღუდული ფინანსური, დროისა თუ სხვა რესურსების პირობებში. ეკონომიკურ მეცნიერებასა და პრაქტიკაში საინვესტიციო პროექტის ცნება ორი გაგებით გამოიყენება: 1. როგორც საქმე, საქმიანობა, ღონისძიება, რომელიც გულისხმობს განსაზღვრული მიზნის მიღწევის უზრუნველმყოფელ რაიმე მოქმედებათა განხორციელებას. 2. როგორც ორგანიზაციულ-სამართლებრივი და საანგარიშწორებო-საფინანსო დოკუმენტების ერთობლიობა, რომელიც აუცილებელია რაიმე მოქმედების განსახორციელებლად.

განსაზღვრული სქემის მიხედვით ინვესტიციური პროგრამების შედგენისას ჩატარებული კვლევების შედეგებს აქვთ ბიზნეს-გეგმის სახე. ამასთან, აღსანიშნავია, რომ ბიზნეს-გეგმის სტრუტუ-

რა არ არის მკაცრად რეგლამენტირებული და მის სტრუქტურაში არსებული განსხვავებანი პრინციპული ხასიათის არაა.

საინვესტიციო პროექტის ეფექტიანობა ხასიათდება მაჩვენებელთა სისტემით, რომლებიც ასახავენ დანახარჯებისა და შედეგების თანაფარდობას პროექტში მონაწილე მხარეთა ინტერესების მიხედვით. პრაქტიკაში განასხვავებენ ინვესტიციური პროექტის ეფექტიანობის შემდეგ მაჩვენებლებს:

- კომერციული (ფინანსური) ეფექტიანობის მაჩვენებლები, რომლებიც ითვალისწინებენ პროექტის განხორციელების ფინანსურ შედეგებს პროექტში მონაწილეთათვის;
- ბიუჯეტური ეფექტიანობის მაჩვენებლები ასახავენ ცენტრალური, რეგიონული და ადგილობრივი ბიუჯეტებისათვის პროექტის განხორციელების შედეგებს;
- სოციალურ-ეკონომიკური ეფექტიანობის მაჩვენებლები, რომლებიც ითვალისწინებენ პროექტის განხორციელებასთან და პროექტში მონაწილე მხარეთა არაპირდაპირ ფინანსურ ინტერესებთან დაკავშირებულ დანახარჯებისა და შედეგების ღირებულებით შეფასებას. ფართომასშტაბიანი პროექტებისათვის რეკომენდებულია აუცილებლად შეფასდეს პროექტის ეკონომიკური ეფექტიანობა.

პროექტის სხვადასხვა ვარიანტის შედარება და საუკეთესოს ამორჩევა მიზანშეწონილია მოხდეს სხვადასხვა მაჩვენებლის გამოყენებით. ამ მაჩვენებლებს მიეკუთვნება:

- წმინდა დისკონტებული შემოსავალი (სხვა სახელწოდებები: წმინდა დაყვანილი ღირებულება, წმინდა დაყვანილი შემოსავალი, ინტეგრალური ეფექტი, *(Net Present Value (NPV));*
- შემოსავლიანობის ინდექსი (მომგებიანობის (რენტაბელობის) ინდექსი (კოეფიციენტი), *Pro-itability Index (PI));*
- შემოსავლიანობის შიდა ნორმა (სხვა დასახელება: მოგების (რენტაბელობის) შიდა ნორმა, *(Internal Rate o – Return (IRR));*
- ანაზღაურების ვადა

შედეგების შეფარდება დანახარჯებთან განსაზღვრავს წარმოების ფაქტორთა ეფექტიან გამოყენებას. აშშ-ში, გასულ საუკუნეში,

სწორედ ეფექტიანობის ზრდა იყო ეკონომიკური ზრდის უმნიშვნელოვანესი ფაქტორი (ყოველ შემთხვევაში 70-იან წლებამდე). 70-იან წლების ბოლოს შეინიშნებოდა ეფექტიანობის ზრდის ტემპების არსებითი შენელება. ამ ტენდენციის ექსპერტულ-თეორიული შეფასებები ერთობ მრავალფეროვანი იყო. მათ შორის იყო აზრი, რომ ეფექტიანობის ზრდის ტემპების ვარდნა განაპირობა წმინდა დისკონტებული ღირებულების მეთოდის პრაქტიკაში ფართოდ გამოყენებამ. თუმცა, როგორც კორნელის უნივერსიტეტის (აშშ) პროფესორები ჰ. ბირმანი და ს. შმიდტი აღნიშნავენ, საინვესტიციო გადაწყვეტილებების მისაღებად ფულადი ნაკადების დისკონტირების მეთოდი საუკეთესოა არსებულ ინსტრუმენტებს შორის. ამასთან, დასძენენ, რომ ნებისმიერი ინსტრუმენტი შეიძლება არასწორედ იქნეს გამოყენებული. მაშასადამე, არა თვით დისკონტირების მეთოდით სარგებლობა, არამედ მისი არასწორი გამოყენება განაპირობებს არასასურველ შედეგებს[47]

საქართველოში, საინვესტიციო პროექტების შეფასებისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს პროექტის სოციალურ-ეკონომიკურ შედეგებს, რაც გულისხმობს საინვესტიციო პროექტის განხორციელების შესაძლო ზემოქმედებას ამა თუ იმ რეგიონის ეკოლოგიურ, ტექნოლოგიურ, დასაქმების და სხვა მდგომარეობაზე.

როგორც ცენტრალური, ასევე ადგილობრივი ხელისუფლების განსაკუთრებული მხარდაჭერით უნდა ისარგებლონ ისეთმა საინვესტიციო პროექტებმა, რომელთაც შეუძლიათ რეგიონში შექმნან დამატებითი სამუშაო ადგილები, მნიშვნელოვნად გააუმჯობესონ დასაქმებულთა სოციალური პირობები და რაც ერთობ მნიშვნელოვანია დადებითად იმოქმედონ რეგიონის ეკოლოგიურ მდგომარეობაზე.

შესაბამისი პრეფერენციებით შესაძლებელია ამგვარ პროექტებს მიენიჭოთ გარკვეული უპირატესობა, რაც ხელისუფლების მხრიდან პირდაპირი თუ ირიბი შეღავათების დაწესებით უნდა გამოიხატოს. ყოველივე ეს უქმნიველყოფს რეგიონში ისეთი საინვესტიციო

---

[47] Бирман Г., Шмидт С. Экономический анализ инвестиционных проектов, перю с ангд., М.: банки и биржи, биржи, ФНИТИ, 1997, с. 15-16.

პროექტების განხორციელებას, რომელთაც მნიშვნელოვანი სოციალურ-ეკონომიკური ეფექტის მოხდენა შეუძლიათ რეგიონზე.

ინოვაციური პროცესების დაგეგმვის რეგიონული ფაქტორები

საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალი პერიოდის პოლიტიკურმა და ეკონომიკურმა პრობლემებმა არსებითი გავლენა იქონია სოციალური სფეროს განვითარებაზე. სერიოზულად დაზარალდა განათლებისა და მეცნიერების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. გასული საუკუნის 90-იან წლებში ქვეყნის პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცხოვრებაში მომხდარმა რადიკალურმა ძვრებმა გამოიწვია გარკვეული თვისობრივი ცვლილებები საქართველოს მეცნიერებაში. კრიტიკული დაძაბულობის ვითარებაში განსაკუთრებით გამოვლინდა ათწლეულების განმავლობაში დარგში დაგროვილი ორგანიზაციული სისუსტეები, მართვის სისტემაში სტრატეგიულ გადაწყვეტილებათა ფორმირების ჩვევათა უქონლობა. ქვეყნის ტერიტორიაზე განლაგებული ყოფილი საკავშირო დაქვემდებარების ათეულობით კვლევითი ინსტიტუტი, მათი ფილიალები, მრავალი დარგობრივი და პრობლემური ლაბორატორია, რომლებიც ასრულებენ მოსკოვის მიერ ინიცირებულ თემატიკას და შესაბამისად საბჭოთა კავშირის ცენტრალური ბიუჯეტიდან ფინანსდებოდნენ, ახალ პოლიტიკურ ვითარებაში სრულად გამოვიდნენ საქართველოს საბიუჯეტო უზრუნველყოფაზე. ამ პროცესმა გამოიწვია ერთგვარი გაუცხოება საქმიანობის ამ სფეროს მიმართ საზოგადოებისა და სახელმწიფოს მხრიდან.

ინოვაციური პროცესების სახელმწიფო მართვა და დაგეგმვა წარმოადგენს სოციალურ-ეკონომიკური ურთიერთობების განსაკუთრებულ სფეროს. მეცნიერების სახელმწიფო მართვის საბჭოური გეგმიანი ეკონომიკის არაეფექტიანობამ, განაპირობა თანამედროვე ეტაპზე ქვეყნისთვის ამ სასიცოცხლო მნიშვნელოვანი დარგის თვითდინებაზე მიშვება იმის იმედით, რომ ბაზარი დაარეგულირებდა ყველა პრობლემას. მეცნიერების მიმართ ამგვარი დამოკიდებულება მოწმობს, რომ ბოლომდე არ არის ხელისუფლების მიერ აღქმული საზოგადოებისა და მეცნიერების ურთიერთკავშირის არსი, აგრეთვე, - სახელმწიფო საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხე-

ლისუფლების მარეგულირებელი როლი ახალ სოციალურ-ეკონომიკუ პირობებში, რომელთაც ხშირად და არც თუ ისე მართებულად საბაზრო პირობებს უწოდებენ. ეს არც არის გასაკვირი, რამეთუ საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებს, როგორც ცენტრალურ, ასევე რეგიონულ დონეზე არასდროს უმუშავიათ ჭეშმარიტად საბაზრო გარემოში და ამ ფენომენის შესახებ, უკეთეს შემთხვევაში, წიგნებიდან სმენიათ.

აუცილებელია ბოლომდე იქნეს გათვითცნობიერებული, რომ საბაზრო ურთიერთობები მოიცავენ საზოგადოებრივი ურთიეთობების მხოლოდ ნაწილს, ისინი არეგულირებენ ეკონომიკის მხოლოდ მცირე სეგმენტს, როგორც წესი, მცირე და საშუალო ბიზნესის სფეროს. რაც შეეხება მსხვილ ბიზნესს, უნდა აღინიშნოს, რომ საქმიანობის ეს სფერო ვითარდება გეგმიური სისტემის შესაბამისად და, როგორც წესი, სახელმწიფოს მძლავრი მხარდაჭერით სარგებლობს.

საბაზრო რეგულირებას არ ექვემდებარება პრაქტიკულად არცერთი ცნობილი საზოგადოებრივი ინსტიტუტი, მათ შორის მეცნიერებაც, და ეს ხდება ერთი უბრალო მიზეზის გამო: მეცნიერება ეს არის "გადადებული სარგებლის სისტემა". დღეს საზოგადოება მხოლოდ გასცემს თანხებს მეცნიერების დასაფინანსებლად, სარგებელს, ანუ შედეგს კი მომავალი თაობები მოიმკიან. თუმცა, არ დააბანდო სახსრები მეცნიერებაში ნიშნავს ახლო და შორეულ პერსპექტივაში უზრუნველყო მთლიანად საზოგადოების განვითარების ეფექტიანი დამუხრუჭება. და მიუხედავდ იმისა, რომ მეცნიერების სამყაროს გააჩნია მეცნიერული რეგენერაციის ბრწყინვალე თვისება, იგი შეიძლება შენარჩუნებულ იქნეს მხოლოდ განსაზღვრული პერიოდით.

გასული საუკუნის 80-იან წლებში დაწყებულმა "პერესტროიკამ" საბოლოო ჯამში გამოიწვია მოქმედი სახელმწიფო მანქანის გაჩერება, რის შედეგადაც მეცნიერებამ მიიღო თავისუფლება, თუმცა ეს თავისუფლება იყო ყველასაგან და ყველაფრისგან. საბჭოური სახელმწიფო სისტემის დარჩენილმა რგოლებმა აღმასრულებელი სტრუქტურების სახით, უარი თქვეს მეცნიერების დაფინანსებაზე. საქმიანობის ამ სფეროს მიმართ გაუთვითცნობიერებელმა ზურგის შექცევამ დარტყმის ქვეშ დააყენა არა მარტო სამამულო მეც-

ნიერების წარსული, აწმყო და მომავალი, არამედ, აგრეთვე მთელი საზოგადოების ბედი.შედეგად მივიღეთ მეტად არასახარბიელო სურათი, დღესდღეისობით მეცნიერება წარმოადგენს ერთგვარ ნანგრევებს, რომლის საფუძველზეც ერთობ რთულდება ახალი ორგანიზაციული სისტემის ფორმირება. ასეთ ვითარებაში, ქვეყნის ინტელექტუალური პოტენციალის დიდი ნაწილი ბუნებრივია დაუცველი აღმოჩნდა და, შესაბამისად, მეცნიერების ამა თუ იმ დარგში დასაქმებულმა მაღალკვალიფიციურმა პერსონალმა მზერა დასავლეთისკენ მიაპყრო. მართლაც, დასავლეთის ქვეყნებიდან ბევრი საინტერესო რამის სწავლა შეიძლება, უწინარეს ყოვლისა კი სამეცნიერო საქმიანობის ორგანიზების თვალსაზრისით, რომელიც სწორედ ის სფეროა ასე ერთი ხელის მოსმით რომ უარყო პოსტასბჭოურმა საზოგადოებამ, რისი ნეგატიური შედეგებიც ეხლაღა იჩენს თავს. სწორედ დაგეგმვაზე, პირველ რიგში კი მეცნიერების სახელმწიფო დაგეგმარებაზეა საუბარი.

როგორც კი ნათელი გახდა, რომ დასავლეთის განვითარებულ ქვეყნებში არსებობს მეცნიერების დარგში სახელმწიფო დაგეგმვის პოლიტიკა, რომელიც დღითიდღე იკრეფს ძალას, გაჩნდა უამრავი პუბლიკაცია ამის თაობაზე, თუმცა, ეს პროცესი ერთ ქართულ ანდაზას გვაგონებს: **"ურემი რომ გადაბრუნდება გზა მაშინ გამოჩნდებაო"**

მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში მეცნიერების სახელმწიფო დაგეგმვის, სტიმულირებისა და მხარდაჭერის იდეოლოგია საზოგადოებაში სახელმწიფოს როლის საერთო იდეოლოგიის ადექვატურია. ეს, როგორც უკვე აღვნიშნეთ, სუბიექტების, უწინარეს ყოვლისა, მეცნიერებისა და საზოგადოების ურთიერთქმედების განსაკუთრებული წესით ორგანიზებაა სახელმწიფოს საშუალებით, რომელიც, ამასთან უშუალოდ არ ერევა თითოეული სუბიექტის შიდა საქმიანობაში. სახელმწიფო, როგორც სუბიექტი უქმნის სამეცნიერო დაწესებულებებს ისეთ პირობებს, რომელიც აკმაყოფილებენ მათ მოთხოვნილებებს და პასუხობენ გადასაჭრელ ამოცანების საზღვრებში მათ ინტერესებს.

საგულისხმოა, რომ საქართველოში 1990-იანი წლებისათვის ფუნქციონირებდა 250-მდე მეცნიერული და სამეცნიერო-მომსახურების ორგანიზაცია. აქედან 155 იყო სამეცნიერო დაწესებულება

უმაღლესი სასწავლებლების ჩათვლით, რომელთაგან 115 გამოდიოდა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის პროფილით, სადაც მთელი სამეცნიერო კადრების 58% იყო დასაქმებული;[48] სამეცნიერო ორგანიზაციებსა და უმაღლეს სასწავლებლებს გააჩნდათ შესაბამისად 241.9, 163.3 და 33.9 მლნ. მანეთის ღირებულების მანქანა – დანადგარები; სამეცნიერო ორგანიზაციების საცდელ ბაზებში კონცენტრირებული იყო 12.7 მლნ. მანეთის მანქანა-დანადგარები. აქედან სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებზე, საკონსტრუქტორო ორგანიზაციებსა და უმაღლეს სასწავლებლებზე მოდიოდა შესაბამისად 9.6, 2.7, 0.4 მლნ მანეთის ღირებულებისა; რესპუბლიკის მრეწველობაში მუშაობდა 2406 მექანიზებულ-ნაკადური (მათ შორის 389 იმპორტული) და 380 ავტომატური ხაზი (მათ შორის 146 იმპორტული), 1207 კომპლექსურ-მექანიზებული, 103 ავტომატიზებული და 22 კომპლექსურ-ავტომატიზებული უბანი და საამქრო; რესპუბლიკაში ფუნქციონირებდა 1209 დამოუკიდებელ ბალანსზე მყოფი საწარმოო და სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება, კომბინატი და საწარმო. მარტო მრეწველობაში ითვლებოდა 123 საწარმოო და სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება, რომელთა შემადგენლობაში შედიოდა 280 დამოუკიდებელი საწარმო და 515 საწარმოო ერთეული; 1986-1989 წლებში 111900 განცხადება იქნა შეტანილი რაციონალურ წინადადებებსა და გამოგონებაზე (საშუალოდ 28 000 წელიწადში): წარმოებაში პირველად გამოყენებულ გამოგონებათა რაოდენობა შეადგენდა სულ 996 ერთეულს (საშუალოდ 249-ს წელიწადში), რაციონალური წინადადებებისა – 92500 (საშუალოდ 23 100 წელიწადში), მათი გამოყენებით მიღებულ იქნა 99.9 მლნ. მანეთის საშუალო ეკონომიკური ეფექტი; 1985-1990 წლებში მრეწვწლობაში დაინერგა სხვადასხვა სახის მაღალწარმოებლური მოწყობილობები: 778 ერთეული მექანიზებულ – ნაკადური და ავტომატური ხაზი, მათ შორის 10 როტორულ-კონვეირული; 358 ერთეული სამ-

---

[48] სხირტლაძე მ. მეცნიერებისა და სამეცნიერო მომსახურების თანამედროვე მდგომარეობა (ეკონომიკური ასპექტი). შაბაზრო ეკონომიკის ფორმირებისა და ფუნქციონირების პრობლემები საქართველოში. საქართველოს ეკონომიკის სამინისტროსთან არსებული ეკონომიკური და სოციალური პრობლემების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის შრომების კრებული. I ტომი, თბ., 1996, გვ.178

რეწველო რობოტი; 418 ერთეული რიცხვულ-პროგრამული ლითონ-საჭრელი ჩარხი; ექსპლუატაციაში გადაეცა 24 ერთეული სხვადასხვა დანიშნულების მოქნილი საწარმოო სისტემა; შეიქმნა 242 ერთეული ახალი ტიპის მანქანების, დანადგარების, აპარატების, ხელსაწყოებისა და ავტომატიზაციის საშუალებათა ნიმუშები.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში არსებობდა სერიოზული საინოვაციო პოტენციალი, 1991 წლის ბოლოდან განვითარებულმა მოვლენებმა ქვეყანაში უმძიმესი მდგომარეობა შექმნა. კრიზისმა მოიცვა სახალხო მეურნეობის ყველა სფერო, მათ შორის მეცნიერულ-ტექნიკურიც. თუ გავაანალიზებთ ამ პერიოდში მეცნიერების მდგომარეობის ამსახველ სტატისტიკურ მონაცემებს, მივიღებთ სურათს,[49] რომელიც ნათლად მეტყველებს თუ რა დამოკიდებულება იყო ქვეყანაში მეცნიერების მიმართ ამ პერიოდში, თუ რამდენად იქნა უარყოფილი ამ სფეროს სახელმწიფო დაგეგმვისა და შესაბამისი რეგულირების აუცილებლობა. კერძოდ:

- სამეცნიერო დაწესებულებათა რაოდენობა შემცირდა 17%-ით (155-დან 129-მდე). გამორჩეულად კრიტიკული სიტუაცია შეიქმნა ყოფილ საკავშირო დაქვემდებარების ინსტიტუტებში, რომლებიც ძირითადად მუშაობდნენ პრიორიტეტულ მიმართულებებზე, გააჩნდათ სათანადო საკადრო და მატერიალურ-ტექნიკური პოტენციალი;

- მეცნიერ მუშაკთა რაოდენობა შემცირდა 39%-ით (29351-დან 17762-მდე);

- ასპირატთა რიცხოვნობა შემცირდა დაახლოებით 11%-ით (1695-დან 1500-მდე);

- მეცნიერებაზე გაწეული დანახარჯების ხვედრითი წილი 1994 წელს შემცირდა 60%-ით, (1-დან 0.4%-მდე). იგივე დონე (0,4%) იქნა შენარჩუნებული 1995 წელს, ხოლო 1996 წელს კიდევ უფრო შემცირდა (სავარაუდოდ 0,19%-მდე), 1998 წელს შესაბამისად 0,2% გაუტოლდა. ეს მაშინ, როდესაც განვითარებად ქვეყნებში აღნიშნული მაჩვენებელი შეადგენს 0,6-0,8%-ს, ხოლო მაღალგანვითარებულ ქვეყნებში მიიჩნევენ, რომ იგი არ უნდა იყოს 3,5%-ზე ნაკლები;

---

[49] აბრალავა ა., გზა მაღალტექნოლოგიური ეკონომიკისაკენ, თბ., თსუ-ს გამომცემლობა, 2001, გვ.32-33

1990-1994 წლებში საბიუჯეტო დაფინანსების ხვედრითი წილი მეცნიერებაზე გაწეულ მთელ დანახარჯებში გაიზარდა 0,6 %-ით (79,4-დან 80%-მდე), მაგრამ მისი აბსოლუტური მოცულობა მკვეთრად შემცირდა (თითქმის 4-ჯერ), მეცნიერების განვითარებაზე გაწეული კაპიტალური დაბანდებების სტრუქტურაში სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების ხვედრითი წილი მთელ კაპიტალდაბანდებებში გაიზარდა 47,3%-ით (31.1-დან 78.4%-მდე), ხოლო მოწყობილობებზე გაწეული ხარჯების ხვედრითი წილი შემცირდა 100%-ით (50,4-დან 0%-მდე).[50]

ცხრილი 3.2.1

სამეცნიერო-ტექნიკური სამუშაოები საქართველოში (ათასი ლარი)

	2000		2001		2002	
	სულ	მ.შ საკუთარი ძალებით შესრულებული	სულ	მ.შ საკუთარი ძალებით შესრულებული	სულ	მ.შ საკუთარი ძალებით შესრულებული
შესრულებული სამუშაოების მოცულობა	17770.4	17363.9	16308	15861.3	13010.8	11550.8
მათ შორის სამეცნიერო-ტექნიკური სამუშაოს(პროდუქციის)მოცულობა	17545.1	17139.7	15878.7	15432.7	13006	11537.3

[50] სხირტლაძე მ.; მეცნიერებისა და სამეცნიერო მომსახურების თანამედროვე მდგომარეობა (ეკონომიკური ასპექტი)საბაზრო ეკონომიკის ფორმირებისა და ფუნქციონირების პრობლემები საქართველოში. საქართველოს ეკონომიკის სამინისტროსთან არსებული ეკონომიკური და სოციალური პრობლემების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის შრომების კრებული. I ტომი, თბ., 1996, გვ. 179-188; საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური ინფორმაციის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემები.

აქედან სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები	16958.3	16596.1	15133.8	14688.8	11936	10486.8
მ.შ ფუნდამეტური საპროექტო-საკონსტრუქტორო და ტექნოლოგიური სამუშაოები	4811.1	4730.7	6930.7	6511.1	4254.4	4201.7
საცდელი ნიმუშების, ნაკეთობათა დამზადება	448.5	445.1	710.2	708.2	633.6	623.1
საპროექტო სამუშაოები მშენებლობისათვის	73.0	73.0	60.2	60.2	64.8	64.8
სამეცნიერო-ტექნიკური მომსახურება	3.7	3.7	.....	.....	.....	.....

შედგენილია საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემებზე დაყრდნობით

თუ გავაანალიზებთ, ბოლო რამოდენიმე წლის ციფრობრივ მონაცემებს დავინახავთ, რომ მეცნიერულ-ტექნიკური სფეროს სახელმწიფო რეგულირების მექანიზმი ერთობ არაეფექტურია, რამეთუ სულ უფრო მცირდება სამეცნიერო ტექნიკური სამუშაოების როგორც რაოდენობრივი, ასევე ციფრობრივი მაჩვენებლები (იხ., ცხრილი 3.2.1 და ცხრილი 3.2.2)

ცხრილი 3.2.2

დანახარჯების განაწილება ტექნოლოგიურ ინოვაციებზე დაფინანსების წყაროების მიხედვით მხარეებში (1997-2002 წწ)

საქართველოს ტერიტორიული ერთეულები	სერთო დანახარჯები	მათ შორის დაფინანსების წყაროების მიხედვით				
		საკუთარი სახსრები	ცენტრალური ბიუჯეტი	ადგილობრივი ბიუჯეტების და ადგილობრივი ბიუჯეტების ბიუჯეტების	არასაბიუჯეტო ფონდები	უცხოური ინვესტიციები
საქართველო სულ	100	40	12.8	16.6	16.2	14.2
ქ. თბილისი	100	33.3	5.5	32.3	13.4	15.5
აჭარის არ	100	18.3	13.4	28.3	21.5	18.5
იმერეთი	100	35.9	19.2	16.7	19.8	8.4
სამეგრელო-ზემო სვანეთი	100	59.4	11.1	12.5	9.8	7.2
გურია	100	46	14.7	15.3	7.2	16.8
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	100	49.7	7.5	18.8	14.8	9.2
შიდა ქართლი	100	54.4	9.2	11.8	11.2	13.4
მცხეთა-მთიანეთი	100	54.6	7.7	14.2	10.7	12.8
კახეთი	100	34.6	13.2	9.7	22.8	19.7
ქვემო ქართლი	100	18.3	28.1	13.2	18.7	21.7
სამცხე-ჯავახეთი	100	35.3	12.1	10.5	28.7	13.4

შედგენილია საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტისა და საქართველოს ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროს მონაცემებზე დაყრდნობით

როგორც ცხრილებიდან ჩანს, სამუშაოთა დიდი ნაწილი კერძო ინიციატივაზე მოდის, რაც ფრიად დამაფიქრებელია. საგულისხმოა, რომ ამავე პერიოდში "საქპატენტის" მიერ, თავის ძირითადი ფუნქციიდან გამომდინაე, მიღებულ იქნა 475 განაცხადი გამოგონებაზე, 94-სასარგებლო მოდელზე, 34-სამრეწველო ნიმუშზე და 3331- სასაქონლო ნიშანზე. განაცხადების ფორმალური და არსობ-

რივი ექსპერტიზის საფუძველზე გაიცა 268 პატენტი გამოგონებაზე, 120- სასარგებლო მოდელზე, 15- სამრეწველო ნიმუშზე.

საქართველოში, ბოლო პერიოდში განხორციელებულმა ინსტიტუციონალურმა რეფორმებმა მნიშვნელოვანი წინაპირობა შექმნა სოციალური სფეროს განვითარებისათვის აუცილებელი საკანონმდებლო-ნორმატიული ბაზის შემუშავების, დაწესებულებათა ქსელის რესტრუქტურიზაციის, ახალი ნორმატივებისა და სტანდარტების დამკვიდრების, დაფინანსების წყაროთა გადასინჯვის მიმართულებით.

საქართველოში საინოვაციო საქმიანობის რეგულირების თვალსაზრისით, შექმნილია რიგი სამსახური, რომელთა ფუნქციაშიც შედის ქვეყანაში ინოვაციური საქმიანობის კოორდინაცია და გარკვეულწილად ფინანსური მხარდაჭერა. ასე, მაგალითად, საქართველოს მეცნიერებისა და ტექნოლოგიების დეპარტამენტის მიერ წლების მანძილზე მიმდინარეობს მუშაობა ისეთი მნიშვნელოვანი სამეცნიერო-ტექნოლოგიური პროგრამების დავალებათა შესასრულებლად, როგორიცაა: "ენერგეტიკა", "მანგანუმი", "სოფლის მეურნეობის ბიოლოგიურად სუფთა პროდუქციის წარმოება", "შაქარი", "მეცხვარეობა", "ახალი სადიაგნოსტიკო საშუალებების, პროფილაქტიკისა და მკურნალობის მეთოდების დამუშავება და დანერგვა", "ელექტრონიკა და ელექტრონული ხელსაწყოები", "ბაზალტი" და სხვა. თუმცა, აქაც უნდა აღინიშნოს საქართველოს ხელისუფლების მეტად არასერიოზული დამოკიდებულება ამ სფეროს მიმართ, ასე, მაგალითად, საქართველოს 2001 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში პროგრამულ-მიზნობრივი დაფინანსებისათვის თანხები არ იქნა გათვალისწინებული, რის გამოც ახალი კონკურსი ამ მიმართულებით არ ჩატარებულა. იგივე მდგომარეობა დაფიქსირდა 2002 და 2003 წლებში. ამდენად, აღნიშნული სამსახურის ფუნქციები მხოლოდ სახელმწიფო ტექნოლოგიური ექსპერტიზით შემოიფარგლა.

საინოვაციო საქმიანობის ორგანიზებისა და მეთოდური უზრუნველყოფისათვის 2002 წელს, საქართველოს ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროსთან შეიქმნა საქართველოს ეროვნული საინოვაციო ცენტრი – საქინოვაცია, თუმცა მხოლოდ ერთი პარადოქსული მაგალითის მოყვანაც კი კმარა, რომ

ყველაფერი ნათელი გახდეს – აღნიშნულ ცენტრს ელემენტარულად არ გააჩნია ინტერნეტით სარგებლობის საშუალება. ბუნებრივია, რომ ასეთ პირობებში ყოვლად წარმოუდგენელია ინოვაციურ სფეროში რაიმე კოორდინირებულ საქმიანობაზე საუბარი სახელმწიფო დონეზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე იქმნება შთაბეჭდილება, რომ საქართველოში მეცნიერებისა და ტექნიკის მხარდაჭერის ღონისძიებები ფორმალურ ხასიათს ატარებს და ადექვატურად არ აისახება ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ გარემოზე. შესაბამისად, შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ საქართველოში არ არსებობს მეცნიერების სფეროში დაგეგმარების რაიმე ერთიანი, კოორდინირებული პოლიტიკა, არ არსებობს ქვეყნის ტექნოლოგიური განვითარების ერთიანი კონცეფცია.

საქართველოში თანამედროვე ინოვაციური განვითარების ტენდენციებიდან გამომდინარე, როდესაც სულ უფრო ღრმავდება კავშირი მეცნიერებას, ტექნიკასა და წარმოებას შორის, აუცილებელია არსებობდეს ინოვაციური პროცესების დაგეგმვის მოქნილი ორგანიზაციული სისტემები, რომლებიც სწრაფადრეაგირებადი იქნებიან ტექნიკურ-ტექნოლოგიური ცვლილებებისადმი.

ინოვაციური სფეროს სახელმწიფო-საზოგადოებრივი მართვისა და დაგეგმვის ორგანიზაციულ-ეკონომიკურ ურთიერთობათა სისტემა უნდა წარმოვიდგინოთ, როგორც სახელმწიფო რეგულირების სამდონიანი სისტემის წარმოებისა და ბაზრის ერთიანი კომპლექსი.

მოცემულ სისტემაში რეგულირება უნდა განხორციელდეს ისეთ ძირითად ორიენტირებთან მიმართებაში, როგორიცაა: ეკოლოგიური გარემო, სოციალური პრობლემები, საერთო ეკონომიკური აღმავლობა, მართვის აუცილებელი სტრუქტურების შექმნა.

ინოვაციური სფეროს სრულყოფამ როგორც მაკრო, ისე მეზო და მიკრო დონეზე, უნდა მოიცვას აგრეთვე მართვის ოთხივე ძირითადი ფუნქცია:

1. დაგეგმვა – მიზნებისა და მათი მიღწევის საშუალებათა დადგენა-დაზუსტება, ფუნქციონალური ვალდებულებების დაკისრება ინოვაციური ციკლის ცალკეულ მონაწილეთათვის, პროგნოზირება, გაანგარიშება, ბიუჯეტის შედგენა;

2. ორგანიზაცია – სამუშაოს კლასიფიკაცია, ელემენტებად დაყოფა და შესაბამისი ორგანოების შექმნა, სტრუქტურიზაცია, წარმოების ორგანიზაციის პროგრესული ფორმების (სპეციალიზაცია, კონცენტრაცია, კოოპერირება, კომბინირება) ეფექტიანი გამოყენება, საწარმოთა ოპტიმალური ზომების დადგენა;
3. მოტივაცია – ინოვაციური ციკლის მონაწილეთათვის შინაგანი მოთხოვნების ჩამოყალიბება მოქმედებისათვის. ცალკეულ ინდივიდთა და ორგანიზაციათა რეალური მოთხოვნილებების, მატერიალური და ფინანსური ინტერესების განსაზღვრა და სათანადო პირობების შექმნა მათ განსახორციელებლად. აქ გასათვალისწინებელია არაფორმალურ ორგანიზაციათა ინტერესები;
4. კონტროლი – გარანტიების შექმნა დასახული მიზნის მისაღწევად: სტანდარტების დადგენა, საკონტროლო პარამეტრების გაზომვა, მაკორექტირებელი ღონისძიებების განხორციელება.

თანამედროვე ეტაპზე, საქართველოში სოციალურ-ეკონომიკური პროცესების დაგეგმვის თვალსაზრისით, მიზანშეწონილია ქვეყნის მთავარი სამოქმედო გეგმის – ინდიკატური დაგეგმვის ახლებურად გააზრება და განვითარება, მისი ტრანსფორმაცია ქვეყნის პირობების, რეალობის მიხედვით, კერძოდ, ინდიკატური დაგეგმვის გავრცელება რეგიონების დონეზე. ქვეყანაში არსებული ინდიკატური დაგეგმვის პრაქტიკის ამა თუ იმ ფორმით ტერიტორიულ ერთეულებზეც გავრცელება მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს რეგიონებში არსებული ინოვაციური პოტენციალის უფრო ეფექტურად გამოყენებას. ამასთან, რაიონების, ქალაქების, მხარეების, ავტონომიური რესპუბლიკების დონეზე ინდიკატური დაგეგმვის შემუშავებით შესაძლებელი გახდება ინდიკატური დაგეგმვის აქტივიზაცია, მისი რეგიონული ასპექტების ახლებურად გააზრება და მნიშვნელობის ამაღლება. მითუმეტეს, რომ ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების საპროგნოზო პარამეტრების განსაზღვრა პრაქტიკულად შეუძლებელია მისი შემადგენელი ელემენტების – ცალკეული რეგიონების განვითარების პერსპექტივების ხარისხობრივი და რაოდენობრივი მახასიათებლების ანალიზისა და გათვალისწინე-

ბის გარეშე. რეგიონების ინდიკატური გეგმები და რეგიონული სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამები ფაქტობრივად ჩამოყალიბდებიან აქტიური, დიფერენცირებული და პროტექციონისტური რეგიონული საინოვაციო პოლიტიკის რეალიზაციის უმნიშვნელოვანეს ინსტრუმენტებად.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შესაბამისი ცვლილებები უნდა იქნეს შეტანილი ინდიკატური დაგეგმვის მარეგულირებელ კანონმდებლობაში. რეგიონებისადმი დიფერენცირებულმა მიდგომებმა ასახვა უნდა ჰპოვონ საბიუჯეტო, საგადასახადო, საკრედიტო, ინოვაციებში ინვესტიციების და მეწარმეობის წახალისების, დასაქმების, დარგობრივ, ექსპორტ-იმპორტის, რეგიონული და ეროვნული ბაზრის დაცვის სფეროში, რის შედეგადაც შესაძლებელი გახდება ქვეყნის რეგიონების თავისებურებებისა და რესურსების გადაქცევა ზრდის ფაქტორებად.

ამჟამად, სერიოზული ხარვეზებია ადგილობრივი ბიუჯეტების ფორმირებისა და ცენტრალური ბიუჯეტიდან გადასაცემი ტრანსფერტების მოცულობების განსაზღვრისა და განაწილების დღეს მოქმედ პროცედურაში, ვინაიდან ის არ ეფუძნება მეცნიერულ გათვლებსა და სრულფასოვან მეთოდოლოგიას და ცალკეულ შემთხვევაში სუბიექტური ფაქტორების ზემოქმედების ფონზე მიმდინარეობს. ამ პრობლემის დარეგულირებისათვის აუცილებელია მომზადდეს მინიმალური ბიუჯეტის დადგენისა და ტრანსფერტების განაწილების მეთოდოლოგიური ბაზა, რომელიც ცენტრალური ბიუჯეტიდან გადასაცემი ტრანსფერტის მოცულობის, უწინარეს ყოვლისა, ადგილობრივი ბიუჯეტის მინიმალური დონის უზრუნველყოფის საფუძველზე განსაზღვრის პრინციპს დაეფუძნება. ამასთან, მინიმალურ ბიუჯეტში ჩართული უნდა იქნეს ის სახსრები, რომლებიც სამეცნიერო-ტექნიკური სამუშაოების დასაფინანსებლად იქნებიან გამიზნული. სხვა შემთხვევაში ყოვლად წარმოუდგენელია განვითარების თვალსაზრისით რაიმე პერსპექტივაზე საუბარი.

საინოვაციო საქმიანობის რეგიონულ დონეზე დაგეგმვის კუთხით, რეგიონების ხელისუფლების წარმომადგენლებმა ადგილებზე არსებულ სამეცნიერო ორგანიზაციებთან უნდა ააწყონ სახელშეკრულებო ურთიერთობები და მოექცნენ მათ, როგორც დამოუკიდებელ სუბიექტებს, რამეთუ ისინი ეწევიან სამეცნიერო პროდუქციის

წარმოებას, მათი როლი განსაკუთრებულია, ხოლო წარმოებული პროდუქცია – სპეციფიკური.

დაგეგმვის, მართვისა და რეგულირების სიმძიმის ცენტრმა თანდათანობით უნდა გადაინაცვლოს რეგიონულ დონეზე, რაც საშუალებას მისცემს, რეგიონებს უფრო ოპერატიულად და შესაბამისად ეფექტიანად განახორციელონ საკუთარი საინვესტიციო, უწინარეს ყოვლისა კი საინოვაციო პოლიტიკა.

3.2 საინოვაციო საქმიანობის სტიმულირების გზები და მიმართულებები საქართველოში

საერთაშორისო გამოცდილება ცხადყოფს, რომ ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელების პროცესში სახელმწიფოს ერთ-ერთი მთავარი ფუნქცია მდგომარეობს საინოვაციო საქმიანობის ძირითადი მიმართულებების განსაზღვრასა და მათ ყოველმხრივ სტიმულირებაში. სამწუხაროდ, საქართველოში, ამ მხრივ, ბოლო წლების განმავლობაში მეტად არასახარბიელო სიტუაციაა შექმნილი. არ არსებობს სახელმწიფოს რაიმე ერთიანი მიდგომა თანამედროვე ტექნიკის შექმნისა და მისი წარმოებაში დანერგვის მიმართ. აღნიშნული მდგომარეობა განსაკუთრებით მწვავედ იგრძნობა საქართველოს რეგიონებში, სადაც მოსახლეობის თუ ადგილობრივი ხელისუფლების ისედაც მწირი ფინანსური შესაძლებლობების პირობებში ზედმეტია მაღალტექნოლოგიურ წარმოებაზე საუბარი.

ბუნებრივია, რომ ინოვაციების სტიმულირება და შესაბამისად დაფინანსება დიდ ფინანსურ დანახარჯებს მოითხოვს. საგულისხმოა ისიც, რომ საქართველოში ჯერ კიდევ საბჭოური პერიოდიდან საკმაოდ მაღალკვალიფიციური სპეციალისტები არსებობენ, თუმცა დღევანდელი მსოფლიო ეკონომიკის მოთხოვნებიდან გამომდინარე მაღალტექნლოგიური წარმოების პროცესი მოითხოვს პერსონალის პერმანენტულ გადამზადებასა და კვალიფიკაციის ამაღლებას.

ამდენად, საქართველოში ეკონომიკური პოლიტიკის შემდგომი კორექტირების პროცესში აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული ინოვაციური საქმიანობის სტიმულირების მექანიზმები და

ის პრიორიტეტული მიმართულებები სადაც უნდა მოხდეს როგორც ცენტრალური, ისე ადგილობრივი ხელისუფლების ძალისხმევის კონცენტრირება.

საინოვაციო საქმიანობის სტიმულირება, უწინარეს ყოვლისა, დამოკიდებულია ქვეყანაში საინვესტიციო პოლიტიკაზე. იმისდა მიხედვით, თუ როგორია ქვეყანაში საინვესტიციო პოლიტიკა, შეიძლება ვიმსჯელოთ საინოვაციო საქმიანობის განვითარების პერსპექტივებზე.

ზოგადად შეიძლება გამოვყოთ საინვესტიციო პოლიტიკის სამი ტიპი: 1. აქტიური, როდესაც ხელისუფლება სხვადასხვა სახის შეღავათისა თუ სასათბურე პირობების შექმნით ცდილობს მაქსიმალურად მოიზიდოს როგორც ადგილობრივი, ისე უცხოური ინვესტიციური რესურსები; 2. ზომიერი, როცა ხელისუფლება ცდილობს შეინარჩუნოს მაკროეკონომიკური წონასწორობა ქვეყანაში (სწორედ ამ პოლიტიკას ატარებს საქართველოს ხელისუფლება); 3. პასიური, როდესაც ქვეყანა მთლიანად ან ნაწილობრივ ორიენტირებულია სამომხმარებლო საქონლის იმპორტზე.

თანამედროვე ეტაპზე საქართველოში საინვესტიციო პოლიტიკის ძირითად პრინციპებს უნდა წარმოადგენდეს:

- საინოვაციო პოტენციალის კონცენტრაცია ეკონომიკის იმ სფეროებში და ქვეყნის იმ რეგიონებში, სადაც არსებობს რეალური უპირატესობები (საწარმოო ბაზა, მეტნაკლებად განვითარებული ინფრასტრუქტურა, კვალიფიციური პერსონალი და ა.შ);

- ინოვაციების ინვესტირება რეალური, პრაქტიკული, მომგებიანი შედეგის მიღებისათვის (უპირატესად იმ საინვესტიციო პროექტის დაფინანსება, რომლებიც მართალია დაკავშირებულია რისკთან, თუმცა ეს უკანასკნელი არც ისე მაღალია);

- ეკონომიკის სტრუქტურული გარდაქმნა, ეფექტიანობის ამაღლება, სოციალური და ეკოლოგიური გარემოს შექმნა (აქ უწინარეს ყოვლისა იგულისხმება ღონისძიებათა კომპლექსი, რომელიც მთლიანად იქნება ორიენტირებული ქვეყანაში ისეთი ტექნოლოგიების დანერგვაზე, რომლებიც როგორც სოციალური, ისე ეკოლოგიური თვალსაქრისით არ მიაყენებს ზიანს ქვეყნის საზოგადოებას)

სახელმწიფო ინვესტიციების ეფექტიანობის ამაღლებისათვის საჭიროა სახელმწიფოს განკარგულებაში არსებული ინვესტიციური

რესურსების პრიორიტეტულ მიმართულებებზე კონცენტრირება. პარალელურად, უნდა მოხდეს იმ ინსტიტუტების (სახელმწიფო საინვესტიციო ფონდი, სააგენტო, ბანკი) ჩამოყალიბება და განვითარება, რომლებმაც უნდა უზრუნველყონ მათთვის საკუთრებაში გადაცემული სახელმწიფოს კუთვნილ აქციათა პაკეტების, "პორტფელის" მართვა. ცალკეულ შემთხვევაში – საკუთარი აქციების ემისია და ამით უზრუნველყონ დამატებითი ფინანსური რესურსების მოზიდვა. შესაბამისად, სამეურნეო ბრუნვაში მოექცევა სახელმწიფო ქონების გარკვეული ნაწილი, რომელსაც სახელმწიფოსათვის მოაქვს შემოსავალი.

სახელმწიფომ ბიუჯეტურ ინვესტირებას უნდა დაუქვემდებაროს ეკონომიკური სექტორის ის პრიორიტეტული დარგები, რომლებიც უზრუნველყოფენ ქვეყნის ეკოლოგიურ უსაფრთხოებას. აგრეთვე, უნდა მოახდინოს იმ სფეროების სელექციური და მიზნობრივი ინვესტირება, სადაც კაპიტალური დაბანდებები ჩქარა არ გამოისყიდება, მაგრამ პერსპექტივაში იძლევიან დიდ სოციალურ-ეკონომიკურ ეფექტს (ჯანდაცვა, განათლება, სოციალური უზრუნველყოფა, კადრების მომზადება, საბინაო მშენებლობა და ა.შ.)

საქართველოში სრულყოფასა და არსებით ტრანსფორმაციას მოითხოვს ბიუჯეტური ინვესტიციების ფორმები და მეთოდები. არ შეიძლება ერთი და იმავე ფორმით მოხდეს საწარმოო და არასაწარმოო სფეროს სახელმწიფო ინვესტირება. განსხვავებით არასაწარმოო სფეროსგან, რომელიც სახელმწიფოს უკან ვერ დაუბრუნებს ინვესტიციურ სახსრებს, საწარმოო სფერომ უნდა უზრუნველყოს დაბრუნებადობის პრინციპის დაცვა. რაც გულისხმობს ეკონომიკური სექტორის დოტაციური დაფინანსებიდან ინვესტიციური დაკრედიტების პრინციპზე გადასვლას. ამასთან, საბიუჯეტო ინვესტიციური კრედიტების საპროცენტო განაკვეთი უნდა იყოს დიფერენცირებული ობიექტის პრიორიტეტულობიდან გამომდინარე და ყველა შემთხვევაში უფრო დაბალი, საბანკო საპროცენტო განაკვეთთან შედარებით.

საბიუჯეტო ინვესტირების დაკრედიტების პრინციპზე გადაყვანა აიძულებს მის გამცემს და მიმღებს სახსრები უფრო ეფექტიანად და მიზნობრივად გამოიყენოს. მსოფლიოში არსებული პრაქტიკის ანალიზი გვიჩვენებს, რომ სახელმწიფოს პირდაპირი ინვესტი-

ციური მხარდაჭერა ეკონომიკაში სტაბილური ზრდის მიღწევის წინაპირობაა. ამის ნათელი მაგალითია სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნები (სინგაპური, ტაილანდი, მალაიზია და სხვ), რომელთათვისაც დამახასიათებელი იყო ეროვნული ეკონომიკის პირდაპირი დაკრედიტება.[51]

დაუბრუნებელი საბიუჯეტო დაფინანსების წესი გამოყენებული უნდა იქნეს მხოლოდ სოციალურად მნიშვნელოვანი სფეროებისთვის, რომლებსაც დაფინანსების საკუთარი წყაროები არ გააჩნიათ (ეკოლოგიური ღონისძიებები, სახლემწიფო მელიორაციული სისტემების მშენებლობა, კადრების მომზადება, სამეცნიერო ტექნიკური პროგრესი და ა.შ.)

წარმოების განახლების სტიმულირებისათვის შესაძლებელია გამოვიყენოთ მეთოდი, რომელსაც იყენებენ შვედეთში. იქ ყველა საკაციო საზოგადოება, ეკონომიკური გაერთიანებები და შემნახველი სალაროები ვალდებულნი არიან შეიტანონ სახსრები სახელმწიფო ბანკში უპროცენტო ანგარიშზე დადგენილი წლიური ფონდიდან – მოგების ანგარიშზე – 25%, კაპიტალდაბანდებათა განსაკუთრებულ ანგარიშზე – 20% და განახლების ანგარიშზე – 10%. თუ ისინი თვითონ არ გამოიყენებენ აღნიშნულ სახსრებს, მაშინ სახელმწიფო იყენებს მათ სათანადო მიზნებისათვის სახელმწიფო ბიუჯეტის მეშვეობით. გარდა ამისა, არსებობს გადასახადების გადავადება საგამომგონებლო შეღავათებისათვის და წმინდა შემოსავლის 50%-ის გამოქვითვა კაპიტალურ დაბანდებათა საერთო რეზერვში ანარიცხებიდან.[52]

სამეცნიერო-ტექნოლოგიური განვითარების თანამედროვე პერიოდისათვის დამახასიათებელია ეროვნული საინოვაციო სისტემების შექმნა და განვითარება. ამგვარი სისტემები წარმოადგენენ ურთიერთდაკავშირებული ორგანიზაციებისა და სტრუქტურების ერთობლიობას, რომლებიც ქვეყნის ფარგლებში ახალი ტექნოლოგიების შექმნასა და მათი კომერციალიზიციას ემსახურებიან. აღნიშ-

---

[51] ელიავა ლ. ინვესტიციური კრიზის საქართველოში და მისი დაძლევის გზები, ჟ. „ეკონომიკა", 1997. №1-3, გვ.20

[52] Ионов М. регулирование инвестиционной и инновационной деятельности. Ж. «Экономист». 1992, №5, с.40.

ნულ ერთობლიობაში იგულისხმება მცირე და საშუალო კომპანიები, უნივერსიტეტები და ტექნოპარკები.

ამავე სისტემის მეორე ნაწილს წარმოადგენს სამართლებრივი, საფინანსო და სოციალური ხასიათის ინსტიტუტები, რომლებიც საინოვაციო პროცესს ხელსაყრელ პირობებს უქმნიან. რეგიონული სამეცნიერო-ტექნიკური პოლიტიკა ცენტრალური და რეგიონული მმართველობის ორგანოების ურთიერთქმედებით რეგიონის საკუთარი, ქვეყნის სამეცნიერო და ტექნოლოგიური პოტენციალის გამოყენების ხერხებისა და საშუალებების ერთიანობას წარმოადგენს.

რეგიონული მმართველობითი ორგანოები აღჭურვილნი არიან სათანადო უფლებებით, რათა საინოვაციო საქმიანობაში მონაწილე სუბიექტებს აღმოუჩინონ ფინანსური, ორგანიზაციულ-მეთოდოლოგიური, საინფორმაციო და კონსალტინგური მხარდაჭერა.

საქართველოში მიზანშეწონილია შეიქმნას რეგიონებისა და მსხვილი ქალაქების სამეცნიერო-ტექნიკური განვითარების ფონდი, რაც ხელს შეუწყობს ამ სფეროს დაფინანსების გაუმჯობესებას. იგი უნდა წარმოადგენდეს დამოუკიდებელ საზოგადოებრივ ორგანიზაციას, რომლის მიზანი იქნება რეგიონის სამეცნიერო-ტექნიკური და სოციალურ-ეკონომიკური განვითარება წარმოების ინტენსიფიკაციისა და მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებისათვის. ამგვარი ფონდის შექმნას საფუძვლად დაფინანსების პროგრამულ-მიზნობრივი ხასიათი და ფინანსური რესურსების უთუო დაბრუნებადობა უნდა დაედოს.

აუცილებელია რეგიონებს გაუფართოვდეთ უფლებები გადასახადების დაბეგვრის საკითხებში. დაბეგვრის პოლიტიკის ერთგვარი დეცენტრალიზაცია უფლებების გაზრდით რეგიონების ხელისუფლების ორგანოებს საშუალებას მისცემს განახორციელონ ისეთი საგადასახადო პოლიტიკა, რაც გამიზნული იქნება ინოვაციური პროცესების სტიმულირებისათვის.

რეგიონებისათვის კანონშემოქმედებითი ინიციატივის გაზრდას შეუძლია, ცალკეულ რეგიონში მოგვცეს კანონმდებლობაში არსებული ხარვეზების გასწორების პრეცენდენტებიც.

უცხოეთის ქვეყნებს საკმაოდ მდიდარი გამოცდილება აქვთ ინოვაციური პროცესებისათვის რეგიონული მხარდაჭერის საკით-

ხებში. აქ განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს სარისკო მეწარმეობის პრობლემა. აშშ-ში ინოვაციური პროცესების რეგიონული პოლიტიკა ეფუძნება წვრილი ნოვატორული კომპანიებისათვის ყოველმხრივ მხარდაჭერასა და დახმარებას.

რეგიონების მართვის სახელმწიფო ორგანოების მაკოორდინირებელი მოღვაწეობა ხელს უწყობს ადგილობრივი რესურსების მაქსიმალურად გამოყენებას.

აშშ-ში ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობენ რეგიონულ ვენჩურულ ფონდებში ფინანსური რესურსების კონცენტრაციას. სარისკო კაპიტალის მიზნობრივ ფონდებს ქმნიან ცალკეული შტატებისა და ქალაქების დონეზე, რომლებშიც ეს უკანასკნელნი თავიანთი ბიუჯეტიდანაც გარკვეულ სახსრებს გამოყოფენ. ასეთი გზით, ადგილობრივი ხელისუფლება ცდილობს და ისწრაფვის მოიზიდოს მცირე მეცნიერებატევადი ფირმები. ეს უფრო ხშირად ხდება იმ დარგებში, რომელთაც დიდი მნიშვნელობა აქვთ შტატის ეკონომიკის განვითარებისათვის. რეგიონული ვენჩურული ფონდების ფორმირება, ძირითადად, ხდება შტატების, კერძო კორპორაციების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების, ნებაყოფილობითი შემოწირულობების და სხვა სახსრებით.

ბოლო წლებში, აშშ-ში შტატების დონეზე, ვენჩურულ დაფინანსებაში განსაკუთრებულ როლს ასრულებენ საპენსიო ფონდები, ზოგიერთი მათგანი თვითონ ახდენს მცირე საინოვაციო ფირმების აქციების შეძენას. ევროპის ბევრ ქვეყანაში დიდია ხელისუფლების რეგიონული ორგანოების როლი ახალი ტექნოპარკების სტრუქტურების შექმნასა და მხარდაჭერაში (ტექნოპოლისები, ინოვაციური ცენტრები, ინკუბატორები და ა.შ) ეს სტრუქტურები სხვადასხვა წესით ფინანსდებიან. ერთნი მთლიანად სახელმწიფო სახსრების ხარჯზე ფუნქციონირებენ, სხვებს კი, დაფინანსების შერეული წყაროები აქვთ. მაგალითად, დიდ ბრიტანეთში, ისევე როგორც ევროპის ბევრ ქვეყანაში, სამეცნიერო პარკების განვითარებაში ძირითად ინვესტორს სახელმწიფო სექტორი წარმოადგენს.

აშშ-ის ჯორჯიის შტატში საკუთარი ბიუჯეტის სახსრებით ორგანიზებულია ინოვაციური საქმიანობის ცენტრი, რომელიც გა-

მომგონებლებს, სამი წლის განმავლობაში, უზრუნველყოფს სახსრებითა და საჭირო ფართით.

ტექნოპარკების განვითარების ევროპული პრაქტიკა ადასტურებს ამ საქმეში სახელმწიფო დაფინანსების უდიდეს როლს, მაგრამ, თუ ევროპის ქვეყნებში ინოვაციური პროცესების განვითარებისათვის ხელშეწყობის საქმეში დოტაციური ხასიათი სჭარბობს, ამერიკული გამოცდილების მიხედვით, უპირატესობა კომერციულ ხასიათს განეკუთვნება.

რეგიონული პროცესების მხარდაჭერაში განსაკუთრებული როლი უკავია საგადასახადო სტიმულირებას. ინოვაციური პროცესების რეგიონული სტიმულირების მიზანი საგადასახადო სფეროს მიხედვით შეიძლება სხვადასხვანაირი და განსხვავებული იყოს. კერძოდ, ვთქვათ, ინვესტიციების სტიმულირება მაღალი დონის ტექნოლოგიების დარგში (იაპონია); ქვეყნის დეპრესიულ რაიონებში მეწარმეთა მოზიდვა, დაბანდებანი წვრილ (მცირე) ინოვაციურ ბიზნესში (აშშ); რეინვესტირებული მოგების სტიმულირება (იტალია) და სხვა. ყველა ისინი დამოკიდებულია რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების და საზოგადოებრივი პრიორიტეტების რეგიონულ პოლიტიკაზე. ამრიგად, როგორც უცხოური გამოცდილებით დასტურდება, სხვადასხვა სახის საგადასახადო შეღავათები ხელს უწყობს ვენჩურული კაპიტალის საკმაოდ მსხვილი ფონდების წარმოქმნასა და მეწარმეთა ინოვაციური აქტიურობის მკვეთრად ამაღლებას.

რეგიონულ დონეზე საგადასახადო რეგულირების კარგად დახვეწილი სისტემა აქვს იტალიას, სადაც ძირითადად სტიმულირებას ექვემდებარება ისეთი მეწარმეობა, რომელიც ხელს უწყობს ადგილობრივი მეურნეობის განვითარებას. ამ მიზნით, ახლადწარმოქმნილი პატარა საწარმოები ათი წლით თავისუფლდებიან ადგილობრივი საშემოსავლო გადასახადებისაგან და გარდა ამისა, მიწის სარეგისტრაციო გადასახადისგან. მოქმედ საწარმოებში ადგილობრივი საშემოსავლო გადასახადისგან თავისუფლდება რეინვესტირებული მოგება, ხოლო ინვესტორები, მცირე საწარმოთა მოდერნიზაციაში მონაწილეობისათვის გარკვეული საგადასახადო შეღავათებით სარგებლობენ. ინოვაციური პროცესების რეგიონული მხარდაჭერის საზღვარგარეთული გამოცდილება აშკარად მეტყველებს ამ

საქმისადმი დიდ ყურადღებასა და საქმიან აქტიურობაზე. რაც შეეხება საქართველოს, ჩვენში სახელმწიფო დონეზე მეცნიერების განვითარებისადმი და ინოვაციური მოღვაწეობისადმი სახელმწიფო ზემოქმედების ფორმები და მეთოდები ამ ეტაპზე, ფაქტობრივად, არც კი გვაქვს შემუშავებული. ცალკეულ რეგიონში ინოვაციური საქმიანობა მხოლოდ ეპიაზოდურ ხასიათს ატარებს, რაც იმით არის განპირობებული, რომ არ არსებობს სახელმწიფო და მით უმეტეს რეგიონული სამეცნიერო-ინოვაციური პოლიტიკის კონცეფცია. საქართველოში სიახლეთა და ახალ წამოწყებათა დაფინანსების მექანიზმის არასრულყოფილება, კერძო კაპიტალის მოზიდვისათვის არახელსაყრელი გარემო აფერხებს როგორც მცირე ინოვაციური მეწარმეობის განვითარებას, ასევე ხელს უშლის მსხვილი ბიზნესის ინოვაციურ მოღვაწეობასაც. ქვეყნის მწირბიუჯეტიან ფუნდამენტალურ მეცნიერებას არ ძალუძს გააააქტიუროს სამეცნიერო-ტექნიკური საქმიანობა რეგიონების მეურნეობის აქტუალური ამოცანების გადასაწყვეტად.

კონკურენციული გარემოს შექმნა-ფორმირებას შეუძლია ხელი შეუწყოს მცირე ინოვაციურმა ბიზნესმა. მის განვითარებას საქართველოში ჯერ კიდევ არ ექცევა სათანადო ყურადღება, რის გამოც, იგი ამჟამდა მეტად არასტაბილურ და განუვითარებელ საქმიანობას წარმოადგენს. ფინანსური რესურსების კონცენტრაციის შეუძლებლობა ინოვაციური აქტიურობის წამახალისებლად, სხვა ხცელის შემშლელ გარემოებებთან ერთად, განპირობებულია ორგანიზაციული ხასიათის ნაკლოვანებებითაც. კერძოდ, ქვეყანას არ ჰყავს სახელმწიფო რეგიონული მმართველობის სახით პერსპექტიულ მიმართულებათა კოორდინატორი და შესაბამისი სამსახურები, რომლებიც ხელსაყრელ გარემოს შექმნიდნენ ინოვაციებისათვის.

ვინაიდან გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებისათვის მეტად აქტუალურ საკითხს წარმოადგენს საინოვაციო საქმიანობის განვითარებისათვის საფინანსო სახსრების მოზიდვის საკითხი, მიზანშეწონილად მივიჩნიეთ საინოვაციო საქმიანობის დაფინანსების უცხოეთის გამოცდილების ვენჩურული დაფინანსების ორგანიზაციისა და პრინციპების ჩამოყალიბება.

არსებობს ვენჩურული დაფინანსების სხვადასხვა განმარტება, მაგრამ ყველა მათგანი ემსახურება ერთ ძირით დ ფუნქციონალურ ამოცანსა – გარკვეული ფულადი სახსრების გადაცემით, აქციების პაკეტის ან საწესდებო კაპიტალის წილის მაგიერ, კონკრეტული ბიზნესის განვითარებას შეუწყოს ხელი.[53]

ვენჩურული კაპიტალისტი, რომელიც ხელმძღვანელობს ფონდს ან კომპანიას, როგორც წესი, არ განათავსებს საკუთარ სახსრებს იმ კომპანიაში, რომლის აქციებსაც შეიძენს. იგი, პრაქტიკულად, შუამავალია სინდიცირებულ ინვესტორებსა და მეწარმეს შორის. სწორედ ამგვარი საქმიანობა წარმოადგენს ამ ტიპის ინვესტირების თავისებურებას.[54]

ერთი მხრივ, ვენჩურული კაპიტალისტი დამოუკიდებლად ღებულობს გადაწყვეტილებას ამა თუ იმ ობიექტის ინვესტირების შესახებ. მეორე მხრივ, საბოლოო გადაწყვეტილებას ღებულობს კომიტეტი, რომელიც ინვესტორების ინტერესებს წარმოადგენს. ამიტომაც, ვენჩურული ინვესტიციებით მიღებული მოგება მხოლოდ ინვესტორებს ეკუთვნით.

აშშ-ში საინვესტიციო პროცესისადმი ამგვარი მიდგომები ნოვატორულ წამოწყებას წარმოადგენდა და საკმაოდ მნიშვნელოვან კონკურენტულ უპირატესობას ქმნიდა.

ასეთი ფონდების საქმიანობაში განსაკუთრებული ინტერესის საგანს მიღებული მოგების რეინვენტირების უარყოფა წარმოადგენდა, მთელი მიღებული მოგება უკლებლივ პარტნიორებს შორის ნაწილდებოდა. ეს პრინციპები, ძირითადად, უცვლელად მოქმედებენ დღემდე.

ტიპიური ვენჩურული ორგანიზაციის სტრუქტურა შესაძლებელია წარმოადგენდეს დამოუკიდებელ კომპანიას, ან უმეტეს შემთხვევაში პარტნიორების ასოციაციას ან ფონდს. ამგვარი ფონდის დირექტორი და მმართველობითი პერსონალი წარმოადგენს დაქირავებულ მუშაკებს, დამფუძნებლები და ინვესტორები კი, შეზღუდული პასუხისმგებლობის პარტნიორებს.

---

[53] Венчурное финансирование: теория и практика/Сост. Докт. Техн. Наук Н.Ь.Фонштейн. М.: АНХ, 1998, с. 61

[54] «Венчурное финансирование: центр коммерциализации технологии», М., 1998, ст. 69.

გენერალური პარტნიორი პასუხს აგებს ფონდის მართვაზე, ან ახორციელებს კონტროლის ფუნქციას მმართველის საქმიანობაზე. ასეთი ფონდები, როგორც წესი, არ არიან საგადასახადო ობიექტის ფუნქციების მატარებლები, ხოლო მისი პარტნიორები ჩვეულებრივი წესით იხდიან გადასახადებს.

დასავლეთში ტრადიციულად საინვესტიციო ფონდების ფორმირების წყაროებს წარმოადგენენ: კერძო ინვესტორების სახსრები, სხვადასხვა საინვესტიციო ინსტიტუტი, საპენსიო ფონდები, სადაზღვევო კომპანიები, საერთაშორისო ორგანიზაციები, სამთავრობო სააგენტოები.

განასხვავებენ ღია და დახურული ტიპის ფონდებს. დახურული ტიპის ფონდებში სახსრების შეგროვების შემდეგ იქმნება ინვესტორების დახურული ჯგუფი. ღია ფონდების შემთხვევაში არ ხდება რაიმე გარკვეული საინვესტიციო თანხის დადგენა და შესაძლებელია პარტნიორების ზრდა ფუნქციონირების პერიოდში.

საზღვარგარეთული გამოცდილების პრაქტიკიდან, დახურული ტიპის ვენჩურული ფონდები ფუქციონირებენ 5-10 წლის განმავლობაში. ასეთი ვადა, როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, სავსებით საკმარისია ამგვარი ფონდის მიერ ინვესტორებისათვის ანაზღაურების მისაღები დონის უზრუნველყოფისათვის. პირველი 4-5 წლის განმავლობაში შეგროვებული თანხები მთლიანად მიემართება ინვესტირებაზე. ფონდის მუშაობა დამთავრებულად ითვლება, როდესაც ინვესტორებს აუნაზღაურდებათ საკუთარი სახსრები და გარდა ამისა მიიღებენ დამატებით ანაზღაურებას.

ვენჩურულ ფონდებში სახსრების თავმოყრის შემდეგ იწყება პრაქტიკული საქმიანობა იმ კომპანიების შერჩევისა და შეფასებისა, სადაც ინვესტიციები უნდა განხორციელდეს. რისკის და ანაზღაურების შეფარდების სწორი განსაზღვრა წარმოადგენს ამგვარი ბიზნესის დამახასიათებელ თვისებას, რისთვისაც აუცილებელია მმართველი პერსონალის მაღალი პროფესიონალიზმი.

ინვესტირების პროცესის მნიშვნელოვან შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს შესაბამისი კომპანიების ძიება და შერჩევა. მიუხედავა იმისა, თუ როგორი ორიენტაცია აქვს ვენჩურულ ფონდს, საინვესტიციო ობიექტის მთავარ კრიტერიუმს წარმოადგენს იმის გარკვე-

ვა, თუ რამდენად სწრაფი განვითარების შესაძლებლობა აქვს კომპანიას.

ვენჩურული ინვესტორის საფინანსო რისკი შეიძლება გამართლებული იყოს იმ შემთხვევაში, თუ მიღწეული იქნება ინვესტირებული კაპიტალის ანაზღაურების საშუალოზე უფრო მაღალი დონე. ანაზღაურების აღიარებულ მაჩვენებლად მიჩნეულია მოგების შიდა ნორმა. მას შემდეგ, რაც კომპანია ხვდება ვენჩურული კაპიტალის ყურადღების სფეროში, იწყება მისი შესწავლის ხანგრძლივი პროცესი. შესწავლის საგანს წარმოადგენს კომპანიის საქმიანობისა და ბიზნესის ყველა ასპექტი. დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში ფორმდება შესაბამისი საინვესტიციო წინადადება, იწყება საფინანსო სახსრების ჩარიცხვის ეტაპი და აუცილებელი იურიდიული დოკუმენტების რეგისტრაცია. ვენჩურული ფონდის წარმომადგენელი, როგორც წესი,შედის დირექტორთა საბჭოს შემადგენლობაში.

ამრიგად, ვენჩურული კაპიტალი წარმოადგენს თანამედროვე ინოვაციური პროცესის მნიშვნელოვან შემადგენელ ნაწილს. იგი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს მცირე ფირმების ინვესტირებისათვის, რომლებიც დაკავშირებულნი არიან ახალი ტექნოლოგიების დამუშავებასა და ათვისებასთან, ანუ მაღალი დონის რისკთან.

ვენჩურული კაპიტალის ინდუსტრია კარგადაა განვითარებული აშშ-ში, სადაც იგი ორიენტირებულია ახალი ტექნოლოგიების ათვისებაზე. ევროპაში ინვესტიციების ეს ფორმა შედარებით ახალგაზრდაა. იაპონისს ვენჩურული ფირმები ძირითადად მსხვილი საფინანსო ინსტიტუტების შვილობილ ფირმებს წარმოადგენენ.

ვენჩურული კაპიტალის განვითარებისათვის დაინტერესებული სახელმწიფოები ახორციელებენ განსხვავებულ, მაგრამ მიზანმიმართულ ხელშემწყობ ღონისძიებებს, რომელთაც მიეკუთვნებიან:

- ინვესტორებისათვის რისკის დონის შემცირება (საგადასახადო შეღავათები ახალი ტექნოლოგიებისათვის);

- ლიკვიდურობის ამაღლება (რეინვესტირების პროცედურის გამარტივება და მეორადი ფონდების შექმნა);

- მეწარმეობის წახალისება (ახალი ტექნოლოგიების ათვისებისათვის ინვესტიციების წახალისება, საკონსალტინგო და საინფორმაციო მომსახურება)

ვენჩურული კაპიტალის განსაკუთრებული როლი აღიარებულია ახალი სამუშაო ადგილების შექმნისათვის. აშშ-ში ჩატარებულმა გამოკვლევებმა აჩვენა, რომ სწრაფად განვითარებულმა მცირე ფირმების 4%-მა უზრუნველყო ახლად შექმნილი სამუშაო ადგილების 70%

ამდენად, საინოვაციო პოლიტიკის ჩამოყალიბებას წინ უნდა უძღოდეს რეგიონის ეკონომიკური რესურსების საფუძვლიანი შესწავლა. ეკონომიკური რესურსების ანალიზის შედეგად უნდა დამუშავდეს რეგიონის განვითარების პროგნოზი და კონკრეტულად გამოიკვეთოს პრიორიტეტები. ამ უკანასკნელის რეალიზაციისათვის აუცილებელია მათი უზრუნველყოფა საინოვაციო ღონისძიებებით, რასაც წინ უნდა უძღოდეს საინოვაციო იდეების მოძიება, ალტერნატიული წინადადებების ჩამოყალიბება და გადაწყვეტილებების მიღება. მოქმედების შემდეგი ეტაპი წარმოადგენს პრიორიტეტების მიზნობრივი პროგრამის დამუშავებას.

როგორც ჩვენი ქვეყნის გამოცდილება გვიჩვენებს, მიზნობრივი პროგრამების სიმრავლე რეალურ შედეგს არ იძლევა, ვინაიდან მათი უზრუნველყოფა სათანადო დაფინანსებით ვერ ხერხდება.

ჩვენი აზრით, ამ მიზეზებს წარმოადგენს დაფინანსების გადაწყვეტის მცდელობა საბიუჯეტო სახსრების საშუალებით და უცხოეთის კრედიტებისა თუ გრანტების იმედით. ჩვენში, სამწუხაროდ, არ არის გამოყენებული ვენჩურული დაფინანსების უცხოეთის გამოცდილება, რომელმაც გადამწყვეტი მნიშვნელობა იქონია აშშ-ში და ევროპის ქვეყნებში საინოვაციო წამოწყებათა დაფინანსების საქმეში (იხ.დანართი 3)

როგორც სქემიდან ჩანს, საინოვაციო ღონისძიებების დამუშავებამდე აუცილებელია რეგიონის ეკონომიკური განვითარების პროგნოზის და პრიორიტეტული მიმართულებების განსაზღვრა, რაც ამოსავალი წერტილი უნდა იყოს საინოვაციო ღონისძიებების დამუშავებისათვის.

ამ პრობლემის გადაწყვეტის ამგვარი მიდგომა განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ჩვენი ქვეყნის რეგიონებისათვის. ადრე არსებულმა სამეცნიერო-კვლევითმა ორგანიზაციებმა პრაქტიკულად შეწყვიტეს ფუნქციონირება, მეცნიერთა აკადემიის სამეცნიერო ინ-

სტიტუტები ძირითადად ფუნდამეტური ხასიათის გამოკვლევებით არიან დაკავებულნი. ამიტომ, კვლავ უცხოეთის გამოცდილების პრაქტიკული მაგალითები გვკარნახობენ რეგიონული სამეცნიერო-ტექნოლოგიური პარკების შექმნის აუცილებლობას, სადაც მოხდება საინოვაციო წინადადებების დამუშავება რეგიონისათვის პრიორიტეტული მიმართულებებისათვის.

და ბოლოს, შევეცდებით მოკლედ ჩამოვაყალიბოთ ის ძირითადი მიმართულებები, რომელთა პრაქტიკულმა რეალიზაციამ ხელი უნდა შეუწყოს საქართველოს რეგიონებში საინოვაციო საქმიანობის მკვეთრ გააქტიურებას.

- რეგიონის სფეციფიკიდან გამომდინარე მეცნიერული კვლევების მხარდაჭერა და მათზე ორიენტირება;

- რეგიონში მეცნიერულ-ტექნიკური განვითარების მიმართულებათა კოორდინირებული რეგულირება;

- ბუნებრივი, საწარმოო და ინოვაციური პოტენციალის გათვალისწინებით, უახლესი, ან წამყვანი ტექნოლოგიების განვითარება რეგიონში;

- სამრეწველო და სოციალური ინფრასტრუქტურის განვითარება რეგიონში;

- სამამულო მრეწველობის დაცვა, მისი კონკურენტუნარიანობის ამაღლება;

- სტრატეგიული დაგეგმვა;

- პრიორიტეტული დარგებისა თუ ცალკეული საწარმოს ფინანსური მხარდაჭერა;

- ინოვაციური საქმიანობის სტიმულირების სისტემის სრულყოფა;

- ინოვაციურ პროცესებზე ზემოქმედების სახელმწიფო მართვის მექანიზმის სრულყოფა;

- რეგიონში სავაჭრო და საბანკო ქსელის განვითარების ხელშეწყობა;

- კადრების მომზადებისა და გადამზადების ეფექტიანი მექანიზმის შექმნა და განვითარება;

- რეგიონში ინფორმაციის სწრაფი გავრცელების უზრუნველყოფა;

- საწარმოებისათვის ტექნოლოგიების გადაცემის ორგანიზება;

- სალიცენზიო-საპატენტო უფლებების რეგულირება (დაპატენტება, საპატენტო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა);

- ირიბი რეგულირების ფორმების გამოყენება (სამართლებრივი, ფინანსური, ტექნიკური და ა.შ.);

- რეგიონში ინოვაციური საქმიანობის მონიტორინგი და მისი შეფასება;

- საწარმოთაშორისი ურთიერთობების სტრატეგიული კოორდინაცია;

- მართვის მეთოდების სრულყოფა და განვითარება;

- საზოგადოებაზე მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ზეგავლენის მონიტორინგი (ინოვაციების სოციალურ-ეკონომიკური ეფექტიანობის შეფასება);

- რეგიონში ხელსაყრელი საინვესტიციო კლიმატის შექმნა;

- საერთაშორისო თანამშრომლობის მასშტაბების გაფართოება (აქტიური საგარეო-ეკონომიკური პოლიტიკა);

- საწარმოების პირდაპირი სახელმწიფო მხარდაჭერა (მაგალითად, ინფორმაციული);

- რეგიონში ინოვაციური პროცესების კანონზომიერებათა შესწავლა, ინტენსიფიცირებული მეთოდების შემდგომი განვითარება და სრულყოფა.

ბუნებრივია არც თუ ისე ადვილია ზემოთჩამოთვლილ ღონისძიებათა პრიორიტეტულობის განსაზღვრა, რამეთუ თითოეული მათგანი რთული კატეგორიაა და თავისთავად ღონისძიებათა მთელ სპექტრს მოიცავს. იმისდა მიხედვით, თუ რა ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური მდგომარეობაა რეგიონში, შესაძლებელია ღონისძიებათა ამა თუ იმ ჯგუფის კომბინირება და პრაქტიკული რეალიზაცია. საქართველოს თითოეულმა რეგიონმა თვითონ უნდა განსაზღვროს ის პრიორიტეტული მიმართულებები, რომელთა უპირატესი მხარდაჭერა გამოიყვანს რეგიონს რთული მდგომარეობიდან, უზრუნველყოფს სოციალური ორიენტაციის გაფართოებას და შექმნის მდგრადი განვითარების წინაპირობას.

დასკვნები და წინადადებები

საქართველოს რეგიონში ინოვაციების, საინოვაციო საქმიანობის, საინვესტიციო კლიმატის, ინოვაციური პროცესის გამოკვლევამ საშუალება მოგვცა ჩამოვაყალიბოთ დასკვნები და წინადადებები, რომელთა გათვალისწინება დააჩქარებს ქვეყანაში ინოვაციური აქტივობის ამაღლებას და შექმნის მდგრადი ეკონომიკური განვითარების წინაპირობას.

რეგიონების მეცნიერულ-ტექნიკური განვითარების პოლიტიკა ქვეყნის ეკონომიკური სტრატეგიის ორგანული ნაწილია. მის მიზანს ტერიტორიულ ერთეულებში არსებული ინოვაციური პოტენციალის მაქსიმალურად ათვისების უზრუნველყოფა და ცელკეული რეგიონისთვის დამახასიათებელი თავისებურებების გათვალისწინების საფუძველზე ეკონომიკური საქმიანობის ყველა სფეროს ფუნქციონირების ოპტიმიზაცია წარმოადგენს. ქვეყანაში მიმდინარე დეცენტრალიზაციის პროცესის კვალობაზე უაღრესად დიდ მნიშვნელობას იძენს ხელისუფლების ცენტრალურ და ტერიტორიულ ორგანოებს შორის სამართლებრივი ურთიერთობების რეგულირების სრულყოფის საკითხი, ადგილობრივი თვითმმართველობისა და ხელისუფლების სხვადასხვა დონეს შორის ფუნქციების ოპტიმალურად გამიჯვნის გათვალისწინებით, რაც შექმნის ადგილობრვი ინიციატივების სრულად დაკმაყოფილების პირობებს.

ქვეყნის საერთო ინოვაციური პოლიტიკის ძირითადი პრინციპების შესაბამისად, რეგიონული პოლიტიკა უნდა წარიმართოს ტერიტორიული ერთეულების შეწონასწორებული მეცნიერულ-ტექნიკური განვითარების დაჩქარების, კერძო მეწარმეობის და მცირე ინოვაციური ბიზნესის განვითარების სტიმულირების, მოსახლეობის დასაქმების პრობლემის დარეგულირების და ყველა რეგიონში მისი ოპტიმალური დონის უზრუნველყოფის მიმართულებით, ადგილობრივი მეცნიერულ-ტექნიკური, ინტელექტუალური, ბუნებრივი, საწარმოო პოტენციალის და მოსახლეობის სამეურნეო ტრადიციების სრული და გონივრული გამოყენების საფუძველზე.

საქართველოს რთული შიდა რეგიონული თავისებურებების გათვალისწინებით, ძირითადი აქცენტი აღებული უნდა იქნეს აქტიურ რეგიონულ პოლიტიკაზე (პოსტკეინსიანური მიდგომა), რომე-

ლიც დამყარებული უნდა იყოს რეგიონების მიმართ დიფერენცირებულ მიდგომაზე, რაც გარკვეულ პროტექციონიზმსაც გულისხმობს. ეს კი პრაქტიკულად სახელმწიფო რეგიონული მიზნობრივი ინოვაციური პროგრამების რეალიზაციის შელავათიან საკრედიტო რესურსების და საგადასახადო პოლიტიკაში სხვადასხვა პრეფერენციის მიცემით, ხელსაყრელი ფინანსურ-ეკონომიკური რეჟიმების შემოღების, რეგიონებში არსებული პრიორიტეტული დარგების განვითარების ფინანსური მხარდაჭერისათვის რეგიონული განვითარების ფონდის შექმნის მეშვეობით უნდა განხორციელდეს.

რეგიონული ინოვაციური პოლიტიკის ერთ-ერთი ქმედითი მიმართულება რეგიონების ტექნოლოგიური განვითარების დონეებს შორის არსებული მნიშვნელოვანი დისპროპორციების თანდათანობითი დაძლევა უნდა იყოს ტექნიკური აღჭურვილობის თვალსაზრისით დეპრესიულ რეგიონებში შრომითი და სამეწარმეო აქტივობის ამაღლების ხელშემწყობი პირობების შექმნის გზით.

სათანადო მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს ქვეყნის საგარეოეკონომიკური ურთიერთობების ორგანიზაციას რეგიონულ ჭრილში, რაც მჭიდროდ არის დაკავშირებული ცალკეული რეგიონის საექსპორტო პოტენციალის გაზრდის, აგრეთვე რეგიონული ბაზრების შიდა ეროვნული ბაზრის ტერიტორიული სეგმენტების ფორმირების, მათი ურთიერთქმედების ოპტიმიზაციისა და რეგულირების საკითხის გადაწყვეტასთან. ამასთან, მომავალშიც პრიორიტეტულად უნდა დარჩეს რეგიონთაშორისი ურთიერთობების გააქტიურებისა და მათ შორის ეფექტიანი ეკონომიკური კავშირების გაღრმავების სტიმულირების ამოცანები.

თანამედროვე ეტაპზე განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ევროპა-აზიის დამაკავშირებელი სატრანსპორტო დერეფნის ფორმირებასთან დაკავშირებული საკითხების გათვალისწინება რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკის ძირითად ამოცანათა განსაზღვრის დროს, რამდენადაც აღნიშნული დერეფნის სრული სიმძლავრით ამოქმედება, სათანადო ხელსაყრელ პირობებს შექმნის ცალკეული რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარებისთვის. ამასთან, შეიცვლება მათი ეკონომიკური სპეციალიზაცია, დასაქმების სტრუქტურა და დონე, გაძლიერდება უცხოელ ინვესტორთა დაინტერესება ამ რეგიონებით. ამის გათვალისწინებით ახლებურად

